

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
ნაგებობების, საეცოალური სისტემებისა და საინირო უზრუნველყოფის ინსტიტუტი

ტრანსფორმირებაზე მიზისზედა და პრამოსური
პრინციპებიზე და ნაგებობები

ლექციების პურსი

თბილისი
2018 წ.

შემდგენელი – პროფესორი, გენერალ-მაიორი ელგუჯა მემარიაშვილი

ISBN 978-9941-8-0287-4 (PDF)

შინაარსი

შესავალი	1
I. ტრანსფორმირებადი სტრუქტურების კვლევების და გამოყენების ძირითადი მიმართულებები	
I.1. ტრანსფორმირებადი საინჟინრო სისტემების სამეცნიერო კვლევის ძირითადი მეთოდები	3
I.2. ტრანსფორმირებად კონსტრუქციათა გამოყენების ძირითადი მიმართულებანი	10
II. ტრანსფორმირებადი საინჟინრო სისტემების თეორია	
II.1. ტრანსფორმირებადი კონსტრუქციების ზოგადი ნიშნები	19
II.2. ფორმათურმოქმნის პროცესები	22
II.3. სისტემის ტრანსფორმირებადი სტრუქტურები და გეომეტრია	29
II.4. ტრანსფორმირებადი სისტემების ძირითადი პარამეტრები	36
II.5. ტრანსფორმირებადი სისტემების ნაირსახეობანი	44
II.6. ტრანსფორმაციის ტიპები და ფორმები	48
II.7. ტრანსფორმირებადი სისტემების დინამიკური სტრუქტურა	52
II.8. ტრანსფორმირებადი სისტემების კლასიფიკაციისა და გამოყენების ზოგიერთი საკითხები	55
III. გაჭიმული კონსტრუქციული სისტემები	
III.1. გაჭიმული არქიტექტურის – „fensile architecture“, როგორც გაჭიმული ტრანსფორმირებადი სტრუქტურების ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებები	57
III. 2. ტრანსფორმირებადი სისტემები, რომელთა ფორმა მიიღწევა მხოლოდ გაჭიმული კონსტრუქციული სტრუქტურებით	62
III.3. სისტემები, რომელთა ფორმა მიიღწევა გაჭიმული კონსტრუქციული სტრუქტურის მიბმით სტაციონალურ, მუდმივი და უცვლელი ფორმის მქონე კონსტრუქციულ სისტემასთან, რომელთაც შეუძლიათ უპირატესად მკუმშავი ძალების ათვისება	72
III. 4. ერთიანი ფორმის მიღწევა გაჭიმული ტრანსფორმირებადი კონსტრუქციული სტრუქტურის მიბმით ხისტ ტრანსფორმირებად კონსტრუქციულ სტრუქტურასთან	102

შესავალი

ტრანსფორმირებადი, გასაშლელი კონსტრუქციები და ნაგებობები ძალზე ხშირად გეხვდება საინჟინრო პრაქტიკაში. მათ ჯერ კიდევ უხსოვარი დროიდან იყენებდნენ. თანამედროვე ეტაპზე, არქიტექტურული, ფუნქციური და გარემოს ექსტრემალური პირობების განსაკუთრებული მოთხოვნებიდან გამომდინარე, ცალკეული კონსტრუქციების და საინჟინრო ნაგებობების ტრანსფორმაციის უნარი განაპირობებს მათი გამოყენების აუცილებლობას დედამიწაზე და კოსმოსში.

ტრანსფორმირებადი საინჟინრო სისტემები – გასაშლელი, გასახსნელ-დასაპეცი, მრავალჯერადი გამოყენების, მობილური და ფორმაცვალებადი კონსტრუქციები, ნაგებობები და შენობები, ხიდების, დახურვების, მიწისზედა დიდი ზომის რადიოტექნიკური კომპლექსის, ასევე ორბიტული ტექნოლოგიური მოედნების და პლატფორმების, დიდგაბარიტიანი კოსმოსური რადიო და ენერგეტიკული რეზლექტორების, მზის იალქნების და ბატარეების და სხვათა სახით, გამოიყენება ჩვეულებრივ და ექსტრემალურ პირობებში.

ზოგჯერ, ტრანსფორმირებადი კონსტრუქციები და ნაგებობები ნაწილია კონკრეტული საინჟინრო კომპლექსებისა, რომლებიც სხვადასხვა დანიშნულების, სამოქალაქო და სამხედრო, მიწისზედა და კოსმოსური სისტემების შემადგენლობაში შედიან. ეს იმით აიხსნება, რომ ხშირ შემთხვევებში ნაგებობა თუ კონკრეტული კონსტრუქცია განიხილება ერთობლივად მათი სამონტაჟო, სატრანსპორტო და განთავსების საშუალებებთან ერთად.

იმისდა მიხედვით, თუ რომელი სისტემის შემადგენელი ნაწილია საინჟინრო ტრანსფორმირებადი კომპლექსი, იგი უნდა აკმაყოფილებდეს საკომუნიკაციო, სატრანსპორტო, ენერგეტიკულ, რადიოტექნიკურ ან სხვა მრავალ მოთხოვნას.

წინამდებარე ნაშრომი მოიცავს საკითხთა ფართო სპექტრს. მასში განხილულია ტრანსფორმირებადი – გასაშლელი საინჟინრო სისტემების თეორია; გაანალიზებულია დედამიწისეული და კოსმოსური კონსტრუქციების და ნაგებობების შექმნის ლოგიკა; განხილულია საინჟინრო ტრანსფორმირებადი კომპლექსები და კონსტრუქციები, რომელთაც ანალოგი არ გააჩნიათ; შესწავლილია მათი შექმნის ტექნოლოგიური პროცესები; გაანალიზებულია კონსტრუქციებისა და ნაგებობების დაძაბულ-დეფორმირებული მდგომარეობის სტადიები კვლევის ექსპერიმენტული და ცნობილი თეორიული მეთოდებით.

წიგნი განკუთვნილია მათთვის, ვინც განაზოგადებს და ავითარებს ნაგებობათა ფორმათწარმოქმნის და ფორმაცვალებადობის პროცესებს, ფორმისა და სტრუქტურის ლოგიკას. ქმნის ახალ ტრანსფორმირებად კონსტრუქციებს, ნაგებობებს და შენობებს, როგორც კოსმოსში, ასევე დედამიწაზე.

წინამდებარე ნაშრომში განხილული ტრანსფორმირებადი – გასაშლელი საინჟინრო სისტემების თეორია და პრაქტიკა დააინტერესებს მეცნიერებს, აკადემიური წრის წარმომადგენლებს, სტუდენტებს, დამართებულებებს და სპეციალისტებს, რომლებიც კონსტრუქციათა ფორმათწარმოქმნის დარგში მუშაობენ, მათ შორის მშენებლებს, მექანიკოსებს, რადიოინჟინრებს, კოსმოსური ტექნიკის შემქმნელებს, სამხედრო ინჟინრებს, არქიტექტორებს და სხვებს.

I. ტრანსფორმირებადი სტრუქტურების კვლევების და გამოყენების მიზანთადი მიმართულებები

I.I. ტრანსფორმირებადი საინჟინრო სისტემების სამეცნიერო კვლევის მიზანთადი მეთოდები

სამშენებლო კონსტრუქციების და ნაგებობების ერთ-ერთი უმთავრესი სამეცნიერო მიმართულებაა მათი ფორმატული მოქმედების თეორიის კვლევა.

ფორმატული მოქმედების თეორია მოიცავს კონსტრუქციებისა და ნაგებობების ფორმის შექმნისა და ფორმატული მოქმედების პროცესების განსაზღვრას, რაც ეფუძნება ცნებების, კატეგორიების, კანონებისა და პრინციპების სისტემურ განხილვას.

სამშენებლო კონსტრუქციებისა და ნაგებობების ფორმის ლოგიკა მოიცავს ფორმალიზებულ და არაფორმალიზებულ ელემენტთა სიმრავლეს, რაც განსაზღვრავს ფორმატული მოქმედების კვლევის სამეცნიერო და შემოქმედებით პროცესებს.

ამასთან, ფორმატული მოქმედების პროცესი და ზოგადად მისი თეორია ნაკლებად არის სისტემურად შესწავლილი, ამ მხრივ ისეთ აქტუალურ დარგში, როგორიც არის ტრანსფორმირებადი – გასაშლელი კონსტრუქციები და ნაგებობები.

განსხვავებული ტიპის, ახალი, დიდგაბარიტიანი, სხვადასხვა ფუნქციური დანიშნულების მქონე, გასაშლელი ნაგებობების შექმნის პროცესების დასმა და მისი გადაწყვეტა კომპლექსური ამოცანაა.

მიუხედავად დასმული პროცესების მრავალმხრივობისა, ერთი შეხედვით ქაოსურ კონკრეტულ ამოცანებს შორის, მაინც იკვეთება უმთავრესი მიმართულება მისი გადაწყვეტისა: ეს არის ნაგებობების საერთო სტრუქტურისა და ფორმის შერჩევა მრავალ შესაძლო გადაწყვეტათა შორის.

ნაგებობის შექმნისათვის, სტრუქტურისა და ფორმის წინასწარ შერჩევა, რაც პირველ რიგში უნდა შეესაბამებოდეს მის ფუნქციურ დანიშნულებას, უნდა პასუხობდეს მრავალ ამოცანას, მათ შორის:

- ნაგებობის ზომებს და წონას;
- ნაგებობის დაკეცილი სატრანსპორტო პაკეტის გაბარიტებს;
- ნაგებობის ფორმაცვალებადობისა და ფუნქციური ფორმის ფიქსაციის პროცესებს;

- ნაგებობის გეომეტრიული პარამეტრების სიზუსტეს და მათი შენარჩუნების უნარს;
- ნაგებობის მზიდუნარიანობის – სიმტკიცის, სიხისტისა და დეფორმაციულობის მოთხოვნების დაცვას სტატიკური, დინამიკური და ტემპერატურული ზემოქმედებების დროს;
- ნაგებობის შექმნის კონსტრუქციულ მასალებს;
- ნაგებობის ტრანსფორმაციის ამძრავი მექანიზმების სახეობებს და ენერგეტიკულ უზრუნველყოფას;
- ნაგებობის დამზადების ტექნოლოგიას;
- ნაგებობის სრულმასშტაბიანი გამოცდის სქემების რეალიზაციის შესაძლებლობებს დედამიწის და კოსმოსური გარემოს იმიტაციის შექმნის პირობებში;
- ნაგებობის და მისი სამოწავლო და სატრანსპორტო საშუალების, ასევე კოსმოსური აპარატის ურთიერთკავშირის სქემებს და სხვა მრავალ ამოცანას.

მათი გადაწყვეტის შემდეგ უკვე შესაძლებელია, მკაცრად ფორმალიზებული მიმართულებებით, შემოთავაზებული ნაგებობის კვლევა და ოპტიმალური პარამეტრების შერჩევა. ამ მხრივ, მნიშვნელოვანია ნაგებობის და მისი კონსტრუქციული ნაწილების, ელემენტებისა და კვანძების ყოველმხრივი გაანგარიშება და სტრუქტურის დაძაბულ-დეფორმირებული სურათის დადგენა მისი ტრანსპორტირების, ორბიტაზე გატანის, გაშლის, ფორმის ფიქსაციის და ექსპლუატაციის ეტაპების გათვალისწინებით.

ასევეა ექსპერიმენტული კვლევების მეთოდების გამოყენების საკითხებიც. თუმცა, ამ მხრივ, კოსმოსური ბაზირების ნაგებობების დედამიწის პირობებში ექსპერიმენტული კვლევებისას და სრულმასშტაბიანი გამოცდების დროს, აუცილებელი მოითხოვნაა მათი განხორციელების ახალი ტექნოლოგიური სქემების შემუშავება.

ამდენად, თუ ახალი ტიპის ნაგებობის შექმნის ეტაპებს განვიხილავთ, მეცნიერული კვლევის მეთოდების და საშუალებების მხრივ, როგორც აღინიშნა, პრობლემატურია სწორედ პირველი ეტაპი, როდესაც უნდა განისაზღვროს ნაგებობის სტრუქტურა და ფორმა, როგორც მრავალფუნქციური და მრავალდარგობრივი მიმართულება, რომლის გადაწყვეტაში აუცილებლად უნდა იქნეს გააზრებული ყველა თუ არა უმთავრესი ამოცანები მაინც, რომლებიც

განაპირობებენ საბოლოო ჯამში ნაგებობის – მისი სტრუქტურისა და ფორმის დადებით გადაწყვეტას.

ასეთი მიდგომით ისახება შემდეგი ლოგიკური სვლა:

- პირველ ეტაპზე იქმნება ნაგებობის სტრუქტურა და ფორმა;
- მეორე ეტაპზე იწყება მისი შესწავლა.

როგორც აღინიშნა, დასმული ამოცანის სირთულე და პრობლემურობა სწორედ პირველ ეტაპს შეეხება, სადაც თუნდაც რადაც კანონზომიერებით უნდა მოხერხდეს მრავალი კონსტრუქციული სქემიდან – ნაგებობის სტრუქტურიდან და ფორმიდან, რამოდენიმე პერსპექტიული ვარიანტის შერჩევა და შერწყმა, რაც ნაგებობის დასრულებული სქემის სახით განაპირობებს მის წინაშე დასახული ფუნქციის შესრულებას.

1972 წელს გამომცემლობამ “Wiley-Interscience”, ინგლისურ ენაზე, გამოსცა J.Christopher Jones მონოგრაფია “Design Methods Seeds of Human Futures” – საინჟინრო და მხატვრული კონსტრუირება. წიგნში ფაქტიურად გადმოცემულია პროექტირების ანალიზის მეთოდები.

წიგნში ასევე მოყვანილია ციტატები, რომლებშიც გადმოცემულია ამ პრობლემატიკის სირთულე – “ტექნიკური კონსტრუირება – ეს არის, სამეცნიერო პრინციპების, ტექნიკური ინფორმაციისა და წარმოსახვის გამოკვლევა” – ფილდენი.

წიგნში მოყვანილი გამონათქვამები მიუთითებს იმაზე, რომ საჭიროა სამი პარამეტრის შერწყმა. ეს არის მეცნიერულად დასაბუთებული პრინციპები, ტექნიკური ინფორმაცია და სისტემის შემქმნელის წარმოსახვის და შემეცნების უნარი.

თავისთავად მნიშვნელოვანია, როდესაც კონსტრუირების პროცესში მეცნიერებისა და ტექნიკური ინფორმაციის წილი იზრდება. ამასთან, კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, თუ ტექნიკური ინფორმაცია, უკვე ახალ საფეხურზე იქნება ფორმალიზებული და იგი უკვე ახალი სამეცნიერო დებულებების სახით უფრო ჭეშმარიტს გახდის კონსტრუირებისთვის განკუთვნილ ინფორმაციას.

ამ პროცესის გაგრძელებას წარმოადგენს, კონსტრუქციული სისტემის შემქმნელისმიერ, მესამე პარამეტრის, წარმოსახვის მეტი სისტემატიზაცია, რადგან იგი უპირატესად არაფორმალიზებულ ელემენტებს მიეკუთვნება.

ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ კონსტრუირების სამი პარამეტრის – მეცნიერების, სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის და კონსტრუქციული

სისტემის შემქმნელის წარმოსახვის უნარის, როგორც ერთიანი პროცესის შემადგენლების, ახალი კვლევების საფუძველზე უფრო მეტი ნაწილი გახდეს სისტემატიზებული ელემენტი, რაც განაპირობებს არსებული მეცნიერების გაღრმავებას და გაფართოებას ან, უკეთეს შემთხვევაში, ახალი სამეცნიერო მიმართულების შექმნას.

სწორედ ამ მიზანს ემსახურება 1977 წელს, გერმანიაში გამოცემლობა VEB Verlag Für Bauwesen-ის მიერ გამოცემული Oskar Büttener-ის და Erhard Hampe-ს მონოგრაფია – Bauwerk Tragwerk Tragstruktur (ოსკარ ბიუტნერი, ერჰარდ ჰამპე – ნაგებობა-მზიდი კონსტრუქცია-მზიდი სტრუქტურა).

წიგნში, სისტემური მიდგომით და ლოგიკური მსვლელობით, განმარტებულია მზიდი სისტემების ეპოლუცია და კონკრეტული დახურვის კონსტრუქციების ადგილი და როლი მზიდ სისტემებში. ასევე, მნიშვნელოვანია ის, რომ სამშენებლო პროცესები განხილულია სამი ათასი წლის განმავლობაში განსაზღვრული, მეცნიერულად დასაბუთებული კრიტერიუმებით. მაგალითად, მზიდ სისტემაში მალის ზრდასა და იატაკის ერთ კვადრატულ მეტრზე დახურვის წონას შორის თანაფარდობა. მიღებული კანონზომიერება, როგორც ამ წყაროში, ასევე სხვა შრომებშიც არის განხილული, მათ შორის, გრაფიკულადაც, სადაც მითითებულია შესაბამისი წლები და იმ წლებში დომინირებული დახურვის კონსტრუქციები სათანადო დაყვანილი წონის ჩვენებით.

განხილული ლოგიკით, ასევე შესაძლებელია, შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული ჯგუფების მიხედვით, გრაფიკული წარმოდგენა ფუნქციების გადანაწილებისა საინჟინრო და არქიტექტურულ დარგებს შორის.

მნიშვნელოვანია ე. ტოროხას წიგნიდან, “ფორმის ლოგიკა”, მოყვანილი ციტატა – “ყოველ ავტორს აქვს საჭირო საპროექტო გადაწყვეტის მიმართ მიღებობის თავისი წესები და მეთოდური ხერხები”.

აღსანიშნავია ვ. ზელენსკის ციტატა – “კონსტრუქტორ-მშენებლის შემოქმედებითი მუშაობის არსი მდგომარეობს კონსტრუქციული ფორმების პოვნაში, რომლებიც ეთანხმება მექანიკის კანონებს და ეკონომიკურად უზრუნველყოფილია სამშენებლო სამუშაოების შესრულების კონკრეტული პირობების გათავლისწინებით”.

და ბოლოს, ისევ ამონაწერი ე. ტოროხას წიგნიდან – “ფორმის ლოგიკა” – “თუმცა მზიდი კონსტრუქციის პროექტის შექმნის პროცესი წარმოადგენს

შემოქმედებით პროცესს და იგი, როგორც ნებისმიერი სხვა შემოქმედებითი პროცესი, უნდა ექვემდებარებოდეს განსაზღვრულ საერთო წესებს... სტატიკური გაანგარიშების შესაძლებლობები ემსახურება მხოლოდ სტრუქტურის ელემენტების ზომების დაზუსტებას ან ამ ზომების წინასწარი დანიშვნის სისწორის შემოწმებას” (ყველა ციტატა წიგნიდან. ოსკარ ბიუტნერი, ერხად ხამპე, გვ. 23).

ამ მხრივ, ასევე მეტად მნიშვნელოვანია ცნობილი გერმანელი მეცნიერის ფ. ოტტოს მიერ დაწერილი წიგნისა “ტენტური და ვანტური სამშენებლო კონსტრუქციები”, ფრეი ტეტოსა და ფრიდრიხ შლეიერის ავტორობით გამოცემული 1966 წელს (Zugbeanspruchte Konstruktionen. Gestalt, Struktur und Berechnung von Bauten aus Seilen, Netzen und Membranen Herausgegeben von Frei Otto) და მისი თარგმანი, რომელიც გამოიცა მოსკოვში 1970 წელს.

წიგნის პირველ ნაწილში არის მცდელობა დაძაბული მდგომარეობის კონსტრუქციის გეომეტრიული ფორმისა და მასალის ფიზიკური თვისებების მიხედვით განისაზღვროს კონსტრუქციების ზოგადი კლასიფიკაცია.

ლოგიკის მიხედვით, ასევე მნიშვნელოვანია გ. რიულეს მონოგრაფია “სივრცითი დახურვები/კონსტრუქცია და აგების მეთოდები (გერმანულიდან ნათარგმნი, მოსკოვი, 1974), ვ.ვ. ერმოლოვის წიგნი “საინჟინრო კონსტრუქციები” (“უმაღლესი სკოლა”, მოსკოვი 1991 წ.) და სხვა მრავალი გამოცემა და სამეცნიერო სტატია.

აღნიშნულ შრომებში, უმთავრესია ის რომ, კონკრეტული კლასის კონსტრუქციები და ნაგებობები, მიუხედავად მათი სიმრავლისა, მრავალმხრივობისა და მრავალფეროვნებისა, სისტემატიზებული და კლასიფირებულია მწყობრი სამეცნიერო მიდგომებით, სადაც კვლევის საერთო ლოგიკური მეთოდებისა და ხერხების მხრივ უპირატესობა ენიჭება სტრუქტურულ-ფუნქციურ მეთოდს.

როგორც ცნობილია – სტრუქტურულ-ფუნქციურ (სტრუქტურული) მეთოდს საფუძვლად უდევს მთლიან სისტემებში მათი სტრუქტურის გამოყოფა, რომელიც წარმოადგენს ელემენტებს შორის მდგრადი დამოკიდებულებების, ურთიერთაკვშირებისა და ერთმანეთის მიმართ მათი როლის ერთობლიობას.

სტრუქტურა მოიაზრება, როგორც რაღაც ინგარიანტული (უცვლელი) განსაზღვრული გარდაქმნებისას, ხოლო ფუნქცია, როგორც “დანიშნულება” მოცემული სისტემის ყოველი ელემენტისა.

სტრუქტურულ-ფუნქციური მეთოდის ძირითადი მოთხოვნებია:

- ა) სისტემური ობიექტის აგებულების სტრუქტურის შესწავლა;
- ბ) მისი ელემენტების და მათი ფუნქციური მახასიათებლების გამოკვლევა;
- გ) ამ ელემენტებისა და მათი ფუნქციის ცვლილების ანალიზი;
- დ) სისტემური ობიექტის განვითარების (ისტორიის) განხილვა;
- ე) ობიექტის, როგორც პარმონიულად და ფუნქციონირებადი სისტემის წარმოდგენა, რომლის ყველა ელემენტი “მუშაობს” ამ პარმონიის შესანარჩუნებლად.

ძირითადად სტრუქტურულ-ფუნქციური მეთოდი დაედო საფუძვლად ტრანსფორმირებადი საინჟინრო სისტემებისა და ტრანსფორმირებადი კარგასულ-საყრდენიანი სისტემების თეორიის შექმნას.

აღნიშნულ სისტემებში, ტრანსფორმაციის შესაძლებლობებიდან გამომდინარე, ნაგებობების სტრუქტურა და ფორმა უმთავრესი, საერთო და ნიშანდობლივია, რაც განსაზღვრავს დიდგაბარიტიანი, ფორმაცვალებადი სისტემების ძირითად თვისებებს.

ტრანსფორმირებადი, დიდი ზომის ნაგებობების შესწავლაში კვლევების ემპირული და თეორიული მეთოდების დიდი წილია. მაგალითად, როდესაც ტრანსფორმირებად სისტემებში ვიხილავთ ფორმაცვალებადობის სახეობებს, აქ კვლევების ემპირული მეთოდი იქნა გამოყენებული, რომელიც დაკვირვებისა და შედარების გზით განისაზღვრა.

აღნიშნული ამოცანის გადაწყვეტის დროს კვლევების თეორიული მეთოდებიდან, ასევე გამოყენებულია აზრობრივი ექსპერიმენტის მეთოდი. იგი წარმოადგენს მოდელირების განსაკუთრებულ სახეს. ასეთ ექსპერიმენტში მკვლევარი აზრობრივად ქმნის იდეალურ ობიექტებს, ადარებს მათ ერთმანეთს გარკვეული დინამიკური მოდელის ფარგლებში, აზრობრივად ახდენს, რა მოძრაობის და იმ სიტუაციების იმიტაციას, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას რეალურ ექსპერიმენტში. ამასთან, იდეალური მოდელები და ობიექტები ხელს უწყობენ ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი, არსებითი კავშირებისა და დამოკიდებულებების “სუფთა სახით” გამოვლენას, შესაძლო სიტუაციების აზრობრივ გადათამაშებას, არასაჭირო გარიანტების განთესვას.

ამასთან, ტრანსფორმაციის ძირითადი, სისტემების ემპირული მეთოდით კვლევების გარდა გამოყენებულია თეორიული შემეცნების მეთოდის სახეობა – ფორმალიზაცია, მათი ურთიერთდამოკიდებულების კლასიფიკაციით.

ფორმალიზაცია არის შინაარსიანი ცოდნის ასახვა ნიშან-სიმბოლოების სახით (ფორმალიზებულ ენაზე), იგი იქმნება აზრის ზუსტი გამოხატვისათვის,

არაერთმნიშვნელოვანი გაგების შესაძლებლობის გამორიცხვის მიზნით. ფორმალიზაციის დროს ობიექტების შესახებ მსჯელობა გადაყავთ ნიშნებით (ფორმულებით) ოპერირების სიბრტყეში, რაც დაკავშირებულია ხელოვნურ ენებთან (მათემატიკის, ლოგიკის, ქიმიის და ა.შ. ენა).

ძირითადი მასალა ტრანსფორმირებადი სისტემებისა შედგენილია თეორიული კვლევის მეთოდებით, რომელშიც დომინირებს ზემოთ აღნიშნული სტრუქტურულ-ფუნქციური მოდელი. ამასთან, რაც შეეხება სამეცნიერო კვლევების შემეცნების საშუალებებს, აქ უპირატესად გამოყენებულია შემეცნების ლოგიკური საშუალებები. მისი გამოყენება მსჯელობის და დამტკიცების პროცესში, მკვლევარს საშუალებას აძლევს აკონტროლოს რეალური არგუმენტები და განაცალკევოს ისინი ყალბი მტკიცებულებებისაგან.

კვლევებში ასევე გამოყენებულია კვლევების მათემატიკური საშუალებები.

მათემატიკა – მეცნიერება რაოდენობრივი დამოკიდებულებებისა და სივრცითი ფორმების შესახებ, საშუალებას იძლევა განხილულ იქნას არა მარტო უშუალოდ აბსტრაგირებული რაოდენობრივი დამოკიდებულებები და სივრცითი ფორმები, არამედ ლოგიკურად შესაძლებელიც, რომლებიც ლოგიკური წესებით გამოყავთ ცნობილი დამოკიდებულებებიდან და ფორმებიდან.

შემეცნების აღნიშნული საშუალება ძირითადად გამოყენებულია ტრანსფორმირებადი სისტემების, როგორც ფორმაციალებადი სიმრავლის პარამეტრების განსაზღვრის გამოსახატავად.

ნაგებობის უპევ მიღწეული სტრუქტურის და ფორმის განსაზღვრის შემდეგ, მისი შესასწავლად ფართოდ არის გამოყენებული სამეცნიერო კვლევების მათემატიკური საშუალებები, რომელიც მოიცავს უპევ ცნობილ და აღიარებულ მექანიკის, მათემატიკის და თანამედროვე პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებებს.

შრომებში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს კარგასულ-საყრდენიანი სტრუქტურის შესწავლას, ნაგებობის საყრდენი კარგასების, კარგასებს შორის სივრცის შევსებისა და საკონტაქტო ზონების განსაზღვრას.

ამ მხრივ, უპირატესად გამოყენებულ იქნა კვლევების თეორიული მეთოდის ერთ-ერთი შემადგენელი – აზრობრივი მოდელირება, რომელიც აგრეთვე წარმოადგენს პრაქტიკაში ადრე არ არსებული, ახალი სისტემების კონსტრუირების ხერხს. მკვლევარი შეისწავლის რა რეალური პროცესების დამახასიათებელ თვისებებს და მათ ტენდენციებს, წამყვანი იდეის საფუძველზე, ეძებს მათ ახალ შეთანწყობას, ახორციელებს მათ აზრობრივ

გადაკონსტრუირებას, ე.ი. ახდენს შესასწავლი სისტემის საჭირო მდგომარეობის მოდელირებას. ამასთანავე, იქმნება მოდელი-პიპოთეზები, რომლებიც ავლენენ შესასწავლი სისტემის კომპონენტებს შორის კავშირის მექანიზმებს, რაც შემდგომ, პრაქტიკაში მოწმდება.

ამდენად, ახალი ნაგებობის – ახალი ფორმისა და სტრუქტურის შექმნის პირველ ეტაპზე, წინა პლანზე გადმოდის ლოგიკური საფუძვლების შემეცნება, სისტემის ფორმისა და სტრუქტურის დადგენა და ამ მხრივ საწყის და სასაზღვრო პირობებში, რაც შეიძლება მეტი ფორმალიზებული დებულების განსაზღვრა.

რაც შეეხება შემოთავაზებული სისტემის ფორმისა და სტრუქტურის შესწავლას, ოპტიმიზაციას და მათი შედეგების მიხედვით თვით, სტრუქტურისა და ფორმის ნაწილობრივი ან მთლიანი ცვლილების აუცილებლობას, ეს უკვე მკაცრად ფორმალიზებული, არსებული ან ახალი მეთოდებით ხორციელდება. ეს ამოცანები უკვე მეორე ეტაპის, ასევე მეტად მნიშვნელოვანი, სამუშაოებია.

1. 2. ტრანსფორმირებად კონსტრუქციათა გამოყენების ძირითადი მიმართულებანი

ტექნიკის სხვა დარგებთან შედარებით საინჟინრო პრაქტიკაში მშენებლობის პროცესს, კერძოდ, სამშენებლო კონსტრუქციების შექმნას, გარკვეული კონსერვატიზმი ახასიათებს. ეს ძირითადად შეეხება სისტემის ტრადიციულ ფორმებს, მასალების შერჩევას და აგების ხერხებს, თუმცა ამ მიმართულებაშიც არის ბევრი ახალი და ორიგინალური გადაწყვეტა.

სამშენებლო კონსტრუქციები, ზოგადი სახით, ყოველთვის გამოხატავდნენ მათი აშენების დროს და ეპოქას. სამშენებლო კონსტრუქციებისადმი წაყენებული ფუნქციური და არქიტექტურული მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად საჭირო ფორმების მიღწევა სხვა ფაქტორებთან ერთად განისაზღვრება კონსტრუქციული მასალების თვისებებით, აგების ტექნოლოგიით და მშენებლობის მეთოდით.

ზემოაღნიშნული საკითხების გადაწყვეტისას წარმოების ტექნიკური, ეკონომიკური, მატერიალური, მეცნიერული და ინჟინრული უზრუნველყოფა და მშენებლობის პირობები ძირითად მახასიათებლებს წარმოადგენს. ასეთ ურთიერთდამოკიდებულებაში სამშენებლო კონსტრუქციების განვითარება ყოველთვის მიმდინარეობს გადასაწყვეტი ამოცანების მოთხოვნების მიხედვით.

სამშენებლო კონსტრუქციების განვითარება არა მარტო ინჟინრული, არამედ გაცილებით უფრო ფართო თვალსაზრისის საკითხია, რომელიც სოციალური, ეკონომიკური, რელიგიური, ისტორიული, ზნეობრივი და სხვა პრობლემების მრავალფეროვან სპეციალისტების მოიცავს.

ინჟინრული თვალსაზრისით, კერძოდ, კონსტრუქციებში, პრიორიტეტულ საკითხად გვევლინება ფორმების წარმოქმნის პრინციპი. მეტწილად, ახალი კონსტრუქციების ფორმისა და სტრუქტურის განსაზღვრა ეფუძნება მრავალი ახალი სქემის შემუშავებას მასალატევადობისა და დამზადების ხარჯების გათვალისწინებით, მაგრამ, ამასთანავე, ნაკლებად ითვალისწინებენ ნაგებობათა აშენების მეთოდებს.

ეს საკითხები ხშირად ხდება მშენებლობის ხერხის შერჩევის ძირითადი კრიტერიუმი, რომელსაც მნიშვნელოვანწილად ექვემდებარება მასალის სახეობა, გარკვეული ფორმები და სტრუქტურა. ასეთი გახლავთ რეალობა და იგი ზოგჯერ წარმოადგენს პრინციპების განსაზღვრის თვითმარეგულირებელს. სწორედ ამით აიხსნება უპირატესობა და პოპულარობა, ვთქვათ, ასაწყობი სტრუქტურებისა მონოლითურთან შედარებით, რომელთაც ხშირად ანიჭებს პრიორიტეტს ეკონომიკური გაანგარიშება. ზოგჯერ პირიქითაც ხდება და ა.შ.

ხშირად თვით მშენებლობის პირობებიც განსხვავებულია. ზოგჯერ ისინი ექსტრემალურია, რომლის დროსაც საინჟინრო კონსტრუქციებისა და შენობანაგებობების მშენებლობა არატრადიციულ გადაწყვეტებს მოითხოვს.

ექსტრემალური პირობები სხვადასხვა დარგისა და ტექნიკის სახეობებისათვის შეიძლება სხვადასხვაგვარად ჩამოყალიბდეს. სამშენებლო კონსტრუქციების შექმნისას ეს შეიძლება იყოს:

- მკვეთრად შეზღუდული მშენებლობის ვადები;
- არაორდინარული გარემოს არსებობა კოსმოსის, წყლის, ატმოსფეროს სახით და ა.შ.;
- სამშენებლო პროცესები ძნელად მისადგომ ადგილებში და რთულ პირობებში;
- კონსტრუქციების აგება კატასტროფებისა და საომარი მოქმედების ზონებში;
- ნაგებობებისა და კონსტრუქციების დაჩქარებული ადგილგადანაცვლება;
- კონსტრუქციის ფორმის პერიოდული შეცვლის მოთხოვნა;
- კონსტრუქციების მრავალგზის გამოყენების საჭიროება, როგორც ერთ, ისე სხვადასხვა ადგილას;

- გარდა ამისა, ახლად წარმოშობილი განსაკუთრებული პირობები, მოტივები და სხვა.

ექსტრემალურ პირობებში კონსტრუქციების შექმნას ცვლილება შეაქვს ამოცანის გადაწყვეტის შერჩევისა და შეფასების ლოგიკაში.

საექსპლუატაციო და ფუნქციური პარამეტრების მიღწევისას ზოგჯერ ეკონომიკური მაჩვენებლები უკანა პლანზე აღმოჩნდება და წინა პლანზე გადმოდის პრობლემების გადაჭრის ტექნიკური და ტექნოლოგიური პარამეტრები.

ზემოაღნიშნული პირობები ხშირად მინიმუმამდე ამცირებენ იმის გარანტიას, რომ ადგილზე მოხდეს ცალკეული კონსტრუქციების შექმნა. ამიტომ ნაკეთობის ეგრეთ წოდებული „საქარხნო მზაობის“ დონე შეძლებისდაგვარად მაქსიმალურად მაღალ ნიშნულამდე უნდა იქნეს აყვანილი.

კონსტრუქციის სტრუქტურის აგების არქიტექტურა და ფორმების წარმოქმნის პროცესი, თითქოსდა მრავალი ვარიანტის არსებობის მიუხედავად, რეალურად ხორციელდება ორი მიმართულებით:

- ფორმის აგება და შეცვლა კონსტრუქციის ფუნქციონირების ადგილას, მისი სტრუქტურის ცალკეული ელემენტებისაგან აწყობის საფუძველზე;
- ფორმის აგება და შეცვლა კონსტრუქციის ფუნქციონირების ადგილას იმ სისტემის გეომეტრიის ტრანსფორმაციაზე დაყრდნობით, რომელსაც აქვს წინასწარ შექმნილი შესაბამისი სტრუქტურა ურთიერთ-დაკავშირებული ცალკეული ელემენტების საფუძველზე.

ფორმათწარმოქმნის განხილული ორი მიმართულება „ასაწყობი“ და „ტრანსფორმირებადი“ სტრუქტურების გამოყენებით გამორიცხავს მშენებლობაში დამკვიდრებულ ფორმათწარმოქმნის „მონოლითურ“ სტრუქტურას, რადგან იგი წარმოადგენს „ტრანსფორმირებად“ სტრუქტურებში კერძო შემთხვევას.

ეს ორი მიმართულება, რომლებიც ზემოთ განვიხილეთ, მთლიანად მოიცავენ ფორმების წარმოქმნის პროცესების ყველა შესაძლო გეომეტრიულ და ფიზიკურ მოდელს. წინასწარი შეფასებისათვის უნდა აღვნიშნოთ, რომ მონოლითური მშენებლობის პროცესში ფიგურირებს ორი კომპონენტი, ეს არის: „ფორმები“ ანუ „ყალიბი“ და გამყარებადი მასა.

თუ გამყარებად მასას განვიხილავთ შემადგენელი კომპონენტების დონეზე, ვნახავთ, რომ იგი შედგება, ე.ი. „იწყობა“ ცალკეული ელემენტებისაგან, რომლებიც ერთმანეთთან ამყარებენ ქიმიურ ან სხვაგვარ ბმას – კავშირს, და გადაიქცევა ფორმაცვლად ანუ ტრანსფორმირებად სისტემად, ან რჩება

ცალკეული ელემენტების უბრალო ანაკრებად. გარკვეული დროის შემდეგ, როდესაც კავშირების გამყარებითი შექმნით მოხდება “ფორმის ფიქსაცია”, გამყარებულ კონსტრუქციას მოხსნიან „ფორმებს“ – ყალიბს.

ორიგი ქვევარიანტში დასახული ფორმების წარმოქმნა, ე.ი. ტრანსფორმაცია, ხორციელდება დამატებითი დროებითი საბმულებით, – „ფორმებით“, რომლებიც ფუნქციონირებენ სტრუქტურის შიგნით მუდმივი ბმების წარმოქმნამდე. სწორედ ამით აიხსნება “მონოლითური” სტრუქტურის მიკუთვნება ტრანსფორმირებადი სტრუქტურებისადმი.

რაც შეეხება კოსმოსში მშენებლობას, დროთა განმავლობაში ისინი სულ უფრო აქტუალური ხდება. კაცობრიობა უკვე შეუდგა კოსმოსის ათვისებას და აქ უკან ადარ დაიხევს. მეცნიერული, საწარმოო, ტექნიკური და ტექნოლოგიური პროცესები სულ უფრო მჭიდროდ უკავშირდება ორბიტული ტექნოლოგიის სისტემებს. ისინი განსაზღვრავენ საზოგადოების ცივილიზაციის დონეს და საქმიანობას. ბევრი პრობლემის ეფექტიანი გადაწყვეტა კოსმოსისა და კოსმოსური ტექნიკის გარეშე არათუ მომავალში, უკვე დღეს არის შეუძლებელი, რომ აღარაფერი ვთქვათ პლანეტების ათვისებასა და სუპერსადგურების მშენებლობაზე.

აქედან გამომდინარე, კოსმოსის პრობლემები ვერ ეტევა მხოლოდ საფრენი აპარატებისა და რაკეტამატარებლების სპეციალისტთა საქმიანობის სფეროში და სცილდება მას. ისინი მოითხოვენ ადამიანთა საქმიანობის ყველა სფეროს წარმომადგენელთა თანამშრომლობას. კოსმოსთან ადამიანის კონტაქტის პირველ ეტაპზე დღის წესრიგში დადგა მშენებლობის – კოსმოსური მშენებლობის საკითხი. ეს დაკავშირებულია პრაქტიკულ საქმიანობასთან და მრავალმხრივ კვლევებთან.

მაგრამ უკვე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ორბიტულ ნაგებობებში გამოყენებას ჰპოვებს და ინერგება არა მარტო ახალი კონცეფციები, არამედ დედამიწაზე შექმნილი უკვე ცნობილი კონსტრუქციებიც. ეს გასაგებიც არის – კაცობრიობა ხომ ათასწლეულების მანძილზე დაგროვილ გამოცდილებას ხშირად იყენებს თავის შემოქმედებით საქმიანობაში.

კაცობრიობის აზროვნებას, „დედამიწა-კოსმოსის“ სქემით მოქმედებისას, არ შეიძლებოდა, არ შეემჩნია უკუკავშირიც – „კოსმოსი-დედამიწა“ – მით უმეტეს, რომ მშენებლობაში „უწოდადობის“ გამოყენება “კოსმოსური ეპოქის” დადგომამდე დიდი ხნით ადრე დაიწყო. მაგალითისათვის შეგვიძლია დავასახელოთ ამწეზე ჩამოკიდებული მძიმე ტვირთების ხელით ორიენტაცია, კვანძების შეპირაპირების

ან გადანაცვლების დროს. სწორედ ეს არის ნაკეთობის „გაუწონადობა“, ე.ი გრავიტაციის ფაქტორის ნაწილობრივი მოხსნა, რაც კოსმოსის პირობების იმიტაციას წარმოადგენს.

დედამიწისგარე მშენებლობა დღესდღეობით სავსებით ტრადიციულად გამოიყურება – ნაგებობები, სადგურები და სათავსები სიცოცხლის უზრუნველყოფისა და ტექნიკის ფუნქციონირებისათვის, ენერგორესურსების აკუმულაციისა და გაცემისათვის; მზის ბატარეები; კონცენტრატორები; ამრეკლები და იალქნები; ტექნოლოგიური ბაქნები; მზიდი კარგასები; ზომაგრძელი და მღლიავი ელემენტები და ა.შ. აი, იმ საინჟინრო ნაგებობათა მთელი ანაკრები, რომლებიც უნდა ვაშენოთ კოსმოსის ერთობ სპეციფიურ და ექსტრემალურ პირობებში. სწორედ ეს განასხვავებს მათ უკვე ცნობილი ინჟინერული გადაწყვეტებისაგან.

მიწისზედა ნაგებობებისაგან კოსმოსურ საინჟინრო ნაგებობათა განსხვავების ხარისხი ნაირგვარია. იგი კლებულობს იმ კონსტრუქციების მიმართ, რომლებიც ნავარაუდევია აშენდეს ექსტრემალურ პირობებში და ძნელად მისადგომ ადგილებში დედამიწაზე. ასეთი მიდგომა ბუნებრივია, ვინაიდან ყველაზე ფანტასტიკურ კოსმოსურ ტექნიკასაც კი ადამიანი ქმნის დაგროვილი ცოდნისა და გამოცდილების გამოყენებით, რომლებიც ასევე დედამიწაზეა შეძენილი.

ამიტომ, სულ ცოტა დრო, მხოლოდ 25-35 წელიწადი, დასჭირდა იმას, რომ კოსმოსურ საინჟინრო ნაგებობათა მშენებლობის პრობლემის გადაწყვეტაში მშენებლებივ ჩართულიყვნენ.

კოსმოსში დიდ საინჟინრო კონსტრუქციათა აგება და მათთვის „მშენებლობის“ სტატუსის მინიჭება წყვეტს არა მარტო ფორმალურ, არამედ მეთოდურ ამოცანასაც. საწყის ეტაპზე კოსმოსში დიდი საინჟინრო კონსტრუქციების შემუშავებას ინერციით მოჰკიდეს ხელი კოსმოსური ტექნიკის პროფესიონალებმა: რადისტებმა, მექანიკოსებმა, მასალათმცოდნეებმა, ენერგეტიკოსებმა, ელექტრომექანიკოსებმა და სხვებმა. ამიტომ, ნაგებობის შექმნაში სრულიად ბუნებრივად ვაწყდებოდით რთული მექანიკური და სხვა მანქანების აგების პრინციპთა დიდ სიჭარბეს. ამავე დროს, ნაგებობების შექმნა სამშენებლო მეცნიერების დახმარებით, არსებული ტრადიციებისა და დარგის სპეციალისტთა გამოცდილების გათვალისწინებით, ძირფესვიანად ამარტივებს ამოცანის გადაწყვეტას. ამიტომ აღნიშნულ პრობლემატიკაში სამშენებლო კონსტრუქციების სპეციალისტების საბაზო ყოფნა უზრუნველყოფს სამუშაოთა

შესრულების უფრო მოსახერხებელი გადაწყვეტილების და მეთოდების დანერგვას.

კოსმოსში ტრანსფორმირებადი კონსტრუქციების გამოყენების დიდი პერსპექტივები არ სცილდება სისტემის ფორმატზარმოქმნის ზოგადი ლოგიკის ფარგლებს. ისინი მხოლოდ ამდიდრებენ გადაწყვეტის ვარიანტებს, რაც უკუკავშირის მეოხებით ხელს შეუწყობს ტრადიციული, დედამიწისეული ტრანსფორმირებადი კონსტრუქციების გამოყენებას და განვითარებას.

დიდი საინჟინრო კონსტრუქციები კოსმოსში – ეს ნიშნავს მშენებლობის პროცესის გადასვლას კოსმოსურ სივრცეში. ყველა ტექნიკური გადაწყვეტა, ტექნოლოგიური პრინციპები და კონსტრუქციული სქემები, შესაბამისი ცვლილებებით, გარკვეულ ვითარებებში შეიძლება გამოყენებულ იქნეს ორბიტაზე, ასე რომ, უსამართლობა იქნებოდა მიგვენიჭებინა რომელიმე მათგანისათვის უნივერსალური პრიორიტეტი.

ორბიტებზე საინჟინრო ნაგებობების შექმნა შეიძლება განხორციელდეს ოთხი ძირითადი ხერხით ან მათი კომბინირებით:

ფუნქციონირების ადგილზე კონსტრუქცია შეიძლება მიტანილ იქნეს საპროექტო ფორმის მქონე მზა ნაკეთობის სახით, ასეთი პროდუქციის ორბიტებზე მიტანა ყველაზე საიმედო და, ერთი შეხედვით, შედარებით მარტივ ხერხს წარმოადგენს. მაგრამ დიდი გაბარიტის ნაგებობისათვის, თუ გავითვალისწინებთ წონითს პარამეტრებს და რაკეტა მატარებლების სატვირთო ნაკვეთურების ტევადობას, ასეთი მიღებობა ტექნიკური და ეკონომიკური თვალსაზრისით ერთობ შეზღუდულია.

პრობლემების გადაჭრის მეორე გადაწყვეტა – ეს არის უკვე კოსმოსში აწყობილი კონსტრუქციის მიტანა ერთი ორბიტიდან მეორეზე. მაგრამ ეს უფრო განეკუთვნება ტვირთის ტრანსპორტირების ამოცანებს, ვიდრე სისტემების ფორმატზარმოქმნის ხერხებს.

ორბიტებზე კონსტრუქციების ცალკეული მზა ელემენტებისაგან აწყობა, კოსმონავტთა საქმიანობის აქტივოზაციის შემდეგ, რობოტებისა და სპეციალისტების გამოყენებით სულ უფრო ხელმისაწვდომი ხერხი ხდება, მაგრამ მოცემულ ეტაპზე მათი გამოყენება მაინც შეზღუდულია.

ამიტომ, თუ გავითვალისწინებთ გარემოს ექსტრემალურობას, მეტწილ შემთხვევებში ორბიტული კომპლექსების მუშაობის ავტომატურ რეჟიმებს, რობოტების კავშირებულ პროცესებს და კოსმონავტთა მანევრების შეზღუდულობას, ცხადი ხდება, რომ დედამიწაზე ან ორბიტალურ სადგურზე

წინასწარ შექმნილი ნაგებობის და კონსტრუქციის დაკეცილი სატრანსპორტო პაკეტიდან კოსმოსში გაშლის – ტრანსფორმაციის ხერხი პრიორიტეტულ პოზიციას ინარჩუნებს.

რაც შეეხება კოსმოსში მშენებლობას ელემენტთა და ნაკეთობათა დამზადების ტექნოლოგიური ციკლების განხორციელებით, ეს პერსპექტივა უფრო მასშტაბურად გვესახება კოსმონავტიკის განვითარების მომდევნო და არც თუ შორეულ ეტაპებზე. ამასთან ერთად, სხვა ხერხებთან კომბინირებით, მასალის „ფორმის დამამახსოვრებელი“ ნივთიერების გამყარების ტექნოლოგიური პროცესების გამოყენება, პროფილებისა და თვით ფერმების აგრეგატული დამზადება უკვე დღეს არის აქტუალური.

როგორც აღინიშნა, კონსტრუქციების შექმნა მათი ტრანსფორმირების საფუძველზე პრიორიტეტულად გვესახება კოსმონავტიკის განვითარების ამჟამინდელ ეტაპზე.

კოსმოსში მშენებლობისათვის პერსპექტიული კონსტრუქციული გადაწყვეტებისა და მათი გამოყენების ხერხების ანალიზის დროს ვრწმუნდებით, რომ ხელოვნურია სქემების და პროცესების გადანაწილება პერსპექტიული ჯგუფების სახით. ამას ადასტურებს დედამიწაზე მშენებლობის ისტორიაც და მისი თანამედროვე განვითარებაც.

ყოველი კონკრეტული სქემა, თითოეული ტექნოლოგიური მიმართულება და ყოველი მასალის ტიპი შეფასებულ უნდა იქნეს არა ზოგადად, არამედ კონკრეტული ამოცანისათვის განკუთვნილი, დაზუსტებული ტექნიკური მოთხოვნების შესაბამისად. ტრანსფორმირებად სისტემებში კონკრეტულ გადაწყვეტებს წარმოადგენენ ფერმების, კოჭისებრი, ვანტური, ვანტურდეროიანი, ფურცლოვანი, გარსული, ბრტყელი და სიკრციო, აგრეთვე წინასწარდაძაბული, ცნობილი და ახალი კონსტრუქციების სხვადასხვა სახეობები.

მაგრამ კოსმოსური ბაზირების ტრანსფორმირებადი კონსტრუქციების თითოეული სქემის რეალიზაციისათვის განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს სისტემის ფორმაცვალებადი სტრუქტურები. მაგალითად, ფერმების კონსტრუქცია შეიძლება აიგოს სახსრებისა და დეროებისაგან, აგრეთვე პნევმატიკური აფსკისებრი მიღებისაგან, რომლებიც იბერება ან ივსება პლასტიკური მასით, ეს მასა შემდეგ მყარდება.

ეს ადასტურებს, რომ ტრანსფორმირებადობა არ წარმოადგენს კონსტრუქციის დამახასიათებელ ნიშანს რომელიმე სქემატური კლასისადმი მისი

მიკუთვნების თვალსაზრისით, როგორც ეს მეტწილ კლასიფიკაციებშია მიღებული.

ტრანსფორმირებადი სისტემებისათვის ასევე არ წარმოადგენს კონსტრუქციულ ნიშანს მისი დინამიკური საფუძვლები. სისტემის მახასიათებელი, მიუხედავად იმისა, არის იგი მექანიკური, ავტომატური, თუ ხელისა, ცენტრიდანულად თუ სხვაგვარად გასაშლელი, არ ზღუდავს სქემების კლასს მათი რეალიზაციისათვის. მაგალითად, ცენტრიდანულად შეიძლება გაიშალოს არა მარტო ვანტური სისტემები, რომლებიც ტრადიციულად შეესაბამება ამ გადაწყვეტებს, არამედ აგრეთვე ზომაგრძელი ფერმის ელემენტები, თუ მოხდება ამ კონსტრუქციების მოდიფიცირება ასეთი ამოცანების შესაბამისად.

სურვილი, მოვახდინოთ ტრანსფორმირებადი კონსტრუქციების კლასიფიცირება მათი სქემების სახეობებისა და ჯგუფების მიხედვით, კონსტრუქციული ერთიანი სისტემისაგან ცალკე, საფუძველს არის მოკლებული. ყველა არსებული ტრანსფორმირებადი სისტემა თავის ადგილს პოულობს კონსტრუქციების სქემათა არსებულ გრადაციებში, მათი „ტრანსფორმირებადობა“ თუ „აწყობადობა“ სხვადასხვა სახეობათა კონსტრუქციების ტექნოლოგიურ თავისებურებას წარმოადგენს.

ამიტომ, ტრანსფორმირებადი კონსტრუქციების შესწავლისას წინა პლანზე გადმოდის ტრანსფორმაციის რეალური სტრუქტურები, ფორმათა წარმოქმნის კინემატიკური და დინამიკური საფუძვლები.

კოსმოსური ნაგებობანი პრაქტიკულად, ისევე როგორც დედამიწისეული სისტემები, თავიანთი ფუნქციური დანიშნულების მიხედვით შეიძლება იყოს:

- ძალური;
- პრეციზიული;
- მდობავი.

ეს ფუნქციური თვისებები ემატება კონსტრუქციის ექსპლუატაციის მოთხოვნებს და აუენებს პირობებს, რომლებიც განმსაზღვრელ გავლენას ახდენენ გასაშლელი კონსტრუქციის შერჩევის პრინციპებზე. მაგალითად, პრეციზიული კონსტრუქციების შემთხვევაში, რომლებიც დიდი საექსპლუატაციო გაბარიტებით გამოირჩევა და შეზღუდულია დაკეცილი პაკეტის ზომებით, გაძნელებულია ტრანსფორმირებადი ფერმული სტრუქტურების გამოყენება, ვინაიდან უამრავი მექანიკური სახსრისა და ელემენტის არსებობა განაპირობებს ფოლხვას და

ცდომილებებს დამზადებისას. ეს ართულებს ზუსტი საპროექტო გეომეტრიის მიღწევას და იწვევს დეფორმაციის ზრდას, რაც ტრანსფორმაციისათვის ხელისშემშლელი ფაქტორია.

აღნიშნული გარემოება განსაკუთრებით იჩენს თავს მაშინ, როდესაც ფერმა სტატიკურად ურკვევადია. ამის მიზეზი გახლავთ ის, რომ ფერმის კვანძებისა და დეროების გეომეტრიის უმნიშვნელო ცვლილების დროს დეროები, რომლებიც ხშირად გაშლის ენერგოშემცველებს და ფორმის საბოლოო ფიქსატორებს წარმოადგენენ, ბოლომდე ვერ იმართება, და, ამის შედეგად ვერ უზრუნველყოფენ ფორმათწარმოქმნის პროცესის დასრულებას.

ტრანსფორმაციის მეშვეობით კონსტრუქციული სისტემების ფორმების წარმოქმნა უნდა აკმაყოფილებდეს იმ განსაკუთრებულ მოთხოვნებს, რომლებსაც ვუყენებო ახალი ფორმების შექმნას პრაქტიკულად ყველგან – როგორც დედამიწაზე, ისე კოსმოსურ სივრცეში.

მაგრამ ამ მოთხოვნების დაკმაყოფილების დროსაც კი, ტრანსფორმაციის გზით კონსტრუქციის ფორმათწარმოქმნა თავის გადაწყვეტის სირთულის და ძვირადღირებულების გამო მკაცრ შეფასებას მოითხოვს.

ტრანსფორმირებადი სისტემის შექმნისათვის საჭირო დრო, ტექნიკური გადაწყვეტის კვალობაზე, უმეტესწილად უფრო მეტიც კი არის იმ დროსთან შედარებით, რომელიც ანალოგიური არატრანსფორმირებადი სისტემების დამზადებას სჭირდება. ამასთან, არცთუ იშვიათად, საჭიროა მაღალი კვალიფიკაციის მუშახელის, ძვირადღირებული მასალების, როგორი მექანიზმებისა და მოწყობილობის გამოყენება. მაგრამ შრომისა და დანახარჯების აკუმულაცია ტრანსფორმაციის სტარტამდე ხდება.

მეცნიერების და ტექნიკის შემდგომ განვითარებასთან ერთად დღის წესრიგში დადგება ამოცანა, შევქმნათ საინჟინრო კონსტრუქციები ექსტრემალური პირობებისთვის და სწორედ ამ მიმართულებით გვესახება პერსპექტიულად ტრანსფორმირებადი სისტემების ფართო გამოყენება.

ზემოაღნიშნულიდან ნათლად ჩანს, რომ ზოგადად ტრანსფორმირებადი სისტემის ანალიზი და მათი ლოგიკა ერთობ მრავალფეროვანი და მრავალმხრივია. ამდენად, საწყის ეტაპზე, აუცილებელი ხდება საინჟინრო ტრანსფორმირებადი სისტემის მათემატიკური მოდელის შემუშავება და მათემატიკური ლოგიკის საფუძველზე განზოგადებული თვისებების ჩამოყალიბება. ერთი სიტყვით, საქმე შეეხება ტრანსფორმირებადი სისტემების თეორიას, როგორც ფორმათწარმოქმნის კანონზომიერების განსაზღვრას.

II. ტრანსფორმირებადი საინჟინრო სისტემების თეორია

II.1. ტრანსფორმირებადი კონსტრუქციების ზოგადი ნიშნები

სიტყვა „ტრანსფორმაცია“ ლათინური „transformatico“-დან მომდინარეობს და ნიშნავს გარდასახვას, სახეცვლილებას და სხვას.

ამ ტერმინის ხმარების დიაპაზონი საკმაოდ ფართოა. იგი პრაქტიკულად მეცნიერების, ტექნიკისა და ხელოვნების ყველა სფეროში გამოიყენება.

ტრანსფორმირებადობა საინჟინრო სისტემებში განისაზღვრება შემდეგი ტერმინებით: „ტრანსფორმირებადი ნაგებობები“, „ტრანსფორმირებადი კონსტრუქციები“, „ტრანსფორმირებადი დახურვები“ და ა.შ.

მაგრამ პრაქტიკულად, ლიტერატურაში, ყოფა-ცხოვრებისა და ტექნიკის სხვადასხვა სფეროში, ხმარობენ ტერმინებს, „გასაშლელი“, „დასაკეცი“, „გამოსაწევი“, „გასაბერი“, „მარაოსებრი“, „გარმონისებრი“, „პანტოგრაფიული“ და ა.შ., რომლებიც ტრანსფორმირებადი კონსტრუქციების აზრობრივ სინონიმებს და დაზუსტებებს წარმოადგენენ.

არადა, ისინი ყველანი ერთად ასახავენ ერთიან ტრანსფორმირებად სისტემას, ვინაიდან ის საერთო და პრინციპული ნიშნები, რაც ზემოხამოთვლილ კონსტრუქციებს ახასიათებს, ეს არის მათი ტრანსფორმირებადობა.

ტრანსფორმირებადი კონსტრუქციები ჯერ კიდევ უძველეს ხანაში გამოიყენებოდა გასაბერი ტყავის ბალიშების – ნავტიკების სახით, რომლებიც წყლის დაბრკოლების ინდივიდუალური გადალახვის საშუალებას წარმოადგენენ. ტრანსფორმირებადი კონსტრუქციები იყო აგრეთვე გასაშლელი თოკის კიბეები, რომლებიც სხვადასხვა მიზნით გამოიყენებოდა. ტრანსფორმირებადი კონსტრუქციების მაგალითია ქოლგები, ხომალდების ასაწევი იალქენები, მარაოები, კარის და ფანჯრის ასაწევ-გადმოსაწევი საჩრდილობლები და მრავალი სხვა.


ტრანსფორმირებადი კონსტრუქციები, დაკეცილი სახით უმეტეს შემთხვევაში კომპაქტური და მცირებაბარიტიანია. ისინი იოლი გადასატანია ყოველგვარი ტრანსპორტით.

ამასთან, ტრანსპორტაბელობა როდია გასაშლელ კონსტრუქციათა და ნაგებობათა სავალდებულო და საკმარისი ნიშანი. მაგალითად, გასაშლელი ხიდები, რომლებიც წარმოადგენენ მსხვილ სტაციონარულ ტრანსფორმირებად საინჟინრო ნაგებობებს, საჭიროებისამებრ იშლება, მაგრამ ამავე დროს ასეთი ხიდები ყოველთვის არ არის ტრანსპორტაბელური.

ამრიგად, არის ტრანსფორმირებადი კონსტრუქციები ტრანსპორტაბელური და არატრანსპორტაბელური, მაგრამ ორივეს აქვს უნარი – შეიცვალოს ფორმა.

კონსტრუქციის ფორმის შეცვლა ნიშნავს მისი ცალკეული ელემენტების ერთმანეთის მიმართ ფარდობით ურთიერთგადადგილებას. მაგრამ კონსტრუქციის ზოგადი ფორმის ყველა ცვლილება როდი განაპირობებს სისტემის ტრანსფორმირებადობას.

მაგალითად, მრავალი პრიზმის ერთობლიობა, ერთმანეთის მიმართ ნაირგვარი განლაგებისას წარმოშობს განსხვავებულ ფორმებს (ფიგ. II.1).



**ფიგ. II.1 – ასაწყობ კონსტრუქციაში გუბების გადანაწილება
სხვადასხვა ფორმის მიხედვით**

ამავე დროს, მრავალი ელემენტის ეს ერთობლიობა ტრანსფორმირებად სისტემად გვევლინება მხოლოდ მაშინ, როდესაც ელემენტები გარკვეული სახით არის დაკავშირებული ერთმანეთთან და წარმოშობებს ერთგვარ მოლიანობას. ამ პირობების გარეშე ელემენტთა ასეთი სიმრავლე წარმოადგენს ასაწყობ კონსტრუქციებს, რომლებიც არ უნდა გავაიგივოთ ტრანსფორმირებად კონსტრუქციებთან.

ელემენტების სისტემა, რომელსაც შეუძლია შეიცვალოს ფორმა, მრავალფეროვანია. სისტემები, რომლებშიც ერთმანეთთან დაკავშირებულ შემადგენელ ელემენტებს შეუძლიათ გადაადგილდნენ ერთურთის მიმართ, შეიძლება დაიყოს ორ ძირითად ჯგუფად.


პირველი ჯგუფის სისტემები თავიანთი ფუნქციონირების პროცესში ტრანსფორმირდებიან, ანუ დროის თითოეულ შუალედში ყველა ელემენტის მდებარეობა ერთურთის მიმართ სხვადასხვაა. ასეთი სისტემა წარმოადგენს მექანიზმს, ე.ი. სხეულთა სისტემას, რომელიც განკუთვნილია ერთი ან რამდენიმე სხეულის მოძრაობის გარდაქმნისათვის სხვა სხეულების საჭირო მოძრაობად. ასეთი სისტემის მაგალითია საათი, რომლის ელემენტები დროის სხვადასხვა შუალედში ერთურთის მიმართ სხვადასხვაგვარად არის განლაგებული.

მეორე ჯგუფის სისტემები ფუნქციონირებენ ტრანსფორმაციის შედეგად წარმოქმნილი ფიქსირებული გეომეტრიული ფორმის სტადიაში. მაგალითად, ჩამოსაშვები შტორები ტრანსფორმაციის შემდეგ ასრულებენ თავის ფუნქციებს, ფარავენ რა შენობის შიდა ნაწილს გარე სივრცისაგან.

ორივე შემთხვევაში სისტემის ფუნქციონირებად იგულისხმება სისტემის მიერ თავისი უშუალო დანიშნულების შესრულების პროცესი.

არის სისტემები, რომლებშიც შეხამებულია ორივე ჯგუფის ნიშნები, ე.ი. ისინი ერთდროულად წარმოადგენენ მექანიზმებსაც და ტრანსფორმირებად სისტემებსაც. ასეთი სისტემის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ გასაბერი აეროსტატი, რომელიც ეტაპობრივად, სიტუაციის მიხედვით იცვლის ფორმას და აირით გაბერილი ასრულებს თავის ფუნქციას.

ტრანსფორმირებად სისტემებს კონკრეტულ შემთხვევებში შეიძლება ჰქონდეთ ნაირგვარი ფორმა. მაგალითად, გასაშლელი სავარძლის შენახვა დაკეცილი სახით უფრო მოსახერხებელია და გადასატანადაც იოლია (ფიგ. II.2. a).



ფიგ. II.2 – გასაშლელ-დასაკეცი სავარძლი:

- ა – დაკეცილი მდგომარეობა; ბ – გაშლილი, საექსპლოატაციო მდგომარეობა;
- ც – შუალედური ფიქსირებული ფორმა; დ – გაშლილი საექსპლოატაციო მდგომარეობის განსხვავებული ფორმა.

ტრანსფორმაციის შემდეგ, გაშლილი სახით (ფიგ. II.2.b) სავარძელი იღებს ფუნქციურ ფორმას, ანუ ისეთ ფორმას, როცა მასში შეიძლება ჩაჯდე- ელემენტების მდებარეობის მიხედვით მას ასევე შეიძლება მიენიჭოს განსხვავებული ფუნქციური ფორმა (ფიგ. II.2.c). სავარძლის ფორმის ფიქსირებული მდგომარეობა მიიღწევა არა მარტო ფუნქციონირების პროცესში, არამედ ელემენტების სხვაგვარი მდებარეობის დროსაც (ფიგ. II.2.d).

სავარძლის კონსტრუქციის ტრანსფორმაციის ყველა ეტაპზე მის ფორმაში დაცულია ცალკეული ელემენტების ურთიერთდაკავშირების და მთლიანობის სტრუქტურა.

განვსაზღვრავთ რა ტრანსფორმირებადი სისტემების ფიქსირებული ფორმების ფიზიკურ აზრს, შეგვიძლია ვთქვათ, რომ იგი შეესაბამება მექანიკურ სისტემათა წონასწორობას.

ზოგადად ტრანსფორმირებადი სისტემა წარმოადგენს მექანიზმისა და ნაგებობის სინთეზს. გაშლის ეტაპზე იგი სრულყოფილი მექანიზმია, ხოლო გაშლილ მდგომარეობაში ტრანსფორმირებადი – გასაშლელი სისტემა წარმოადგენს ნაგებობას.

ამდენად, ტრანსფორმირებადი კონსტრუქციები, როგორც როტულად ორგანიზებული სტრუქტურა მოითხოვს მის თანმიმდევრულ განხილვას და სისტემატიზაციას.

II. 2. ფორმათწარმოქმნის პროცესები

მშენებლობის სწრაფი ტემპი, დასახულ სამუშაოთა დიდი მოცულობა, მაღალი ხარისხი და საიმედოობა, ეკონომიურობა და ინდუსტრიულობა, ესთეტიკურობა და სხვა მოთხოვნები, რომლებსაც კონსტრუქციებს ვუყენებთ, განაპირობებენ იმის საჭიროებას, რომ შეირჩეს ან შეიქმნას ეფექტიანი საშენი მასალები, შემუშავდეს კონსტრუქციის დამზადებისა და აწყობის ახალი ტექნოლოგიები, უზრუნველყოფილ იქნეს ნაკეთობის ტრანსპორტირება, მაქსიმალური საქარხო მზაობა, მთელი პროცესის ორგანიზაციის, მექანიზაციისა და ავტომატიზაციის მაღალი დონე – კონსტრუქციის დაპროექტებით დაწყებული და მისი განხორციელებით დამთავრებული.

ტექნიკური ამოცანის ეფექტიან გადაწყვეტასთან დაკავშირებულ მრავალ საკითხთა შორის ერთ-ერთი ძირითადია ნაგებობის კონსტრუქციული ფორმა. მშენებლობის განვითარების მთელი ისტორია, როგორც საინჟინრო, ისე

არქიტექტურული თვალსაზრისით, უშუალო კანონზომიერ კავშირშია კონსტრუქციის ფორმების განვითარებასთან.

კონსტრუქციის ახალი ფორმების ძიება და შესწავლა დღეს მოიცავს მკვლევართა და სპეციალისტთა ფართო წრეს. უნდა აღინიშნოს, რომ იგი სამშენებლო ხელოვნების და მეცნიერების ნომერ პირველი პრიორიტეტია.

ფორმათურმოქმნის პროცესების შესწავლა მკვლევართა თანაბარ ინტერესს იწვევს როგორც ტექნიკის, ისე ცოცხალი ბუნების დარგში.

ჩვენ აქ არ ჩავუდრმავდებით ბიონიკური მეთოდის გამოყენების საკითხებს. მოცემულ ეტაპზე მისი მეშვეობით ძირითადად წყდება ამოცანები ისეთი ფორმის შერჩევის, რომლებიც უზრუნველყოფენ კონსტრუქციების და ნაგებობების გაუმჯობესებულ საექსპლუატაციო და ფიზიკურ-მექანიკურ თვისებებს და სრულყოფილ, ბუნებრივ და ბუნებასთან შერწყმულ არქიტექტურას.

კონსტრუქტორთა ამოცანაა განსაზღვრონ არა მარტო კონსტრუქციის ოპტიმალური ფორმა, არამედ, აგრეთვე მისი განხორციელების, ე.ი. კონსტრუქციის საკუთარი ფორმის მიღწევის საუკეთესო და მისაღები ხერხები.

სწორედ ეს მხარე, კონსტრუქციის ფორმირების რეალურად შესაძლო და ხელმისაწვდომი ხერხების გამოვლენა, გვევლინება მეტწილად ტექნიკური გადაწყვეტის და კონსტრუქციის შექმნის პრობლემის გადაჭრის დონის შეფასების ძირითად კრიტერიუმად.

ფორმათურმოქმნის კანონზომიერებათა განმარტებასთან ერთად, ინტერესს წარმოადგენს ფორმის განხორციელების ძირითადი ხერხების არსიც. კერძოდ, უფრო კონკრეტულად დაიხმის კითხვა: რა ხერხებით იქმნება კონსტრუქცია, ე.ი. როგორ შეიძლება მიმდინარეობდეს მისი საკუთარი ფორმის ჩამოყალიბება.

საინჟინრო კონსტრუქცია – ეს არის ურიერთდაკავშირებული ელემენტების სისტემა. როგორც ელემენტების სისტემას, მას აქვს სტრუქტურა – ობიექტის მდგრადი ბმების ერთობლიობა, რომლებიც უზრუნველყოფენ მის მთლიანობას და იგივეობას საკუთარი თავისადმი.

ნებისმიერი ფორმის კონსტრუქციის ამოსავალი წერტილია მისი შემადგენელი ელემენტები და მათი ურთიერთდამაგრების კავშირები.

რეალურ პირობებში ხშირად წაშლილია მკაფიო საზღვარი ცალკე წარმოდგენილ ელემენტსა და ცალკე წარმოქმნილ ბმებს შორის, ვინაიდან ფუნქციონალურად ისინი ერთმანეთთან არის შერწყმული. მიუხედავად ამისა, ამოცანის გადაწყვეტის მწყობრი სისტემატიზაციისათვის მოსახერხებლად ისახება სისტემის ელემენტების და მათი ბმების ურთიერთგამიჯვნა.

კონსტრუქციის ფორმირების პროცესი იწყება ელემენტებისა და ბმების შერჩევით. კონსტრუქციის ფორმის მიღწევისა და განხორციელების მიზნით, შეიძლება წარმოიშვას პირობები ახალი, დამატებითი, ეგრეთ წოდებული ფიქსაციის ბმების კონსტრუქციაში მოწყობისა.


ნებისმიერ შემთხვევაში კონსტრუქციის ფორმა არის მრავალი სხვადასხვა ელემენტის კონკრეტული სიმრავლე, რომლებიც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, გარკვეულ კავშირშია ერთმანეთთან და წარმოშობს გარკვეულ სისტემას.

ფორმის შეცვლა არსებითად იგივეა, რაც კონფიგურაციის გეომეტრიის შეცვლა. ამიტომ, ფორმის ყოველი ცვლილების დროს წარმოიშობა ელემენტების ახალი სიმრავლე, ვინაიდან თითოეულ მათგანს აქვს შემადგენელი ელემენტების თავისი კერძო გეომეტრიული განლაგება.

ვინაიდან კონსტრუქციის ფორმა ელემენტთა სიმრავლის კონკრეტული სისტემა, ამ უკანასკნელის შეცვლა ნიშნავს სისტემის შეცვლას.

თუ კონსტრუქციის ფორმის წარმოქმნა ან შეცვლა ყოველთვის ნიშნავს კონსტრუქციის სისტემის წარმოქმნას ან შეცვლას, სტრუქტურა ასეთ ვითარებაში უცვლელი რჩება, ან იცვლება.

განვიხილოთ იმ სისტემისაგან აგებული ფორმა, რომელსაც ქმნის “N” ელემენტების სიმრავლე დაკავშირებული “C” ბმების ერთობლიობით (ფიგ. II.3).




ფიგ. II.3 – ფორმები, რომელიც შექმნილია “N” ელემენტების სიმრავლით და “C” ბმების ერთობლიობით.

a – ფორმა I; b – ფორმა II; c – ფორმა III.

როგორც ვხედავთ, საბმურების ტიპისა და სიგრძის შეუცვლელად, სხვადასხვა შესაძლო ზემოქმედების მეშვეობით, იცვლება კვადრატული სისტემის ფორმა (ფიგ. II.3.a) რომბისებური სისტემის ფორმად (ფიგ. II.3.b). ფორმა I გარდაისახა ფორმა II-დ, ანუ მოხდა ფორმათწარმოქმნა სტრუქტურის შეუცვლელად.

სტრუქტურის ცალკეული კავშირების დეფორმაციებით, ფორმის ცვლილების საილუსტრაციოდ, განვიხილოთ ფორმა I (ფიგ. II.3.a), რომელშიც უცვლელი რაოდენობით არის დატოვებული “N” ელემენტების რაოდენობა. ელემენტთა ახალ სიმრავლეს, რომელიც წარმოქმნის ფორმა III-ის მქონე ახალ სისტემას (ფიგ. II.3.c), ვიღებთ სტრუქტურის დეფორმაციის ცვლილების შედეგად ბმების დამოკლებისა და დაგრძელების გზით. ფორმა III წარმოიშვა ბმულების “არამდგრადობის” შედეგად, ზემოაღნიშნული ფორმათწარმოქმნისაგან განსხვავებით (ფიგ. II.3.b), როცა ბმები მდგრადი რჩებოდა.

ახალი ფორმების შექმნის გავრცელებული შემთხვევაა სისტემის შემადგენელი ელემენტების რაოდენობის ცვლილება. ფორმათწარმოქმნის ასეთი პროცესები მიმდინარეობს ახალი ელემენტების დამატებით და ახალი საბმურების წარმოშობით ან მათი კლებით (ფიგ. II.4).



ფიგ. II.4 – ახალი ფორმის შექმნა სისტემის ელემენტების
დამატებით ან კლებით
a – ფორმა I; b – ფორმა II; c – ფორმა III.

ფორმათურმოქმნის ყველა სახეობაში კონსტრუქციის ელემენტები შეიძლება იყოს როგორც ერთნაირი, ისე ნაირგვარი.

ამდენად, ფორმათურმოქმნის ყველა შესაძლო პროცესი ეფუძნება ორ კომპონენტს: 1) N – სისტემის ელემენტებს, და 2) C – სტრუქტურის ბმებს.

ახალი ფორმები შეიძლება შეიქმნას ყველა შემთხვევაში, როდესაც ელემენტების რაოდენობა იცვლება – N^{\sim} ან მუდმივი რჩება – N^- . თითოეულ შემთხვევაში სტრუქტურის ბმები ასევე იცვლება – C^{\sim} , ან მუდმივი რჩება – C^- . ეს ნიშნავს, რომ ფორმათურმოქმნის დროს შეიძლება დაცულ იქნეს შემდეგი ოთხი კომბინაცია:


$$\begin{array}{ll} N^- & C^- \\ N^- & C^{\sim} \\ N^{\sim} & C^- \\ N^{\sim} & C^{\sim} \end{array}$$

კონსტრუქციის ფორმათურმოქმნის პროცესში ცალკე უნდა განვიხილოთ მისი სტრუქტურა - ბმების ერთობლიობა.

ყოველ ბმას ახასიათებს ორი ძირითადი პარამეტრი:

1) გეომეტრიული – G ; 2) მექანიკური – M .

ბმის გეომეტრიული პარამეტრი განსაზღვრავს მხოლოდ უშუალოდ გადაბმული ელემენტების ურთიერთგანლაგებას, ხოლო მექანიკური – მათს ძალურ ურთიერთკავშირს და თავისუფლების ხარისხს. თვალსაჩინოებისათვის განვიხილოთ სამი ურთიერთდაკავშირებული ელემენტის a , b და d -ს სტრუქტურა (ფიგ. II.5).



ფიგ. II.5 – ელემენტების და მათი ბმების გეომეტრიული და მექანიკური თვისების გამოვლენა.

სტრუქტურის გეომეტრიული პარამეტრები გულისხმობს ბმების სიგრძეს - a, b, c , და მათ ორიენტაციას სიბრტყეზე ან სივრცეში. მექანიკური პარამეტრები გულისხმობს: ბმების ზამბარულობას – a , დეროვან – b და მოქნილ დეროვან,

ცალმხრივ – **C** კავშირებს, ასევე ელემენტთან ჩამაგრების ხარისხს. კავშირების ჩამაგრება ხარისხის მიხედვით შეიძლება იყოს სახსრული, ხისტი და სხვა.

ყველა შემთხვევაში, როდესაც ფორმათწარმოქმნა არ მიმდინარეობს და კონსტრუქციას ფიქსირებული ფორმა აქვს, ან ფორმათწარმოქმნა სტრუქტურის შეუცვლელად სრულდება, ბმები ითვლება მდგრად – **C⁻**.

ბმები, რომლებსაც ეცვლებათ გეომეტრიული ან მექანიკური მახასიათებლები, ან – ორივე ერთად, ითვლება არამდგრადად – **C[~]**.

ფორმათწარმოქმნას კონსტრუქციებში განაპირობებს შიდა და გარე ძალური ფაქტორები. ამასთან, შესაძლებელია **N** ელემენტების რაოდენობის და სტრუქტურის გეომეტრიული და მექანიკური მახასიათებლების კომბინაციის შემდეგი ვარიანტები:

N⁻	G⁻	M⁻
N⁻	G⁻	M[~]
N⁻	G[~]	M⁻
N⁻	G[~]	M[~]
N[~]	G⁻	M⁻
N[~]	G⁻	M[~]
N[~]	G[~]	M⁻
N[~]	G[~]	M[~]

ჩამოთვლილი კომბინაციები ფორმათწარმოქმნის სხვადასხვა შემთხვევებს წარმოადგენენ. რეალურ პირობებში ეს პროცესები შეიძლება მიმდინარეობდეს მათი რამდენიმე კომბინაციის არსებობისას.

ამასთან, ასევე უნდა აღინიშნოს, რომ თუ გარდაქმნის კომბინაციაში იცვლება ელემენტთა რაოდენობა ან მიმდინარეობს მათი გადაჯგუფება, ბმების მოხსნის ან დამატების გზით, მაშინ ასეთი პროცესი შეესაბამება მშენებლობას ასაწყობი ელემენტებისაგან და ისინი არ არიან ტრანსფორმირებადი სისტემები.

ხოლო თუ პროცესის კომბინაციაში ელემენტთა რაოდენობა არ იცვლება და ბმები მათ შორის დაცულია, ასეთ სისტემებს ტრანსფორმირებადს უწოდებენ.

აღნიშნული ლოგიკიდან გამომდინარე სიმბოლიკები ჯგუფდება შემდეგნაირად:

I. ასაწყობი სისტემები

II. ტრანსფორმირებადი სისტემები

N[~]	G⁻	M⁻
----------------------	----------------------	----------------------

N⁻	G⁻	M⁻
----------------------	----------------------	----------------------

N^{\sim} G^{\sim} M^-

N^{\sim} G^- M^{\sim}

N^{\sim} G^{\sim} M^{\sim}

N^- G^- M^{\sim}

N^- G^{\sim} M^-


N^- G^{\sim} M^{\sim}

როგორ კომბინაციებში ერთობლივად სრულდება ფორმათწარმოქმნის როგორც პირველი, ისე მეორე პროცესები.

უნდა გავითვალისწინოთ, რომ ფუნქციონალურ ფორმაში, სისტემის წონასწორობის მისაღწევად, შეიძლება საჭირო გახდეს დამატებითი ბმები.


განასხვავებენ ფორმათწარმოქმნის ფორმამდგრად, ფორმა არამდგრად და ფორმადაზუსტებულ ტიპებს.

ფორმამდგრადი ტიპები შეესაბამება ტრანსფორმაციის ისეთ სახეობას, როდესაც პროცესის დაწყებიდან დამთავრებამდე ზუსტად ხდება პროგნოზირება და ფორმათწარმოქმნა მიმდინარეობს ამ პროგნოზის შესაბამისად. ტრანსფორმაციის ფორმამდგრადი პროცესის მაგალითი ნაჩვენებია ფიგ. II. 6-ზე.



ფიგ. II.6 – ფორმამდგრადი ტრანსფორმაცია.


ფორმა არამდგრად ტრანსფორმაციებში პროცესს აქვს ფორმათწარმოქმნის ნებისმიერი, დაუპროგნოზებელი ეტაპები. ტრანსფორმაციის ფორმა არამდგრადი პროცესების მაგალითი მოცემულია ფიგ. II.7-ზე.



ფიგ. II.7 – ფორმა არამდგრადი ტრანსფორმაცია.

რაც შეეხება სისტემის ტრანსფორმაციის ფორმადაზუსტებულ პროცესებს, აქ პროგნოზირებას ექვემდებარება ფორმათწარმოქმნის საწყისი და საბოლოო ეტაპები. შუალედური ეტაპები შეიძლება მიმდინარეობდეს ტრანსფორმაციის სხვადასხვა სქემებით. ზოგიერთ შემთხვევაში ფორმადაზუსტებული ტრანსფორმაციის პროცესი არის სინთეზი ფორმამდგრადი და

ფორმაარამდგრადი ტრანსფორმაციისა. ფორმადაზუსტებლი ტრანსფორმაციის მაგალითი მოცემულია ფიგ. II.8-ზე.



ფიგ. II.8 – ფორმადაზუსტებული ტრანსფორმაცია

ბმების თვისებები განსაზღვრავენ ფორმის ტრანსფორმაციის ქცევას.

მდგრად და არამდგრად ბმებს ზოგჯერ ახასიათებთ თვისება, გადაიქცნენ შესაბამისად ბმის არამდგრად ან მდგრად სახეობებად.

$$C^- \rightarrow C^{\sim}; \quad C^{\sim} \rightarrow C^-$$

ხდება, რომ ბმის გადაქცევის პროცესები შექცევადია:

$$C^- \leftrightharpoons C^{\sim}$$

ხოლო ზოგჯერ კი პერიოდული:

$$C^- \rightarrow C^{\sim} \rightarrow C^- \rightarrow C^{\sim}$$

როდესაც ფორმათწარმოქმნის ძირითად ტიპებს ვაანალიზებთ, უნდა აღვნიშნოთ, რომ ტრანსფორმაციისას ფორმამდგრადი პროცესები, ამ ცნების პირდაპირი აზრით, ნიშნავს ფორმის მდგრადობას მთელი პროცესის დროის ყოველ შეალებულ შემთხვევაში, სხვადასხვაგვარის ზემოქმედების მიმართ. ამასთან, ნებისმიერი კონსტრუქციული სისტემა შეიძლება გახდეს ისეთი ძალოვანი ზემოქმედების ობიექტი, რომლის დროსაც იგი კარგავს ფორმის მდგრადობას. ამიტომ, როდესაც ფორმა მდგრად ტრანსფორმაციას იხილავენ, გულისხმობენ მხოლოდ მის მდგრადობას ფორმის ცვლილების ეტაპებზე და არა მდგრადობის დაკარგვის ძალოვანი ზემოქმედებით.

II.3. სისტემის ტრანსფორმირებადი სტრუქტურები და გეომეტრია

ზოგადი სახით, როგორც აღინიშნა, ტრანსფორმირებადი სისტემები, ფორმის ფიქსირებული და ტრანსფორმაციის სტადიების არსებობის გათვალისწინებით, წარმოადგენენ საინჟინრო ნაგებობებისა და მექანიზმების სინთეზს. სისტემა ტრანსფორმაციის პროცესში მექანიზმია, ხოლო ფიქსირებულ მდგრმარეობაში ნაგებობა.

ამდენად, ტრანსფორმირებადი კონსტრუქციების სისტემატიზაცია კონკრეტული პარამეტრების მიხედვით მეტად მრავალმხრივია, რომელთა შორის ერთ-ერთი და მეტად მნიშვნელოვანია ტრანსფორმირებადი სისტემების გეომეტრია – ფორმა და მისი ცვალებადობის კანონზომიერებები.

განხილული რეალური კონსტრუქციული სისტემები გვიჩვენებენ, რომ ურთიერთდაკავშირებული ელემენტებიდან ცალკე-ცალკე თითოეულმა, გამონაკლისის გარეშე სხვადასხვაგვარი ძალოვანი ზემოქმედების დროს შეიძლება განიცადოს დეფორმაცია. ეს ნიშნავს, რომ ეგრეთ წოდებული საწყისი ელემენტი, რომელიც საბაზოა და თეორიულად აბსოლუტურად მყარად არის მიჩნეული, რეალურ პირობებში დრეკადობისა და პლასტიკურობის შედეგად, სხვადასხვაგვარი ზემოქმედების დროს, თვითონ იცვლის ფორმას და გადაიქცევა არამდგრადი ბმების მქონე ელემენტარულ ტრანსფორმირებად სისტემად.


საკითხის ასეთი დაყენების დროს, ფორმათწარმოქმნის უნარის მიხედვით, იშლება სისტემათა კლასიფიკაციის ყველა საზღვარი, ვინაიდან ქრება “მდგრადი ბმების” ცნება.

რეალური მასალებისაგან დამზადებულ კონსტრუქციებში ტრანსფორმირებადი სისტემა შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც ცალკეული მარტივი კონსტრუქციული ელემენტები.

ზემონათქვამიდან გამომდინარე, თუ განვიხილავთ ფერმის კონსტრუქციას, როგორც ტრანსფორმირებად სისტემას მოლეკულური ბმის დონეზე, გეომეტრიულად მისი ტრანსფორმაცია განისაზღვრება დრეკადი ან დრეკად–პლასტიკური დეფორმაციებით.

ფორმათწარმოქმნის პრინციპების განზოგადების თვალსაზრისით აქ წინააღმდეგობა არ არის. მაგრამ თუ განვიხილავთ ისეთი ელემენტებისაგან შედგენილ კონსტრუქციულ სისტემებს, რომელთა დეფორმაციულობაც არ ასრულებს მნიშვნელოვან როლს კონსტრუქციის ფორმის ზოგად ცვლილებებში, მაშინ ასეთი ელემენტები შეიძლება ჩაითვალოს აბსოლუტურად ხისტად (ფიგ. II.9, a).

თუ კონსტრუქციებში ტრანსფორმაციის პროცესის დროს, ყოველ ეტაპზე, ფორმა მიიღწევა დრეკადი, დრეკად-პლასტიკური ან პლასტიკური დეფორმაციების ხარჯზე, მაშინ ამ შემთხვევაში დეფორმაციის აბსოლუტურად დაუქვემდებარებელ ელემენტად შეიძლება ჩაითვალოს მოლეკულური დონე და დეფორმირდება მხოლოდ მოლეკულებს შორის არსებული ბმები (ფიგ. II.9, b).



ფიგ. II.9 – ტრანსფორმაციები, რომლებიც ხორციელდება:

a – ხისტი, სახსრულად დაკავშირებული ელემენტებისაგან და **b** – დრეკადი დეფორმაციებით, რომელიც სრულდება მასალის მოლეკულურ დონეზე, რომლის ელემენტად მიჩნეულია მოლეკულები, ხოლო ბმებად მოლეკულებს შორის არსებული კავშირები.

ამრიგად, ტრანსფორმირებადი შეიძლება იყოს კონსტრუქციები, რომლებიც შეიცავენ მუდმივი რაოდენობის მდგრად ბმებს და აკმაყოფილებენ სისტემის გეომეტრიული ცვალებადობის პირობებს. ამასთან, მათ შეიძლება გააჩნდეთ არამდგრადი ბმების როგორც ცვალებადი, ასევე მუდმივი რაოდენობა.

ტრანსფორმირებად სისტემებს აქვთ ფიქსირებული ფორმები და გარდასახვის ფორმები. ეს უკანასკნელი წარმოიშობიან ტრანსფორმაციის პროცესში და მათი რეალიზაცია ხდება წრფივი, ბრტყელი, გარსისებრი და მოცულობითი ფორმათწარმოქმნის გზით.

ასეთი გარდაქმნები განაპირობებენ ერთგანზომილებიანი, ორგანზომილებიანი და სამგანზომილებიანი ფიქსირებული ფორმების სხვადასხვა კომბინაციებს.

შესაძლო გარდაქმნების კლასიფიკაციისათვის შემოვიდოთ შესაბამისი სიმბოლიკა:

- ერთგანზომილებიანი ფორმა – $F = f(x)$;
- ორგანზომილებიანი ფორმა – $F = f(x; y)$;
- სამგანზომილებიანი ფორმა – $F = f(x; y; z)$.

უფრო კონკრეტულად, სიმბოლიკის გამოყენების გზით ფორმები ასე გამოვსახოთ.

- წრფივი ფორმა –
- ბრტყელი ფორმა –

- მრუდხაზოვანი ფორმა – 
- გარსისებრი ფორმა – 
- სივრცულ-მრუდხაზოვანი ფორმა – 
- მოცულობითი ფორმა – 

სიმბოლიკის გამოყენებით, ძირითადი გეომეტრიული ფორმების გარდაქმნების კომბინაცია შეგვიძლია ამგვარად გამოვხატოთ:

I. ერთგანზომილებიანი ფორმა ერთგანზომილებიანად და პირიქით:

$$F' = f'(x) \Leftrightarrow F'' = f''(x)$$


1) წრფივი ფორმა წრფივად




II. ერთგანზომილებიანი ფორმა ორგანზომილებიანად და პირიქით:

$$F' = f'(x) \Leftrightarrow F'' = f''(x; y)$$

1) წრფივი ფორმა ბრტყლად




2) წრფივი ფორმა მრუდხაზოგნად




III. ერთგანზომილებიანი ფორმა სამგანზომილებიანად და პირიქით

$$F' = f'(x) \Leftrightarrow F'' = f''(x; y; z)$$

1) წრფივი ფორმა მოცულობითად



2) წრფივი ფორმა სიგრცულ-მრუდხაზოვნად




3) წრფივი ფორმა გარსისებურ ფორმად



IV. ორგანზომილებიანი ფორმა ორგანზომილებიანად და პირიქით,

$$F' = f'(x) \Leftrightarrow F'' = f''(x; y)$$


1) ბრტყელი ფორმა ბრტყლად



2) მრუდხაზოვანი ფორმა მრუდხაზოვნად




3) მრუდხაზოვანი ფორმა ბრტყლად




V. ორგანზომილებიანი ფორმა სამგანზომილებიანად და პირიქით

$$F' = f'(x) \Leftrightarrow F'' = f''(x; y; z)$$


1) ბრტყელი ფორმა სიგრცულ-წრფივად




2) ბრტყელი ფორმა გარსისებურად




3) ბრტყელი ფორმა მოცულობითად



- 4) მრუდხაზოვანი ფორმა სივრცულ-მრუდხაზოვნად



- 5) მრუდხაზოვანი ფორმა მოცულობითად



VI. სამგანზომილებიანი ფორმა სამგანზომილებიანად და პირიქით

$$F' = f'(x; y; z) \leftrightarrow F'' = f''(x; y; z)$$

- 1) სივრცულ-მრუდხაზოვანი ფორმა გარსისებურად



- 2) სივრცულ-მრუდხაზოვანი ფორმა მოცულობითად



- 3) სივრცულ-მრუდხაზოვანი ფორმა სივრცულ-მრუდხაზოვნად



- 4) გარსისებრი ფორმა გარსისებრად



- 5) გარსისებრი ფორმა მოცულობითად




- 6) მოცულობითი ფორმა მოცულობითად



კომბინაციების ჯგუფების განხილვა გვიჩვენებს, რომ ფორმების ზოგადი გეომეტრიის თვალსაზრისით, მათი წარმოქმნისას შესაძლებელია სხვადასხვაგვარი გადასვლები, როგორც მათი განზომილების, ისე ტიპის მიმართ – წრფივი, ბრტყელი, მრუდხაზოვანი, სივრცულ-მრუდხაზოვანი, გარსისებრი და მოცულობითი.


თუ ტრანსფორმირებად სისტემებს ფორმის გარდაქმნის დროს აქვთ თვისება გარდაისახონ მხოლოდ „ერთი მიმართულებით“. მაგალითად, წრფივი ფორმის მოცულობითად ტრანსფორმაციის შემდეგ სისტემას არ ძალუბს უკუტრანსფორმირება, ასეთ სისტემებს უწოდებენ „ცალმხრივ ტრანსფორმირებადს“, სხვა შემთხვევებში ისინი „ორმხრივ ტრანსფორმირებადი“ იქნება.

სიმბოლურად „ცალმხრივი“ და „ორმხრივი“ ტრანსფორმაცია შეიძლება შემდეგნაირად ჩაიწეროს:




სისტემებს, რომელთაც შეუძლიათ ერთი მიმართულებით ერთხელ ტრანსფორმირება, ეწოდებათ „ერთეტაპიანი“, ხოლო სისტემებს, რომელთაც შეუძლიათ შესაბამისად განაგრძონ ფორმების წარმოქმნა - „მრავალეტაპიანი“:

ერთეტაპიანი:




მრავალეტაპიანი:



თუ ტრანსფორმირებადი სისტემა ცალმხრივი და ერთეტაპიანია, ეს ნიშნავს, რომ იგი „ერთჯერად-ტრანსფორმირებადია“.

სხვა შემთხვევებში ასეთ სისტემებს ეწოდებათ „მრავალჯერად-ტრანსფორმირებადი“ სისტემები.

თუ მრავალჯერად-ტრანსფორმირებად სისტემებში გარდაქმნა ხდება მხოლოდ ორ ფორმას შორის, და თითოეული მათგანი თანამიმდევრული რიგითობით წარმოიქმნება, ასეთი სისტემა იქნება „ერთ ტიპად ტრანსფორმირებადი“:



ხოლო თუ გარდაქმნა განაპირობებს სხვადასხვა ფორმების წარმოქმნას, სისტემა იქნება „მრავალ ტიპად ტრანსფორმირებადი“,




თუ ერთ შემთხვევაში მრავალ ტიპად ტრანსფორმირებადი სისტემის ყოველი კონკრეტული ფორმის წარმოქმნის რიგითობა არ არის დამოკიდებული სხვა ფორმების წარმოქმნის თანამიმდევრობაზე, მაშინ სისტემას ეწოდება “ნებისმიერად ტრანსფორმირებადი”:



ხოლო თუ ყოველი კონკრეტული ფორმის წარმოქმნის წესი დამოკიდებულია სხვა კონკრეტული ფორმების წარმოქმნის რიგითობაზე, მაშინ სისტემა იქნება “არანებისმიერად არატრანსფორმირებადი”:



თუ გარკვეული ფორმების წარმოქმნის რიგითობა პერიოდულად მეორდება, მაშინ სისტემა იქნება “პერიოდულად ტრანსფორმირებადი”:



II.4. ტრანსფორმირებადი სისტემების ძირითადი პარამეტრები

ფორმის – წრფივის, ბრტყელის ან მოცულობითი ტიპის მიუხედავად რეალურ პირობებში ტრანსფორმირებად სისტემას აქვს სამი განზომილება და წარმოგვიდგება სამგანზომილებიანი სხეულის სახით. იგი შედგება მრავალი ურთიერთდაკავშირებული ელემენტისაგან თავისი განსაზღვრის არით – $F(x; y; z)$.

განსაზღვრის არე ახასიათებს თითოეული სისტემის საკუთარ გეომეტრიას და უკავია განსაზღვრული მოცულობა სივრცეში – განსაზღვრის მოცულობა $V_{\text{გან}}$. წარმოადგენს ტრანსფორმირებადი კონსტრუქციის ელემენტებს და ბმების ჯამურ მოცულობას.

ტრანსფორმირებადი სისტემებისათვის განსაკუთრებული მნიშნელობა აქვს გაბარიტული შეფუთვის მოცულობას $V_{\text{გ.შ.}}$ ე.ი. იმ მინიმალურ მოცულობას, რომელშიც ის არის მოთავსებული. გაბარიტული შეფუთვის მოცულობაში შედის აგრეთვე გამჭოლი და შიდა ღიობების მოცულობა.

სიგრცეში გაბარიტული შეფუთვის მოცულობა აღიწერება მისი ზედაპირით – $S_{\text{შეფ.}}$, რომელსაც ყველა შესაძლო ზედაპირთაგან, რომლებიც გარედან ეკვრის კონკრეტულ ტრანსფორმირებად სისტემას, ყველაზე მცირე, მინიმალური ფართობი აქვს და არ ითვალისწინებს არავითარ სიცარიელეს და ღიობს სისტემაში.

ტრანსფორმირებადი სისტემის გაბარიტებს უწოდებენ მართი ოთხკუთხა პრიზმის წიბოების სიგრძეს – E_x, E_y, E_z . მასში თავსდება ტრანსფორმირებადი სისტემა, რომელიც მჭიდროდ ეკვრის პრიზმის წიბოებსა და წახნაგებს.

განსაზღვრის არე $F(x; y; z)$, მისი მოცულობა $V_{\text{განს.}}$ გაბარიტული შეფუთვის მოცულობა $V_{\text{გ.შ.}}$ და გაბარიტები E_x, E_y, E_z არის ტრანსფორმირებადი სისტემის ძირითადი გეომეტრიული პარამეტრები. სწორედ მათზეა დამოკიდებული მისი სხვა მახასიათებლები, რომლებიც ასევე მნიშვნელოვან როლს ასრულებენ თითოეული სისტემის შეფასებისას.

ძალზე ხშირად, ტრანსფორმირებადი სისტემის ღირსებად ითვლება მისი შეფუთვის სიმჭიდროვის მაღალი ხარისხი - უ.ს., რომელიც დგინდება განსაზღვრის არის და გაბარიტული შეფუთვის მოცულობათა თანაფარდობით:

$$n_{\text{გ.ს.}} = \frac{V_{\text{განს.}}}{V_{\text{გ.შ.}}} \leq 1$$

უფრო სრულყოფილი კონსტრუქციული სისტემები თითქმის ყოველთვის გამოიჩინება შეფუთვის სიმჭიდროვის კოეფიციენტის მატების ტენდენციით.


ტრანსფორმაციის სტადიებში, სისტემის ყოველი კონკრეტული ფორმის დროს, მუდმივად რჩება განსაზღვრის არის მოცულობა $V_{\text{განს.}} = \text{const}$. დანარჩენი პარამეტრები, გაბარიტული შეფუთვის მოცულობა და თვითგაბარიტები შეიძლება იცვლებოდეს ან მუდმივად დარჩეს. მაგრამ ტრანსფორმაციის ყველა შემთხვევაში, როგორც წესი, შეიცვლება სისტემის განსაზღვრის არე, ვინაიდან ხდება ერთი სიმრავლის მეორედ გარდაქმნა.

განვიხილოთ ტრანსფორმირებადი სისტემა შემდეგო პარამეტრებით – $F(x; y; z); V_{\text{განს.}}; V_{\text{გ.შ.}}$; და E_x, E_y, E_z . ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ტრანსფორმაციის პროცესების შემდეგი ალბათობაა მოსალოდნელი:

1. $F(x; y; z) \sim V_{\text{განს.}} - V_{\text{გ.გ.}} - (E_x, E_y, E_z) \sim$
2. $F(x; y; z) \sim V_{\text{განს.}} - V_{\text{გ.გ.}} \sim (E_x, E_y, E_z) \sim$
3. $F(x; y; z) \sim V_{\text{განს.}} - V_{\text{გ.გ.}} - (E_x, E_y, E_z) \sim$

ყველა კომბინაციაში შენარჩუნებულია სისტემის განსაზღვრის არის უცვლელი მოცულობა. ამას ადასტურებს ის გარემოება, რომ კონსტრუქციულ სისტემებში ტრანსფორმაციის სტადიების დროს მატერიალური ელემენტების რაოდენობა არ იცვლება. ეს მტკიცება შეესაბამება ტრანსფორმირებადი სისტემის პარამეტრებს. მაგრამ მისი ნამდვილობა ყოველთვის დასტურდება პროცესის საგულდაგულო ანალიზით.

განვიხილოთ ჰერმეტული ტრანსფორმირებადი სისტემის მაგალითი, რომელიც შედგება სახსრულად დაკავშირებული ოთხი ბრტყელი წიბოსაგან და მათზე ორი მხრიდან მიმაგრებული ელასტიური გარსისაგან (ფიგ. II.10).



ფიგ. II.10 – ტრანსფორმირებადი სისტემის განზაზღვრის არის უცვლელობის კონკრეტული მაგალითი:

- a** - ჰერმეტული ტრანსფორმირებადი სისტემა გაბერვამდე;
- b** - ჰერმეტული ტრანსფორმირებადი სისტემა გაბერვის შემდეგ.

თავდაპირველად შეიძლება მოგვეჩნოს, რომ სისტემის განსაზღვრის არის მოცულობა აირით გავსებამდე (ფიგ. II.10.a) ნაკლები იყო, ვიდრე გავსების შემდეგ (ფიგ. II.10.b). არადა, სულაც არ არის ასე. აირი აქ მეორე სისტემას წარმოადგენს, რომლითაც P წნევის ქვეშ ივსება ჰერმეტული მოცულობის ტრანსფორმირებადი სისტემა. ამიტომ მატერიალური ნაწილის ე.ო. განსაზღვრის არის მოცულობა ტრანსფორმაციამდეც და მის შემდეგაც, მუდმივი რჩება.

აქ მასალების ელასტიურობის მიმართ ორი შემთხვევა განიხილება:

- პირველ შემთხვევაში ელასტიური მასალა არ განიცდის წაგრძელებებს და ამ ვარიანტში მასალის მოცულობის ზრდის პრობლემა არ არსებობს;
- მეორე შემთხვევაში ელასტიური მასალა განიცდის წაგრძელებებს, მაგრამ ამასთან მისი მოცულობა უცვლელი რჩება, რადგანაც წაგრძელებას შედეგად მოჰყვება ელასტიური მასალის სისქის შემცირება – გათხელება.

სისტემის ტრანსფორმაცია ხასიათდება ტრანსფორმაციის სიდიდით – $V_{\text{ტრ.}}$, რომელიც წარმოადგენს ტრანსფორმირებადი სისტემის მეორადი და პირველადი ფორმის გაბარიტული შეფუთვის მოცულობათა სხვაობას:


$$V_{\text{ტრ.}} = V''_{\text{გ.შ.}} - V'_{\text{გ.შ.}}$$

ტრანსფორმაციის პროცესებში იგი შეიძლება იყოს დადგებითი, უარყოფითი ან ნულის ტოლი.

$$0 < V_{\text{ტრ.}} \leq 0$$

სისტემის ტრანსფორმაცია, როცა $0 < V_{\text{ტრ.}} < 0$ გასააზრებლად იოდია, მაგრამ შემთხვევა $V_{\text{ტრ.}} = 0$ ერთგვარ განმარტებას მოითხოვს.

თუ მოცულობა, რომელსაც იგი იკავებს სივრცეში მისი შიდა და გამჭოლი ლიობების გათვალისწინებით, ტრანსფორმაციის დროს არ იცვლება, მაშინ გვექნება $V_{\text{ტრ.}} = 0$. სწორედ მაშინ $V_{\text{ტრ.}} = V''_{\text{გ.შ.}} - V'_{\text{გ.შ.}} = 0$ (ფიგ. II.11).



ფიგ. II.11 – ტრანსფორმაცია პირველადი და მეორადი ფორმის გაბარიტული შეფუთვის მოცულობის შეცვლელად

- a – ტრანსფორმირებადი სისტემა ოთხუთხა პრიზმის სიცარიელით;
- b – ტრანსფორმაციის შემდეგ იგივე გარე ზომების მქონე ტრანსფორმირებადი სისტემა ორი ოთხკუთხა პრიზმის შიდა სიცარიელით, რომლის მოცულობა
- a შემთხვევაში გამოსახული სხეულის შიგა ოთხუთხა პრიზმის მოცულობის ტოლია.

ტრანსფორმაციის მნიშვნელოვანი პარამეტრია მიხი ჯერადობა.

ტრანსფორმაციის ჯერადობა შეიძლება იყოს ერთგანზომილებიანი – წრფივი, ორგანზომილებიანი და სამგანზომილებიანი ანუ მოცულობითი.

ერთგანზომილებიანი – ტრანსფორმაციის წრფივი ჯერადობა η_{v} გამოსახავს მეორადი ფორმის შეფუთვის მოცულობის გაბარიტების E''_x, E''_y, E''_z თანაფარდობას პირველადი ფორმის გაბარიტებთან - E'_x, E'_y, E'_z .

$$n_x = \frac{E''_x}{E'_x} ; \quad n_y = \frac{E''_y}{E'_y} ; \quad n_z = \frac{E''_z}{E'_z} .$$

ტრანსფორმაციის ორგანზომილებიანი, ზედაპირული ჯერადობა η_{v} გამოხატავს მეორადი ფორმის გაბარიტული შეფუთვის მოცულობის შემომფარგლავი ზედაპირის S_{g}'' თანაფარდობას პირველადი ფორმის ასეთივე მნიშვნელობასთან S_{g}' :

$$n_{\text{v}} = \frac{S_{\text{g}}''}{S_{\text{g}}'}$$

ტრანსფორმაციის სამგანზომილებიანი, მოცულობითი ჯერადობა – $\eta_{\text{მოც}}$. გამოხატავს მეორადი ფორმის გაბარიტული შეფუთვის მოცულობის $V''_{\text{გ.გ.}}$ თანაფარდობას პირველადი ფორმის ასეთივე მაჩვენებელთან $V'_{\text{გ.გ.}}$:

$$\eta_{\text{მოც}} = \frac{V''_{\text{გ.გ.}}}{V'_{\text{გ.გ.}}}$$

სისტემის ტრანსფორმაციის ხარისხის შეფასებისათვის იმის კვალობაზე, თუ რა შეფარდებით შეიძლება შეიცვალოს სიგრძე, ფართობი ან მოცულობა, შემოვიდოთ გარდობითი ტრანსფორმაციის სიდედე – η .

ისინი გამოიხატება შემდეგი ფორმულებით:

$$\eta_x = \frac{E''_x - E'_x}{E'_x} ;$$

$$\eta_y = \frac{E''_y - E'_y}{E'_y} ;$$

$$\eta_z = \frac{E''_z - E'_z}{E'_z} ;$$

$$\eta_{\text{v}} = \frac{S_{\text{g}}'' - S_{\text{g}}'}{S_{\text{g}}'} ;$$

$$\eta_{\text{მოც}} = \frac{V''_{\text{გ.გ.}} - V'_{\text{გ.გ.}}}{V'_{\text{გ.გ.}}}$$

სისტემის როგორც ურთიერთდაკავშირებული მატერიალური ელემენტების სიმრავლის ფორმათწარმონაქმნა მიმდინარეობს სივრცესა და დროში.

ტრანსფორმაციის დრო – $t_{\text{ტ}}$. მიღებულია დროის შუალედად პირველადი ფორმის განსაზღვრის არის გარდაქმნის პირველი ნიშნების გამოჩენიდან, მეორადი ფორმის წარმოშობის მომენტამდე.

განსაკუთრებული პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს ტრანსფორმირებადი სისტემების მასის მახასიათებლებს. ისევე, როგორც სხვა სისტემებში, ამ უკანასკნელებში ძალაში რჩება კრიტერიუმი – რა მასა მოდის სიგრძის ფართობის და მოცულობის ერთეულზე.

სიგრძის ერთეულის წილად მოსული მასის განსასაზღვრავად სისტემის მასა იყოფა მაქსიმალური გაბარიტის სიგრძეზე.

$$g_{\delta} = \frac{G}{E_{\max}}$$

ფართობის ერთეულის წილად მოსული მასა განისაზღვრება მასის გაყოფით გაბარიტული შეფერვის შემომფარგვლელი ზედაპირის ფართზე:


$$g_s = \frac{G}{s_{\delta}}$$

მოცულობის ერთეულის წილად მოსული მასა განისაზღვრება მასის გაყოფით გაბარიტული შეფერვის მოცულობაზე:

$$g_V = \frac{G}{V_{\delta,\delta}}$$

ტრანსფორმირებადი სისტემის ელემენტთა სიმრავლეს აქვს სიმძიმის თეორიული ცენტრი, რომლის განსაზღვრის დროსაც, რეალურისაგან განსხვავებით, ყველა ელემენტის და ბმების ხვედრითი წონა ერთმანეთის ტოლია.

ტრანსფორმაციის პროცესში მთელი სისტემის გადატანითი მოძრაობის გაუთვალისწინებლად, სიმძიმის ცენტრი სივრცეში შეიძლება უძრავად დარჩეს ან გადაადგილდეს (ფიგ. II.12).




ფიგ. II.12 – სიმძიმის თეორიული ცენტრის მდებარეობა სისტემის ტრანსფორმაციის პროცესებისას:

- a –** ტრანსფორმირებადი სისტემების თეორიული ცენტრი არ გადაადგილდება;
b – ტრანსფორმირებადი სისტემის თეორიული ცენტრი გადაადგილდება.


წარმოდგენილ ფიგურაზე, პირველ შემთხვევაში მიუხედავად სისტემის ტრანსფორმაციისა, რამაც მისი განსაზღვრის არე შეცვალა, სიმძიმის ცენტრი O_1 უცვლელი დარჩა. მეორე შემთხვევაში კი, სისტემის ტრანსფორმაციის შედეგად სიმძიმის ცენტრი O_1 წერტილიდან გადაადგილდა O_2 წერტილში.

ტრანსფორმირებადი სისტემის პირველადი ფორმის სიმძიმის ცენტრიდან მეორადი ფორმის სიმძიმის ცენტრისაკენ მიმართულ \bar{F} ვექტორს, სივრცეში მთელი სისტემის გადატანითი მოძრაობის გაუთვალისწინებლად, ეწოდება „ტრანსფორმაციის მიმართულება“, ხოლო თვით სისტემას - „მიმართულად ტრანსფორმირებადი“ (ფიგ. II.13).



ფიგ. II.13 – მიმართულად ტრანსფორმირებადი სისტემა

განვიხილოთ მიუმართავად ტრანსფორმირებადი სისტემა, რომელიც სივრცეში დაუმაგრებლად არის განლაგებული (ფიგ. II.14).




ფიგ. II.14 – მიუმართავად ტრანსფორმირებადი სისტემა

ტრანსფორმირებადი სისტემის განსაზღვრის სხვადასხვა არის მიუხედავად

- $F_1(X_1; Y_1; Z_1)$ და $F_2(X_2; Y_2; Z_2)$ სიმძიმის ცენტრი უცვლელი იქნება $O_1(X'_1; Y'_1; Z'_1)$.

მაგრამ თუ ამავე სისტემას პირველად ფორმაში, განსაზღვრის არით $F_1(X_1; Y_1; Z_1)$, ტრანსფორმაციამდე დავამაგრებთ A წერტილში, განსაზღვრის შემდეგი არე იქნება არა $F_2(X_2; Y_2; Z_2)$ (იხ. ფიგ. II.14), არამედ $F_3(X_3; Y_3; Z_3)$. ანუ, სიმძიმის ცენტრი $O_1(X'_1; Y'_1; Z'_1)$ წერტილიდან გადაინაცვლებს $O_3(X'_3; Y'_3; Z'_3)$ წერტილში. ეს ნიშნავს, რომ სისტემა მიმართულად ტრანსფორმირებადი გახდა (ფიგ. II.15).



ფიგ. II.15 – მიუმართავად ტრანსფორმირებადი სისტემის გარდაქმნა
მიმართულად ტრანსფორმირებად სისტემად

მიმართულად ტრანსფორმირებადი სისტემები თავისთავად ვერ იქნება საკუთრივ მიმართული და საკუთრივ მიუმართავი. მიმართულობა შეიძლება განვიხილოთ როგორც მთლიანად სისტემისათვის, ისე მისი ცალკეული ფრაგმენტებისათვის. მის კვალობაზე განასხვავებენ ზოგად \bar{F} და ფრაგმენტულ მიმართულობას \bar{F} ფრ.

ზოგადი მიმართულობა – ეს არის ფრაგმენტულ მიმართულობათა კექტორების ჯამი:

$$\bar{F} = \bar{F}_1 \text{ ვრ.} + \bar{F}_2 \text{ ვრ.} + \dots + \bar{F}_n \text{ ვრ.}$$

თუ სისტემა მიუმართავია ($\bar{F} = 0$), მასში ყოველთვის მოიძებნება ფრაგმენტული მიმართულობანი, რომლებიც განსხვავდებიან ნულისაგან \bar{F} ვრ. $\neq 0$.

სიმძიმის ცენტრის გადაადგილების პალობაზე განასხვავებენ სიმეტრიულ ტრანსფორმაციას.

როდესაც მეორადი ფორმის სიმძიმის ცენტრი პირველადი ფორმის სიმეტრიის ხაზზე რჩება, ტრანსფორმაციას უწოდებენ „სიმეტრიულს“, ხოლო სისტემას, რომელსაც შეუძლია სიმეტრიულად ტრანსფორმირება – „სიმეტრიულად ტრანსფორმირებადს“. სხვა შემთხვევებში საქმე გვაქვს ტრანსფორმაციის არასიმეტრიულ სისტემებთან.

სხვადასხვა ფრაგმენტის ტრანსფორმაცია შეიძლება წარმოებდეს სხვადასხვა სიჩქარით. მაგრამ მთელი სისტემის ტრანსფორმაციის სიჩქარე ხასიათდება ტრანსფორმაციის დაყვანილი სიჩქარით – $V_{\text{დაყ}}^{\text{ტრ}}$.

$$V_{\text{დაყ}}^{\text{ტრ}} = \frac{|\vec{F}|}{t_{\text{ტრ}}}$$

სადაც $|F|$ არის ტრანსფორმაციის ვექტორის სიგრძე, ხოლო $t_{\text{ტრ}}$ – ტრანსფორმაციის დრო.

ტრანსფორმირებად სისტემებს, რომლებშიც ფრაგმენტების ტრანსფორმაციის სიჩქარე ერთმანეთის ტოლია, „თანაბარსიჩქარიანი“ ეწოდება. საპირისპირ შემთხვევაში ისინი „სხვადასხვასიჩქარიანი“ არიან.

კონკრეტულ კონსტრუქციულ სისტემებში სხვადასხვასიჩქარიანი ტრანსფორმაცია განაპირობებს ფაქტორთა თავისებურ გადანაწილებას.

II.5. ტრანსფორმირებადი სისტემების ნაირსახეობანი


სივრცეში ქცევის ზოგადი ხასიათის თვალსაზრისით, ტრანსფორმირებადი სისტემები შეიძლება იყოს ტრანსპორტაბელური, მობილური, დინამიკური, სტატიკური, ასაწყობ-ტრანსფორმირებადი და ტრანსფორმირებად-ასაწყობი. განვიხილოთ თითოეული შემთხვევა ცალ-ცალკე.

თუ ტრანსფორმირებადი სისტემის ფიქსირებული ფორმის გაბარიტული შეფუთვის მინიმალური მოცულობა $V_{\text{გ.ზ}}$, გაბარიტები E_x , E_y , E_z და მასა G განაპირობებენ მისი სატრანსპორტო საშუალებით გადაადგილების შესაძლებლობას – სისტემა ტრანსპორტაბელურია.

თუ ტრანსფორმირებადი სისტემის ფიქსირებული, საექსლოატაციო ფორმების გაბარიტული შეფუთვის მაქსიმალური მოცულობა და გაბარიტები განაპირობებენ მის ტრანსპორტირებას – სისტემა მობილურია.

მაგალითად, თუ კონსტრუქციის დაკეცილი პაკეტი ტრანსპორტირებას ეჭვება და სისტემა ტრანსპორტაბელურია. ხოლო თუ გაშლილი კონსტრუქცია მოძრაობს – სისტემა მობილურია.

თუ ტრანსფორმაციის შემდეგ ტრანსფორმირებად სისტემას შესწევს ექსპლოატაციის ადგილზე მანევრირების უნარი, ისე, რომ ამასთან შეინარჩუნოს არემარეს მორგების გარკვეული ხარისხი, მაშინ იგი დინამიკურია. დინამიკური იქნება ისეთი სისტემებიც, რომელთა შემადგენელი ნაწილები გადაადგილდებიან ერთურთის მიმართ (ფიგ. II.16).




ფიგ. II.16 – დინამიკური ტრანსფორმირებადი სისტემის სქემატური ასახვა:

- a** – დინამიკური ტრანსფორმირებადი სისტემა, რომელიც ფუნქციონირების პირობებში მანევრირებს;
- b** – დინამიკური ტრანსფორმირებადი სისტემა, რომლის ცალკეული ნაწილები ფუნქციონირების სტადიაზე ერთმანეთის მიმართ გადაადგილდება.

სხვა შემთხვევაში ტრანსფორმირებადი სისტემა სტატიკურად ითვლება.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუუთმოთ ტრანსფორმირებად-ასაწყობი სისტემებისაგან ასაწყობ-ტრანსფორმირებადი სისტემების განსხვავების არსებ.


თუ ფორმატურმოქმნის სტადიაში თავდაპირველად ცალკეული პირველადი, ე.წ. შემადგენელი ტრანსფორმირებადი ფორმები ერთ მთლიან სისტემად იწყობა, ხოლო შემდეგ ხდება ტრანსფორმაცია, ასეთი სისტემა ასაწყობ-ტრანსფორმირებადი იქნება (ფიგ. II.17).



ფიგ. II.17 – ასაწყობ-ტრანსფორმირებადი სისტემის სქემატური მოდელი:

- a** – ცალკეული ტრანსფორმირებადი სისტემების გაერთიანება;
- b** – ტრანსფორმირებადი სისტემა აწყობილი ორი ცალკეული ტრანსფორმირებადი სისტემისაგან;
- c** – აწყობილი ტრანსფორმირებადი სისტემის ტრანსფორმაცია.


თუ თავდაპირველად მიმდინარეობს ცალკეული სისტემების ტრანსფორმაცია, შემდეგ კი მათ აწყობენ და აერთიანებენ, სისტემა ტრანსფორმირებად-ასაწყობი იქნება (ფიგ. II.18).



ფიგ. II.18 – ტრანსფორმირებად-ასაწყობი სისტემის მოდელი

- a** – ცალკეული სისტემები ტრანსფორმირებაზე;
- b** – ცალკეული სისტემები ტრანსფორმაციის შემდეგ;
- c** – ტრანსფორმაციის შემდეგ აწყობილი, ცალკეული ტრანსფორმირებადი სისტემები და შედგენილი ახალი ასაწყობი სისტემები.

ბმათა განაწილების თვალსაზრისით, ტრანსფორმირებადი სისტემის სტრუქტურები შეიძლება იყოს მთლიანი და დისკრეტული (ფიგ. II.19).



ფიგ. II.19 – მთლიანი ტრანსფორმირებადი სტრუქტურის და დისკრეტული ტრანსფორმირებადი სტრუქტურის სქემატური მოდელები

- a** – ოთხეუთხა ფორმის დრეგადი გაჭიმული აპკის ტრანსფორმაცია P ძალების მოქმედებით: I – ტრანსფორმაციამდე; II – ტრანსფორმაციის შემდეგ.
- b** – ცალკეული ელემენტებით და მათი მაკავშირებელი ბმებით განხორციელებული ტრანსფორმირებადი სისტემის ტრანსფორმაცია: I – ტრანსფორმაციამდე; II – ტრანსფორმაციის შემდეგ.

მთლიანი ტრანსფორმირებადი სტრუქტურის მაგალითია დრეგადი, ჭიმვადი აპკი, რომელსაც ყველა მიმართულებით აქვს მოლეკულარული კავშირები, ანუ ბმები, ხოლო დისკრეტული ტრანსფორმაციის მაგალითია, ცალკეულ არატრანსფორმირებად კონსტრუქციულ ელემენტებს შორის გადებული ბმებით შექმნილი ტრანსფორმირებადი კონსტრუქციული სტრუქტურა.

ამასთან, საჭიროა მკაფიოდ გაიმიჯნოს ერთმანეთისაგან მთლიანი და დისკრეტული ტრანსფორმირებადი სისტემების და მთლიანი და დისკრეტული კონსტრუქციების ცნება.

აღნიშნული სახელწოდებანი არ განსაზღვრავენ ტრანსფორმირებადი სისტემების კონსტრუქციულ თავისებურებებს, არამედ ისინი ახასიათებენ კონსტრუქციის ტრანსფორმირებად სტრუქტურებს.

ასეთივე დებულება უდევს საფუძვლად ერთგვაროვანი და ნაირგვაროვანი, იზოტროპული და ანიზოტროპული ტრანსფორმირებადი სისტემების განსაზღვრას.

თუ ტრანსფორმირებად სისტემაში ყველა მიმართულებით არის მხოლოდ ერთნაირ სახეობათა მდგრადი და არამდგრადი საბმულები, მას „ერთგვაროვანი“ ეწოდება. წინააღმდეგ შემთხვევაში ასეთი სისტემა „ნაირგვაროვანი“ იქნება.

სხვადასხვა მიმართულებით სისტემას შეიძლება პქონდეს უნარი ერთნაირად ან სხვადასხვანაირად განიცადოს ტრანსფორმირება. პირველ შემთხვევაში იგი იზოტროპიული იქნება, მეორეში – ანიზოტროპიული.

II.6. ტრანსფორმაციის ტიპები და ფორმები

პროცესებისა და ფორმათწარმოქმნის მრავალფეროვნების მიუხედავად ტრანსფორმირებადი სტრუქტურის კლასიფიკაცია ტიპებისა და სახეობების მიხედვით შედარებით მარტივად ხდება.

განასხვავებენ ფორმის ტრანსფორმაციის ორგანულ და არაორგანულ ტიპს. პირველ შემთხვევაში ტრანსფორმაცია ხდება მხოლოდ კონსტრუქციის მასალების შიდა აგებულების ელემენტთა გადაადგილების გზით. მაგალითად: გაჭიმული რეზინების, გასაბერი უჭიმვადი და ჭიმვადი აფსკების და დრეკადი ფირფიტების ღუნვის შედეგად ფორმების შეცვლა, ორგანულ ტრანსფორმაციებს მიეკუთვნება.

ორგანული ტიპის ტრანსფორმაციის პროცესში შეიძლება დაგაკვირდეთ შემთხვევას, როდესაც ფარდობითი თვალსაზრისით, ფორმა არ იცვლება, არამედ ხდება მისი მასშტაბური პროპორციული ზრდა ან შემცირება.


მეორე შემთხვევაში, ე.ო. არაორგანული ტიპის დროს, ტრანსფორმაცია ხდება იმ ელემენტთა ურთიერთგადადგილების შედეგად, რომლებიც თავად წარმოადგენენ კონსტრუქციის სქემის დეტალებს. მათი საკუთარი დეფორმაციები, რომლებიც შიდა აგებულების შედეგია, მხედველობაში არ მიიღება. ასეთი ტიპის მაგალითია სხვადასხვა სახეობათა სახსროვანი მექანიზმები. შესაბამისად, ტრანსფორმირებად სისტემასაც არაორგანული ეწოდება.

რეალურ პირობებში კხვდებით ფორმის ტრანსფორმაციის როგორც ორგანულსა და არაორგანულ, ისე შერეულ ტიპებს.

ტრანსფორმაციის პროცესში ფორმის ცვლა ძირითადი ფაქტორია იმ ელემენტთა სიმრავლის ქცევისა სივრცეში, რომლებიც წარმოშობენ სისტემის ფიგურას.

ტრანსფორმაციის მიმართებით ყოველთვის მოიძებნება ელემენტთა ისეთი აქტიური სიმრავლეები, რომლებიც განლაგდება არა მიმდინარე პროცესების ნეიტრალურ დერძებზე, არამედ მის ნაპირებზე, შიდა ან გარე მხარეებზე და გარს შემოწერენ ფიგურის მოხაზულობას.

ამის მიხედვით მოვნიშნოთ საპირისპირო წერტილები, რომლებიც სიმრავლის ელემენტებს წარმოადგენენ, და შესაბამისად დრუ ფორმების შიდა წერტილები „პლიუს“ და „მინუს“ ნიშნებით (ფიგ. II.20).




ფიგ. II.20 – მთლიანტანიანი და დრუტანიანი ტრანსფორმირებადი სისტემების განაპირა წერტილების აღნიშვნა “+” და “-” სიმბოლოებით

- a** – მთლიანტანიანი ტრანსფორმირებადი სისტემა და მისი ფორმის ტრანსფორმაცია;
- b** – დრუტანიანი ტრანსფორმირებადი სისტემა და მისი ფორმის ტრანსფორმაცია.

ყველა ეს ფორმა იყოფა ფიგურის ტრანსფორმაციის ორ ძირითად ფორმად
– სპირალური და ნაოჭური ტრანსფორმაციის ფორმად.


1. **სპირალური ფორმა** – გასწვრივი შეთავსება განისაზღვრება სისტემის მთელ სიგრძეზე „საპირისპირო ზედაპირების“ სიმრავლის ელემენტთა სისტემის ურთიერთდაახლოებით ან დაშორიშორებით (ფიგ. II.21).



ფიგ. II.21 – სპირალური ფორმით ტრანსფორმირებადი სისტემა

- a** – ფიგურა ტრანსფორმაციამდე; **b** – ფიგურა ტრანსფორმაციის შემდეგ.


სიმბოლურად სპირალური ფორმა შეიძლება ჩაიწეროს შემდეგი სახით:



შემოთავაზებულ სქემაში და მის სიმბოლურ ჩანაწერში მოჩანს არსი შეთავსებისა, როდესაც ხდება გარე და შიდა ზედაპირების ურთიერთშეთავსება.

რეალურ პირობებში სპირალური ფორმა ერთობ ხშირია. სწორედ ასეთ სახეობას განეკუთვნებიან დასახვევი კონსტრუქციები.


2. ნაოჭა ფორმა – განივი შეთავსება განისაზღვრება საპირისპირო ზედაპირთა ისეთი ურთიერთშეთავსებით, რომლის დროსაც ზედაპირთა ერთი დასახელების სიმრავლის ელემენტები უახლოვდებიან ან სცილდებიან ერთმანეთს (ფიგ. II.22).



ფიგ. II.22 ნაოჭა ფორმით ტრანსფორმირებადი სისტემა

a – ფიგურა ტრანსფორმაციამდე; **b** – ფიგურა ტრანსფორმაციის შემდეგ.

სიმბოლურად იგი ასე შეიძლება ჩაიწეროს:



როგორც სქემიდან და სიმბოლური ჩანაწერიდან ჩანს, პლიუსიანი ზედაპირები უახლოვდებიან ან ცილდებიან პლიუსიან ზედაპირს, ხოლო მინუსიანი ზედაპირები უახლოვდებიან ან ცილდებიან მინუსიან ზედაპირს.

ბევრი ტრანსფორმირებადი კონსტრუქციის უნარს განაპირობებს განივი შეთავსება, ე.ი. ტრანსფორმაციის ნაოჭა ფორმა.

სწორედ ეს ორი ფორმა ტრანსფორმაციისა განსაზღვრავს ფორმათ-წარმოქმნას, რომლის შედეგად ხდება ერთი ფიგურიდან მეორეს მიღება. ყველა სხვა შემთხვევა წარმოადგენს მათ ნაირსახეობას და კომბინაციებს. ამის მაგალითები შეიძლება მრავლად იქნას განხილული.

ტრანსფორმირებადი სისტემების აგებულების ინტერპრეტირება საკმაოდ რთულია. ამავე დროს, თითოეული რთული ტრანსფორმირებადი სისტემა შეგვიძლია წარმოვიდგინოთ როგორც ელემენტარული ტრანსფორმირებადი სისტემებისაგან შედგენილი.

მაგრამ აქ არ უნდა აგვერიოს ერთმანეთში „ტრანსფორმირებადი სისტემის ელემენტების“ და „ელემენტარული ტრანსფორმირებადი სისტემის“ ცნებები. მათ შორის დიდი განსხვავებაა.

ელემენტარული ტრანსფორმირებადი სისტემა თავისთავად მოიცავს ურთიერთდაკავშირებულ ელემენტებს. იმის კვალობაზე, თუ რა დონეზე განვიხილავთ სისტემას, ასეთი ელემენტები შეიძლება იყოს მიკრო და მაკროსხეულები, რომლებიც მონაწილეობას იღებენ ტრანსფორმაციაში.


სისტემას, რომელ შიც არ მოიძებნება ისეთი ბმები, რომელთა დაცალკევება გამოიწვევს ტრანსფორმაციის რომელიმე ფორმის დაკარგვას, უწოდებენ ელემენტარულ ტრანსფორმირებად სისტემას.

ასეთი სისტემის მაგალითია ჩვეულებრივი დრეკადი ზამბარა (ფიგ. II.23).



ფიგ. II.23 – ელემენტარული ტრანსფორმირებადი სისტემის – ზამბარის მაგალითი, როდესაც ბმის განცალკევებით წარმოქმნილი ორი ზამბარა ინარჩუნებს ტრანსფორმაციის ნაოჭა ფორმის უნარს.


თუ ტრანსფორმაცია შეიცავს რამდენიმე ფორმას, იგი შედგენელი ფორმის ტრანსფორმაციაა (ფიგ. II.24).



ფიგ. II.24 – შედგენილი ფორმის ტრანსფორმირებადი სისტემა:

- ა – სისტემა ტრანსფორმაციამდე; ბ – სისტემა ტრანსფორმაციის შემდეგ;
- I – ტრანსფორმაციის ნაოჭა ფორმა; II – ტრანსფორმაციის სპირალური ფორმა.

რეალურ პირობებში ხშირად ვხვდებით ტრანსფორმაციის ფორმის უფრო რთულ სახეობას – იარუსებიანს, როდესაც ერთი ფორმა უკვე შეიცავს თავის თავში მეორეს (ფიგ. II.25).



ფიგ. 2.25 – იარუსებიანი ტრანსფორმირებადი სისტემა:

a – სისტემა ტრანსფორმაციამდე; **b** – სპირალური ფორმით დახვეული, ნაოჭა ტრანსფორმირებადი სისტემა.


შეიძლება ითქვას, რომ ტრანსფორმაციის ფორმა შეიძლება იყოს ერთიარუსიანი და მრავალიარუსიანი, ამასთან პროცესი შეიძლება მიმდინარეობდეს ცალ-ცალკე თითოეულ იარუსზე ან ერთდროულად.

II.7. ტრანსფორმირებადი სისტემების დინამიკური სტრუქტურა

დინამიკური ანალიზის თვალსაზრისით, ტრანსფორმირებადი კონსტრუქციული სისტემები შედგება წამყვანი, ამყოლი და ძალური ნაწილებისაგან. ტრანსფორმირებად ნაწილს, რომელსაც ნაკლები თავისუფლების ხარისხი აქვს, „წამყვანი“ სტრუქტურა ეწოდება, ვინაიდან სწორედ ის არის ძირითადად ფორმათწარმოქმნის წამყვანი ფაქტორი. დანარჩენი ტრანსფორმირებადი ნაწილები „ამყოლად“ ითვლება.

ძალურია ის ნაწილი, რომელიც განსაზღვრავს იმ ძალური ფაქტორების წარმოშობას, რომლებიც უზრუნველყოფენ სამუშაოს შესრულებას ტრანსფორმაციის დროს, ხოლო ზოგჯერ დამატებით ძალისხმევასაც ფიქსირებული ფორმის მისაღწევად.

ტრანსფორმირებადი სისტემის სქემა, რომელიც შედგება „წამყვანი“, „ამყოლი“ და „ძალური“ ნაწილებისაგან წარმოდგენილია ფიგ. II.26-ზე.




ფიგ. II.26 – ტრანსფორმირებადი სისტემის სქემა, რომელიც შედგება „წამყვანი“ – 1, „ამყოლი“ – 2 და „ძალური“ – 3 ნაწილებისაგან.

ფიგურაზე წარმოდგენილ სქემაში ორი ღეროსაგან შედგენილი სისტემა წამყვანია. ამასთან, ღეროების ერთი ბოლოები სახსრულად არის შეერთებული ერთმანეთთან, ხოლო მეორეები კი გადაბმულია ბაგირით, რომელიც ამყოლ ნაწილს წარმოადგენს.

მთელი ამ სისტემის ტრანსფორმირებას ახდენს ძალური ნაწილი გრეხის ზამბარის მეშვეობით.

ტექნიკური გადაწყვეტის თვალსაზრისით, ძალური ნაწილები შეიძლება იყოს მოსახსნელი ან არამოსახსნელი, მაგრამ ეს როდი ცვლის მთლიანად ძალური ნაწილების განსაზღვრის არსეს. ამასთან ერთად, მიღებულია აგრეთვე ცნებები: „შეთავსებული“ და „შეუთავსებელი“ ძალური ნაწილები.

როდესაც ძალური ნაწილი წარმოდგენილია წამყვანის სახით, როგორც დრეკადი ღეროები, ან ამყოლის სახით, როგორც დრეკადი ზამბარა, მაშინ ადგილი აქვს შეთავსებულ ტრანსფორმირებად სისტემას (ფიგ. II.27).



ფიგ. II.27 – შეთავსებული ტრანსფორმირებადი სისტემის სქემატური მოდელი:


a – ძალოვანი ნაწილის და წამყვანი ნაწილის შეთავსება;

b – ამყოლი ნაწილის და ძალოვანი ნაწილის შეთავსება;

1 – ამყოლი ნაწილი; 2 – წამყვანი და ძალოვანი შეთავსებული ნაწილი;

3 – ამყოლი და ძალოვანი შეთავსებული ნაწილი; 4 – წამყვანი ნაწილი;

ხშირად შეიმჩნევა წამყვანი და ამყოლი ნაწილების შეთავსება, ე.ი. საქმე გვაქვს შეთავსებულ სისტემასთან. ასეთი შეთავსების მაგალითია – გასაბერი ელასტიკურ-ჭიმვადი ბუშტი (ფიგ. II.28).



ფიგ. II.28 – წამყვანი ნაწილის და ამყოლის ნაწილის ურთიერთშეთავსებული ტრანსფორმირებადი სისტემა.


a – სისტემა ტრანსფორმაციამდე; **b** – სისტემა ტრანსფორმაციის შემდეგ;
1 – ამყოლი და წამყვანი ურთიერთშეთავსებული სისტემები; 2 – ძალოვანი სისტემები.

განსაკუთრებულ შემთხვევებში, თუ ძალოვანი ნაწილისათვის საჭირო გახდა მოსახმარი ენერგორესურსების გარდაქმნა, სისტემები აღიჭურვება ენერგოგარდამქმნელი მანქანებით.

სისტემის ტრანსფორმაცია დინამიკური პროცესია, რომლის დროსაც წარმოიშობა ინერციის ძალები. ეს თავისებურებანი უფრო დაწვრილებით შეგვიძლია დავახასიათოთ კონკრეტული მაგალითებით.

ყოველი ტრანსფორმაცია თავისი ბუნებით ძალოვანი ფაქტორია. ამავე დროს, განასხვავებენ სისტემის როგორც ძალოვან, ისე არა ძალოვან ტრანსფორმაციას.


თუ ტრანსფორმაციის შემდეგ სისტემის ელემენტებში არ არის ძალოვანი ფაქტორი – ღუნგა, შეკუმშვა, გაჭიმვა და გრეხა, ტრანსფორმაციას „არა ძალოვანს“ უწოდებენ (ფიგ. II.29).



ფიგ. II.29 – სისტემის არა ძალოვანი ტრანსფორმაცია

a – სისტემა ტრანსფორმაციამდე; **b** – სისტემა ტრანსფორმაციის შემდეგ;
1 – ოთხეუთხა სახსროვანი ტრანსფორმირებადი კონტური; **2** – დაძაბული ზამბარა; **3** – დაუძაბავი ზამბარა;

ხოლო თუ პროცესის დასრულების შემდეგ ელემენტებში რჩება ზემოაღნიშნული ძალები, ტრანსფორმაციას „ძალოვანს“ უწოდებენ (ფიგ. II.30).



ფიგ. II.30 – სისტემის ძალოვანი ტრანსფორმაცია:

a – სისტემა ტრანსფორმაციამდე; **b** – სისტემა ტრანსფორმაციის შემდეგ;
1 – წამყვანი ნაწილი; **2** – ამყოლი ნაწილი; **3** – ძალოვანი ნაწილი.

ასეთ შემთხვევაში ტრანსფორმაციის შემდეგ ბაგირი დაჭიმულია, წამყვანი ნაწილის დეროები განიცდიან დუნვას, ხოლო ძალოვან ზამბარაში კვლავ რჩება აკუმულირებული დრეკადი ძალები.

II.8. ტრანსფორმირებადი სისტემების კლასიფიკაციისა და გამოყენების ზოგიერთი საკითხები

უკანასკნელ დროს ტარდება ფართო დიაპაზონით ტრანსფორმირებადი კონსტრუქციული სისტემების სხვადასხვა ტიპების შექმნის და გამოყენების სამუშაოები. სულ უფრო დიდი ყირადღება ეთმობა მათ თეორიულ ანალიზს, მათ შორის კლასიფიკაციის საკითხებსაც.

მაგრამ არსებული კლასიფიკირების ნაწილში ძირითად ნაკლს წარმოადგენს ფორმათწარმიქმნის შესაზღებლობებისა და სისტემის კონსტრუქციული ნიშნების ორგანული საკითხების ერთმანეთში შერევა, რაც განაპირობებს გარკვეულ ცდომილებებს კლასიფიკაციის მიღებულ ვარიანტებში.

ტრანსფორმირებადი სისტემების კლასიფიკირება უნდა მოხდეს სამი ძირითადი მიმართულებით ცალკ-ცალკ:

1) ფორმათწარმიქმნის პროცესების გეომეტრიული ნიშნების მიხედვით;

- 2) გაშლის ძალოვანი სისტემის მიხედვით;
- 3) კონსტრუქციული ნიშნების მიხედვით.

ჩვენს მიერ შემოთავაზებულ კლასიფიკაციაში პირველი და მეორე მიმართულებები ახალია. ამ მიმართულებების არსი უკვე განხილული იყო.

მესამე მიმართულებაში – კლასიფიკაციები კონსტრუქციული ნიშნების მიხედვით – ტრანსფორმირებად კონსტრუქციათა გრადაცია ვრცელდება ტრადიციულ სისტემებზე – წამწევები, წიბოვანი, კომბინირებული, პნევმო-ვანტური და სხვა, იმისდა მიხედვით, რომელ მათგანს წარმოადგენს ტრანსფორმირებადი სტრუქტურა ფუნქციონალურ, ფიქსირებულ მდგომარეობაში.

ასევე მნიშვნელოვანია ისიც, რომ კონსტრუქციული სისტემების ფორმათწარმოქმნა ტრანსფორმაციის დახმარებით უნდა აკმაყოფილებდეს იმ განსაკუთრებულ მოთხოვნებს, რომლებიც წაეყენება ახალი ფორმების წარმოქმნას პრაქტიკულად ყველგან – როგორც დედამიწაზე, ისე კოსმოსურ სივრცეში.

ამ მოთხოვნებს მიეკუთვნება:

1. კონსტრუქციული ფორმის შექმნა უმოკლეს ვადებში;
2. კონსტრუქციული სისტემის სწრაფი გადადისლოკაციის შესაძლებლობა;
3. კონსტრუქციული ფორმის მრავალჯერადი გამოყენების შესაძლებლობა;
4. კონსტრუქციული ფორმების ნაირსახეობა და სხვა.


მაგრამ ამ მოთხოვნების დაცვის შემთხვევაშიც კი ფორმათწარმოქმნა ტრანსფორმაციით არ არის უფრო მარტივი პროცესი, ვიდრე ფორმამდგრადი კონსტრუქციების წარმოქმნის პროცესი, რომლებსაც მიეკუთვნება ასაწყობი ან მონოლითური სისტემები.

ტრანსფორმირებადი სისტემის შექმნისათვის აუცილებელი დრო ტექნიკური გადაწყვეტის მიხედვით, ზიგჯერ აჭარბებს კიდევაც ანალოგიური არატრანსფორმირებადი სისტემების დამზადებაზე დახარჯულ დროს. ამასთან, არაიშვიათად საჭიროა მაღალი კვალიფიკაციის მუშახელის, ძვირადლირებული მასალების, რთული მექანიზმებისა და მოწყობილობის გამოყენება. მაგრამ შრომისა და დანახარჯების აკუმულაცია ხდება ტრანსფორმაციის სტარტამდე, სისტემის ფუნქციონირება კი განპირობებული ან ტრანსფორმაციის პროცესით, ან ტრანსპორტირებით და შემდეგ – წინასწარ ურთიერთდაკავშირებული ელემენტებისაგან შექმნილი მზა სისტემის ტრანსფორმაციით.

III. გაჭიმული კონსტრუქციული სისტემები

III.1. გაჭიმული არქიტექტურის – „fensile architecture“, როგორც გაჭიმული ტრანსფორმირებადი სტრუქტურების ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებები

გაჭიმული სისტემები მოიცავს კონსტრუქციათა სხვადასხვა სახეობების სიმრავლეს, რომელთა საექსპლუატაციო ფორმა მიიღწევა და შენარჩუნდება გაჭიმვის შედეგად. მათი არქიტექტურის ამოსავალი პოზიციაა მომუშავე სისტემები, რომლის ყველა ელემენტი იჭიმება და ამასთან ერთად მათი საექსპლუატაციო ფორმაც გაჭიმვით მიიღწევა (ფიგ. III.1)



ფიგ. III.1 – კონსტრუქციული ელემენტი რომლის ფორმა მიიღწევა
მისი გაჭიმვის შედეგად

- a** – კონსტრუქციული ელემენტი დეფორმირებულ მდგომარეობაშია გაჭიმვამდე;
- b** – კონსტრუქციული ელემენტის ფორმა მიღწეულია მისი გაჭიმვით.

ადსანიშნავია ის, რომ კონსტრუქციული ელემენტის დეფორმირებული მდგომარეობა შეიძლება გამოწვეული იქოს მისი დრეკადი, დრეკადპლასტიკური და და პლასტიკური დეფორმაციებით.

ფიგ. III.1-ზე წარმოდგენილი კონსტრუქციული ელემენტის ფორმათ–წარმოქმნა ერთნიშნად შეესაბამება ტრანსფორმაციის პროცესს – დაკეცილი მდგომარეობიდან გაშლილ მდგომარეობაში გადასვლას.

ამდენად, გაჭიმული კონსტრუქციული სისტემები, როგორც ნაგებობათა კლასების ერთ-ერთი მიმართულება, ასევე წარმოადგენენ გაჭიმულ ტრანსფორმირებად კონსტრუქციულ სტრუქტურას.

გაჭიმული კონსტრუქციული სისტემები ბოლო ათწლეულებში ფართოდ გავრცელდა მშენებლობაში. მათ გამოყენება პპოვეს არა მარტო სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობაში არამედ სპეციალურ ნაგებობებშიც, რომლებიც ექსტრემალურ პირობებში იქმნება. ამ მხრივ ცალკე უნდა აღინიშნოს კოსმოსური ნაგებობები, სადაც „გაჭიმულ არქიტექტურას“ – გაჭიმულ ტრანსფორმირებად, კონსტრუქციულ სტრუქტურას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

„გაჭიმულ არქიტექტურას“ მრავალი ნიშანდობლივი და უპირატესი თვისებები გააჩნია, მაგრამ მათ შორის გამორჩეულია მინიმალური წონა, ფორმაცვალებადობის უნარი ტრანსფორმაციის მეთოდით და განსაკუთრებული არქიტექტურული ფორმების სიმრავლე.


გაჭიმული სტრუქტურების მინიმალური წონა მიიღწევა იმით, რომ კონსტრუქციული ელემენტები ყოველთვის გაჭიმულია, თუნდაც მაშინ, როდესაც გარე ძალებისაგან ისინი კუმშვით ძალვებს ითვისებენ. სწორედ ამიტომ, რადგანაც კონსტრუქციული ელემენტების მუშა მდგომარეობას წარმოადგენს გაჭიმვა, მათი კონსტრუქციული მასალის სიმტკიცე მაქსიმალურად არის გამოყენებული. შესაბამისად, განსხვავებით შეკუმშული ელემენტებისაგან, სადაც გრძივი ღუნვის ფაქტორიდან გამომდინარე დომინირებს დაძაბულობის შემცირების აუცილებლობა, მდგრადობის დაკარგვის პირობების გათვალისწინებით, გაჭიმულ ელემენტებში მაქსიმალურად ხდება მასალის სიმტკიცის ათვისება. ამასთან, აღნიშნული ფაქტორის გამო მათში ასევე აღარ არის მაღალი და ზემაღალი სიმტკიცის მასალების გამოყენების ხელისშემსლელი პირობები, რაც კიდევ უფრო ამსუბუქებს გაჭიმულ კონსტრუქციულ სისტემას.

არქიტექტურული ფორმების სიმრავლის, შესახებ მოგვიანებით იქნება მსჯელობა.

რაც შეეხება „გაჭიმული“ ტრანსფორმირებადი სტრუქტურის ფორმაცვალება-დობას და მისი საბოლოო ფორმის მიღწევას, ზოგადად ადგილი აქვს შემდეგ მეთოდებს:

- ტრანსფორმირებადი კონსტრუქციული სტრუქტურის ფორმის მიღწევა, გარე ძალების ზემოქმედების გარეშე, კონსტრუქციულ ელემენტებში შინაგანი ძალვების აღძვრით (ფიგ. III. 2, a);
- ფორმის მიღწევა მოქნილი, ჰერმეტული ტრანსფორმირებადი კონსტრუქციული სტრუქტურის გაჭიმვით, რაც ძირითადად მიიღწევა მათი შევსებით აირით, სითხით, ფხვიერი ან პლასტიკური მასით (ფიგ. III.2, b);
- ფორმის მიღწევა მოქნილი, ჰერმეტული კონსტრუქციული სტრუქტურის გაჭიმვით, მასში აირის, სითხის, ფხვიერი ან პლასტიკური მასის შეშვებით, რის შემდეგ ხდება მოქნილი სტრუქტურის გახისტება და შედეგად შეჭმუნელი აირის, სითხის, ფხვიერი ან პლასტიკური მასის გამოდევნა კონსტრუქციიდან (ფიგ. III. 2, c);

- ფორმის მიღწევა დაკეცილი, ხისტი, ჰერმეტული ტრანსფორმირებადი კონსტრუქციული სტრუქტურის გაჭიმვით, მასში აირის, სითხის, ფხვიერი ან პლასტური მასის შეჭმუხვნით. კონსტრუქციის გაშლილი ტრანსფორმირებადი სტრუქტურის ფორმის მდგრადი შენარჩუნებით უმეტეს შემთხვევაში ხდება კონსტრუქციიდან აირის, სითხის, ფხვიერი ან პლასტიკური მასისი გამოდევნა (ფიგ. III. 2, d).
 - ფორმის მიღწევა მოქნილი ტრანსფორმირებადი კონსტრუქციული სტრუქტურის გარეშე ძალით დაჭიმვით და მისი მიმაგრებით ხისტ კონსტრუქციასთან, რომელიც უპირატესად მუშაობს კუმშვაზე და ლუნგვაზე (ფიგ. III. 2, e).
 - ფორმის მიღწევა მოქნილი ან ხისტი ელემენტებისგან შემდგარი ტრანსფორმირებადი კონსტრუქციული სტრუქტურის გაერთიანებით კუმშვა და ლუნგვაზე მომუშავე გასაშლელ ტრანსფორმირებად კონსტრუქციულ სტრუქტურასთან და მისი საშუალებით ერთიანი სტრუქტურის ტრანსფორმაცია – გაშლა და ფიქსაცია (ფიგ. III. 2, f).
- განხილული მეთოდებით „გაჭიმული“ ტრანსფორმირებადი კონსტრუქციული სტრუქტურების ფორმაცვალებადობის პროცესების საილუსტრაციოთ განხილული კონკრეტული მაგალითები – a, b, c, d, e, f – ნაჩვენებია ფიგ. III.2-ზე.



ფიგ. III.2 – „გაჭიმული“ ტრანსფორმირებადი კონსტრუქციული სტრუქტურების ფორმაცვალების სქემები

I – დაკეცილი მოქნილი ტრანსფორმირებადი კონსტრუქციული სტრუქტურა;

- II** – გაშლილი ტრანსფორმირებადი კონსტრუქციული სტრუქტურა;
- III** – გაშლილი ტრანსფორმირებადი კონსტრუქციული სტრუქტურა გამყარების პროცესში;
- IV** – გამყარებული ტრანსფორმირებადი კონსტრუქციული სტრუქტურა.

- a)** 1 – დაჭმუქნული აპკი წამოცმული ლილვზე; 2 – ლილვი; 3 – ცენტრიდანული ძალით 4 გაშლილი აპკი 3, რაც გამოიწვია ლილვის 2 ბრუნვაში;
- b)** 1 – ჰერმეტული ფიგურა დაკეცილ მდგომარეობაში; 2 – ჰერმეტულ ფიგურასთან მიერთებული ბალონი; 3 – არგონი ბალონში; 4 – ბალონის ჩამკეტი დაკეცილია; 5 – ჰერმეტული ფიგურა გაშლილია; 6 – ჰერმეტული ფიგურის გამჭიმავი არგონი, რომელიც ბალონიდან 2 გადავიდა ფიგურაში ჩამკეტის 4 გახსნის შემდეგ.
- c)** 1 – ჰერმეტული ფიგურა დაკეცილ მდგომარეობაში; 2 – აირის ბალონი; 3 – აირის ბალონის ჩამკეტი; 4 – გამყარებული მასალა ბალონში აეროზოლის სახით; 5 – აეროზოლის ბალონის ჩამკეტი; 6 – აირი; 7 – გამყარებული აეროზოლი; 8 – აირით გაბერილი ფიგურა, რომელშიც ონჯანი 3-ის გახსნით შევიდა აირი; 9 – გამყარებული აეროზოლის ნივთიერებით გახისტებული გაშლილი ფიგურა; 10 – ხისტი ფიგურა, რომლიდანაც გამოსულია აირი და მოხსნილია ბალონები.
- d)** 1 – ხისტი, დაკეცილი, ჰერმეტული ტრანსფორმირებადი კონსტრუქციული სტრუქტურა; 2 – აირით გავსებული ბალონი; 3 – ჩამკეტი; 4 – საკეტი; 5 – ხისტი გასაშლელი კონსტრუქციული ტრანსფორმირებადი სტრუქტურა; 6 – საკეტი მოხსნილია; 7 – ბალონი მოხსნილია.
- e)** 1 – ხისტი რგოლი; 2 – მრგვალი დრეკადი აპკი; 3 – გაჭიმული დრეკადი აპკი კონტურზე ჩამაგრებული 4 ხისტ რგოლთან.
- f)** 1 – ხისტი ტრანსფორმირებადი კონსტრუქციული სტრუქტურა; 2 – მოქნილი, დაკეცილი ტრანსფორმირებადი სტრუქტურა, რომელიც რგოლზეა ჩამაგრებული; 3 – გაჭიმული ტრანსფორმირებადი კონსტრუქციული სტრუქტურა, რომელიც გაშლილ, ხისტ ტრანსფორმირებად კონსტრუქციულ სტრუქტურაზე 4 მიმაგრებული 5.

აღსანიშნავია, რომ გაჭიმული ტრანსფორმირებადი კონსტრუქციული სტრუქტურის ხისტი საყრდენები სტაციონარულია, თუ ტრანსფორმირებადი სტრუქტურა ორივე შემთხვევაში წარმოადგენს საყრდენ, ძალოვან ელემენტებს, რომლებიც ითვისებენ გაჭიმული სტრუქტურიდან მათზე გადაცემულ გამბრჯენის ძალებს.


დაჭიმული სტრუქტურების მზიდი ელემენტები დამზადებულია:

- ძაფებისაგან, რომლებიც შეიძლება რეალურად წარმოადგენდნენ მავთულებს, ბაგირებს, ტროსებს, ხისტ პროფილებს და ხისტი ელემენტებისაგან შედგენილ გრძივ კონსტრუქციებს;
- ბადეებისაგან, რომელიც შედგება ურთიერთგადამკვეთი და გადაკვეთის ადგილებში ერთმანეთთან დაკავშირებული მრავალი ძაფებისაგან;
- მემბრანისაგან, რომელიც თავისი ფიზიკური ბუნებით ახლოს დგას ბადესთან და ისინი იდეალიზებულია როგორც ბადეები, რომელთა მოსაზღვრე კვანძები უსასრულოდ ახლოს არიან განთავსებული ერთმანეთთან;

— ხისტი ფურცლოვანი მასალისაგან.

მიუხედავად იმისა, თუ კონკრეტულ შემთხვევაში რეალურად რას წარმოადგენენ მავთულები, მათი მუშაობის ხასიათიდან გამომდინარე, ისინი იყოფიან ორ ძირითად სახეობად – მოქნილ ძაფებად და ვანტებად.

მოქნილი ძაფები ღერძული მიმართულებით გაჭიმვის გარდა, ასევე განიცდიან განივი ძალების ზემოქმედებას და შესაბამისად იღებენ ერთადერთ ფორმას კონკრეტული განივი ძალების ზემოქმედების სურათის მიხედვით (ფიგ. III.3).



ფიგ. III.3 – მოქნილი ძაფების ფორმები მათზე მოქმედი ძალების შესაბამისად


- a** – მოქნილი ძაფის ფორმა, მასზე განივად მომქმედი თანაბარგანაწილებული დატვირთვით;
- b** – მოქნილი ძაფის ფორმა, მასზე განივად მომქმედი შეცურსული დატვირთვით.

წარმოდგენილი სქემების მიხედვით, q თანაბარგანაწილებული ტვირთით და P შეცურსული ძალით, პირველ ეტაპზე უნდა დაიტვირთოს 0-0 სწორის გასწვრივ A და B საყრდენებზე ჩაბმული მოქნილი ძაფი. მეორე ეტაპზე, მათი ზემოქმედება იწვევს ძაფის დეფორმაციას იმის შესაბამისად, თუ რა მოხაზულობის თეორიული მდუნავი მომენტის ეპიცურა განვითარდება მალში. ამის საშუალებას იძლევა მოქნილი ძაფები, რომელთა სიგრძე მეტია, ვიდრე A და B საყრდენებს შორის გავლებული სწორი მონაკვეთის სიგრძე.

მოქნილი ძაფები წარმოადგენენ “გაჭიმულ არქიტექტურაში” გავრცელებული მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი კიდული სისტემების შექმნის ძირითად ელემენტებს, რომელთაც, როგორც განვიხილეთ, ახასიათებთ კინემატიკური გადაადგილება.

რაც შეეხება ძაფების მეორე სახეობას – ვანტებს, იგი მოქნილი ძაფებისაგან განსხვავდება იმით, რომ არ განიცდის განივი დატვირთვის ზემოქმედებას. მასზე ძალები მოდებულია მხოლოდ ჩამაგრების კვანძებში და

ამდენად მის განივევეთში აღიძრება მხოლოდ დერძული გამჭიმავი ძალები. მისი ფორმა ორ ჩასატებ კვანძს შორის არის წრფივი (ფიგ. III.4.)




ფიგ. III.4 – კასტრუს უცალებელი უქსა, რაზულიც გამოცვლის გრძივი დერძის მიმართულებით გაჭიმვას და არ განიცდის ძალების განივ ზემოქმედებას

მსგავსად მოქნილი ძაფებისა „გაჭიმულ არქიტექტურაში“ ვანტებიც მრავალი კონსტრუქციების შემადგენლობაშია, როგორც ძირითადი მზიდი ელემენტები.

III. 2. ტრანსფორმირებადი სისტემები, რომელთა ფორმა მიიღწევა მხოლოდ გაჭიმული კონსტრუქციული სტრუქტურებით

აღნიშნული სისტემების გავრცელებულ კლასს წარმოადგენს პევმომზიდი კონსტრუქციები. აღნიშნული კლასის კონსტრუქციები, როგორც წესი მზადდება ცალკეული ელემენტების – პევმო კოჭების, პევმო დგარების, პევმო თაღების, პევმო ჩარჩოების, პევმო ბალიშების, პევმო ორთოტროპიული და პევმოზოტროპიული ფილების და სხვათა სახით მათი საშუალებით კი ხდება სხვადასხვა ფორმის და ნაგებობების შექმნა-შენება (ფიგ. III.5).



**ფიგ. III.5 – პნევმომზიდი კონსტრუქციები, წარმოქმნილი დასახვევი ან
დასაკუცი, სხვადასხვა ჰერმეტულ ფორმებში აირების ჭარბი
წნევით ჩაჭირხვნის შედეგად**

a – პნევმო კოჭი; **b** – პნევმო დგარი; **c** – პნევმო თაღი; **d** – პნევმო ჩარჩო;
e – პნევმო ორთოტროპული ფილა პარალელური ტიხერებით; **f** – პნევმო

ორთოტროპული ფილა დახრილი ტიხერებით; **g** – იზოტროპული პნევმო ფილები
სარტყელების დაშორიშობული მომჭერებით; **h** – იზოტროპული პნევმო ფილები მჯიდროდ
განთავსებული სარტყელის მაკავშირებელი მომჭიმებით.

აღნიშნული პნევმომზიდი კონსტრუქციების საექსპლუატაციო ფორმა
მიღწეულია მასში ჩაჭირხნული გაზების, როგორც დაბალი, ასევე მაღალი
წნევებით. სათანადოდ ეს იწვევს მისი გეომეტრიული ზომების ცვალებადობას.

მაგალითად თუ დაბალწნევიანი პნევმო თაღისთვის, სადაც წნევები აღწევს
მხოლოდ 20-25 კილოპასკალს, განივავეთის დიამეტრის შეფარდება სიმრუდის
რადიუსის სიდიდეებთან ცვალებადობს $1/8 - 1/14$ შორის, მაღალწნევიან
პნევმოთაღებში აღნიშნული სიდიდე ცვალებადობს $1/20 - 1/45$ შორის.


ამასთან, მაღალი წნევების განვითარება პნევმომზიდ კონსტრუქციებში
მოითხოვს კონსტრუქციული მასალების ნაქსოვი შემადგენლობის მაღალ
სიმტკიცეს გაჭიმვაზე, მაგალითად: პნევმოთაღებში განვითარებული მაღალი
80–750 კილოპასკალის წნევების პირობებში, თაღის ქსოვილი უნდა იყოს
თავიდან ბოლომდე მთლიანი, გადაბმების გარეშე და ორიგე მხრიდან დაფარული
ანალოგიური წნევების გაზის გაუმტარი შემავსებელისაგან.

ასეთი მოთხოვნების დაკმაყოფილება, მაღალწნევიან პნევმომზიდ
კონსტრუქციებში, ართულებს მათი მიღწევის ტექნიკურ და ტექნოლოგიურ
გადაწყვეტებს და პროცესებს. იწვევს დირებულების $2,5 - 5 - 10$ გაზრდას,
ჩვეულებრივ, დაბალწნევიან პნევმომზიდ კონსტრუქციებთან შედარებით. ამასთან
უმთავრეს პირობად და ძნელად მისაღწევად მაინც რჩება მაღალწნევიან
კონსტრუქციებში ჰერმეტულობა, რაც კიდევ უფრო რთულდება დიდი მაღალების
შემთხვევაში.

ზოგადად პნევმომზიდი კონსტრუქციები გავრცელებულია 6-24 მეტრი
მაღალების მქონე ნაგებობებში, თუმცა არის გამონაკლისები, როდესაც პნევმო
თაღებით გადახურულია 50 მეტრზე მაღის მქონე ნაგებობებიც.

პნევმომზიდი კონსტრუქციებით ხმელეთზე, წყალში, ჰაერში და კოსმოსში
ხდება სხვადასხვა ფორმის ნაგებობების შექმნა, რომელიც შეიძლება იყოს


დგარებისა და კოჭებისაგან შედგენილი, ცილინდრული გარსების და გუმბათის ფორმების და სხვა (ფიგ. III.6).



ფიგ. III.6 – დაკეცილი, დახვეული ან უბრალოდ დაჭმულნული, ჰერმეტული, გარევეული ფორმის ნაკეთობის გაზით შეესების შემთხვევაში, ტრანსფორმაციის პროცესით ხდება სხვადასხვა ფორმის პნევმონეტი ნაგებობებისა და კონსტრუქციების ფორმათწარმოქმნა

- 1 – დამზადებული ნაკეთობა დაკეცილი სატრანსპორტო პაკეტის სახით;
- 2 – გაზით დატენილი ბალონი ან კომპრესორი;
- 3 – გაზის ბალონის ან კომპრესორის მიერთების საშუალება ნაკეთობასთან;
- 4 – ნაკეთობის ჰერმეტული, გასახსნელ-დასაკეცი სარქველი;
- 5 – პნევმომზიდი, ტრანსფორმაციის შედეგად წარმოქმნილი დაჭიმული სტრუქტურები – ნაგებობები და კონსტრუქციები.

გარდა, პნევმომზიდი ჰერმეტულ-ტრანსფორმირებადი კონსტრუქციული სტრუქტურისა, ბოლო პერიოდში ასევე იქმნება სისტემები რომელთა ფორმა წარმოიქმნება სხვა კონსტრუქციაზე მიბმის გარეშე. ამის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ აეროსტატი, რომელიც მასში არაჰერმეტულად განთავსებული ჰაერის და გარეთ არსებულ ჰაერის ტემპერატურების სხვაობის შედეგად წარმოქმნის ფორმას (ფიგ. III.7), რაც უკავშირდება ასევე წნევათა სხვაობას შიგა და გარე ზედაპირის სხვადასხვა მონაკვეთებში.



ფიგ. III.7 – არაპერმეტული ტრანსფორმირებადი კონსტრუქცია, რომელიც ფორმას აღწევს შედარებით გამობარი ჰაერის ზესწრაფვით, ნაწილობრივ შემოფარგლულ სივრცეში წარმოქმნილი მაღალი დაწევებით

- a** – არაპერმეტული ტრანსფორმირებადი კონსტრუქცია დაკეცილ მდგომარეობაში;
- b** – არაპერმეტული ტრანსფორმირებადი კონსტრუქცია გაშლილ მდგომარეობაში;
- 1 – არაპერმეტული ტრანსფორმირებადი კონსტრუქცია; 2 – სითბოს გამოყოფი წყარო.

დაკეცილ არაპერმეტულ კონსტრუქციებში, შიგა მოცულობაში ხდება გამობარი ჰაერის შეშვება, რაც განპირობებულია მისი აღმძვრელით. გარეთ არსებული ცივი ჰაერის მასებთან შედარებით – $t_1 < t_2$. ამის გამო გასაბერ კონსტრუქციაში წარმოიქმნება შედარებით მაღალი წნევა, ვიდრე ეს მის გარეთ არის, რაც იწვევს კონსტრუქციის გაბერვას. ამასთან, იმის გამო, რომ გამობარი ჰაერით არაპერმეტულად შევსებული კონსტრუქცია უფრო მსუბუქია ვიდრე მის მიერ დაკავებული სივრცის გარეთ არსებული, შედარებით დაბალ-ტემპერატურიანი ჰაერის წონა, კონსტრუქცია იწყებს ჰაერში მაღლა აწევას და ამასთან ფორმის შენარჩუნებას, რისი პირობაც არის შიგა სივრცეში ჰაერის მუდმივი გათბობა სითბოს წყაროს საშუალებით.

მიუხედავად განმარტებისა, რომ „ფორმის მიღწევა მხოლოდ კონსტრუქციული სტრუქტურის გაჭიმვით“ არის შესაძლებელი ყოველგვარ სტაციონალურ სხვა გასაშლელ კონსტრუქციაზე მიმდის გარეშე, ფიგ. IV.7-ზე წარმოდგენილი სქემა, როგორც ტრანსფორმირებადი სტრუქტურა, აკმაყოფილებს აღნიშნულ მოთხოვნას. ამასთან მშენებლობაში დამკვიდრებული კლასიფიკაციის მიხედვით იგი თითქმის შეესაბამება ჰაერსაყრდენიან პნევმონისტ კონსტრუქციების კლასს, რაც შეიძლება საკამათო იყოს. მაგრამ თვით არსი

კონსტრუქციის ტრასფორმაციისა, რაც ჩვენთვის არის აუცილებელი, სრულად შეესაბამება გაჭიმული ტრანსფორმირებადი კონსტრუქციული სტრუქტურის ლოგიკას.


როდესაც განხილება პნევმოსისტემები და განსაკუთრებით პნევმომზიდი კოსმოსური სისტემები მეტად მნიშვნელოვანია განხილვა ისეთი მაგალითებისა, როდესაც კონსტრუქცია თავისი ფორმათწარმოქმნის ეტაპზე პასუხობს „გაჭიმული არქიტექტურის“ მოთხოვნებს, იმასთან დაკავშირებით, რომ კონსტრუქციის ყველა ელემენტში ფორმის მიღწევისას წარმოიშვება მხოლოდ გამჭიმავი ძალვები.

მაგრამ არსებობენ კონსტრუქციები, რომლებიც გაჭიმვით ფორმის მიღწევის შემდეგ, ექსპლუატაციის პირობებში, მის ცალკეულ ან მთლიან ნაწილში მუშაობენ კუმშვაზე. ასეთებს მიეკუთვნებიან გამყარებადი პნევმოკონსტრუქციები და კონსტრუქციები, რომელთა დაპირება განხორციელებულია კონსტრუქციული მასალის დრეკად-პლასტიკური და უფრო მეტად პლასტიკური დეფორმაციის ხარჯზე.

ასეთი კონსტრუქციები არის პნევმატური კონსტრუქციებისა და ხისტი კონსტრუქციების ჰიბრიდები. მათი გამოყენების პერსპექტივები დროთა განმავლობაში კიდევ უფრო გაიზრდება.

განვიხილოთ ზემოთ აღნიშნული ტიპის სხვადასხვა ფორმის ტრანსფორმირებადი კონსტრუქციები.

გადაზიდვების პრაქტიკაში დაცლილი ჭურჭლის, მაგალითად კასრების, ტრანსპორტირებისას ტვირთების მოცულობის შემცირების მიზნით, რიგ შემთხვევებში გამოიყენება კასრის დაჭმუჭვნა, მისი ამ სახით ტრანსპორტირება და შემდგომი გამოყენების დროს კასრისთვის, მისი „გაბერვით“ პირველადი საექსპლოატაციო ფორმის მინიჭება (ფიგ. III.8).



ფიგ. III.8 – კასრის ცილინდრული ფორმის ტრანსფორმირების პროცესები მისი დაჭმუჭვნისა და შემდგომ ეტაპზე, ხელახლა ფორმის მინიჭება კასრის „გაბერვით“


a – ორივე მხრიდან დახუფული, ცილინდრული კასრის განთავსება წნების ქვეშ;
b – წნების მიერ დაჭმუქნული კასრი; **c** – ცარიელი კასრის დაჭმუქნული, კომპაქტური, სატრანსპორტო პაკეტი; **d** – “გაბერილი”, საექსპლოატაციო ფორმა, აღდგენილი კასრისა.

1 – კასრის გეერდითი ცილინდრული ნაწილი; **2** – კასრის ზედა და ქვედა ხუფი; **3** – კასრის გაზით შევსების სარქველი; **4** – წნები; **5** – გაზის ბალონი ან კომპრესორი; **6** – გაზის მიმწოდებელი მოწყობილობა; **7** – კასრის დაჭმუქნული ნაწილი.

თუ განვიხილავთ ფიგ. III.8 – ზე წარმოდგენილი პროცესების სქემებს, ცხადი გახდება, რომ დაჭმუქნული მდგომარეობიდან კასრის, საწყისი – საექსპლუატაციო ფორმის წარმოქმნა ხდება კასრის გვერდითი ზედაპირის გასწორებით – გაჭიმვით. გაჭიმვის ძალებს განაპირობებს კასრში, ჭარბი წნევით შეევანილი გაზი.

ამდენად ფორმათწარმოქმნის სტადიაზე კასრის ცილინდრული გვერდითი ზედაპირი და მისი ხუფი განიცდის გაჭიმვას, მაგრამ შემდგომ კასრის კონსტრუქციაში აღიძვრება ნებისმიერი ნიშნის ძალვები, რაც მიუღებელია “გაჭიმული არქეტექტურის” იდეოლოგიით შექმნილი სისტემისათვის.

აღნიშნული – გაბერვის მეთოდის გამოყენება ძალიან მოსახერებელია გაბრტყელებული ხისტი მილების დახვეულ მდგომარეობაში ტრანსპორტირების შემდეგ ეტაპზე (ფიგ. III.9).



ფიგ. III.9 – გაბერვის მეთოდის გამოყენება ხისტი პროფილის მილების გაბრტყელებული, დახვეული მდგომარეობიდან საექსპლოატაციო, მრგვალი პროფილიანი მილების მისაღებად

a – ხისტი, მრგვალი პროფილის მილი; **b** – მილის მრგვალი კონტურის განივევეთი; **c** – გაბრტყელებული მილი; **d** – გაბრტყელებული მილის განივევეთის პროფილი დეფორმირებულ მდგომარეობაში; **e** – დახვეული, გაბრტყელებული მილი; **f** – მილის გაშლა და პროფილის აღდგენა მასში ჭარბი წნევის შექმნით; **g** – ჭარბი შიგა წნევის შედეგად გაბრტყელებული და დახვეული მილი გაიშალა და მისი განივევეთი გახდა წრიული მოხაზულობის კონტური.

1 – მილი გაშლილი და განივევეთის წრიული კონტურით; 2 – მილის წრიული კონტური; 3 – გაბრტყელებული მილი; 4 – გაბრტყელებული მილის განივევეთის პროფილი; 5 – დახვეული, გაბრტყელებული მილი – დაკეცილი მილის სატრანსპორტო პაკეტი; 6 – მილის ბოლოს გერმეტიზაცია; 7 – მილის მეორე ბოლოში მოწყობილი გაზის მაღალი წნევის სარქველი.

მილის გაბრტყელება ხდება მის გაყოლებაზე, ზემოდან და ქვემოდან კინტენირების ძალის მოდებით, რომლის შემდეგ უკვე გაბრტყელებული მილი ეხვევა კომპაქტური სატრანსპორტო პაკეტის სახით. ასეთ მდგომარეობაში, ექსპლოატაციის ადგილას მილის ერთ ბოლოზე ეწყობა გერმეტული ხუფი, ხოლო მეორე ბოლოზე მაგრდება გაზის მაღალი წნევით მილში შეყვანის სარქველი, საიდანაც ხდება მილის “გაბერვა” – მაღალი წნევის მქონე გაზით შევსება. მილის შიგნით წარმოქმნილი ჭარბი წნევის შემდეგ მილი იშლება, სწორდება და ამასთან გაბრტყელებული განივევეთი ლებულობს წრიული კონტურის ფორმას.


მილის გაბრტყელება, დახვევა, შემდეგ გაშლა და პროფილის აღდგენა წარმოადგენს ფორმის ტრანსფორმაციის ეტაპებს. ამასთან, დახვეული და გაბრტყელებული მილის გაშლა და წრიული პროფილის აღდგენა, რაც განპირობებულია მისი „გაბერვით“, ზუსტად შეესაბამება „გაჭიმული არქიტექტურის“ პრინციპებს.

ფორმის მიღწევის შემდეგ, გასწორებული და განივევეთის წრიული პროფილის აღდგენის მილზე მოქმედმა ძალებმა, შეიძლება გამოიწვიოს მისი კუმშვა, ღუნვა ან გრეხვა, რაც ბუნებრივია გამოიწვევს მასში რეალური მკუმშვი ძალვების აღმვრასაც, რაც აღარ შეესაბამება „გაჭიმული არქიტექტურის“ პრინციპებს.

მსგავს პროცესებში, როდესაც ხდება გარე ძალების საშუალებით ხისტი პროფილების დაჭმუჭვნა, დახვევა ან დაკეცვა, რაც შედეგია მათში პლასტიკური დეფორმაციების განვითარებისა, მეტად მნიშვნელოვანია აღნიშნული პროცესების გეგმაზომიერი და მიზანმიმართული წარმართვა. ეს აუცილებელია იმისათვის, რომ მოხდეს დიდგაბარიტიანი კონსტრუქციის დაპატარავება და ასევე არ

მოხდეს დასაპატარავებელ სხეულში კედლის ისეთი დაზიანება, რაც გამოიწვევს მისი შიგა მოცულობის პერმეტიზაციის დარღვევას.

კონსტრუქციის გეგმაზომიერი და მიზანმიმართული დაკეცვის მაგალითად შეიძლება განვიხილოთ ტორის ფორმის კონსტრუქცია, რომელთა გამოყენების ერთ-ერთ მაგალითად შეიძლება განვიხილოთ კოსმოსური დიდი გასაშლელი რეზლექტორები. რეზლექტორის ძალოვანი გამშლელი რგოლი შეიძლება შესრულებული იყოს გასაშლელი, ხისტი კონსტრუქციისაგან, რომლის ფორმათწარმოქმნა – გაშლა ხდება ტორის მცირე ფორმის “გაბერვით” და საპროექტო სიდიდის, დიდი ტორის წარმოქმნით (ფიგ. III.10).



ფიგ. III.10 – ტორის ფორმის, ხისტი კონსტრუქციის ტრანსფორმაციის–დაკეცვისა და გაშლის შესაძლებლობები მისი შეგუმშვით და “გაბერვით”

- a** – ტორი გაშლილ მდგომარეობაში;
- b** – ტორი დაკეცილ-სატრანსპორტო პაკეტის მდგომარეობაში;
- 1 – გაშლილი ტორის ხისტი ტალღოვანი ფორმა;
- 2 – სარქელი;
- 3 – დაკეცილი ტორის ხისტი, ნაოჭოვანი ფორმა.

ტორს, მისი ცენტრის მიმართ მერიდიანულ სიბრტყეებში უკეთდება ოდნავ შესამჩნევი ტალღისებური პროფილი. მასზე მერიდიანული მკუმშავი **q** დატვირთვის შედეგად ტორი დიამეტრით – **D** ტრანსფორმირდება – იკეცება მცირე დიამეტრის – **d** ტორად. მისი დაკეცვა განპირობებულია ტორის ტალღოვანი ტანის შექმუხვით, რის შედეგადაც იგი უკეთ დებულობს ნაოჭოვან ფორმას. ასეთი ტრანსფორმაციის შედეგად ასევე ხდება ტორის განივგვეთის ზომის ცვალებადობაც. თუ გაშლის **D** დიამეტრიანი ტორის განივგვეთის

მაქსიმალური ზომა შეადგენს **h**, მისი დაკეცვის შემთხვევაში, როცა დიამეტრი შემცირდა π -მდე ტორის განივალების სიმაღლემ, პირიქით, მოიმატა და გახდა **H**.

ტორის გეგმაზომიერი დაკეცვა სწორედ მისი ტალღოვანი ტანის საშუალებით ხდება. ტორის დაკეცვისას ტანის ტალღის სიგრძე მცირდება და შესაბამისად მატულობს ტალღის ამპლიტუდა. მასალის ასეთი ფორმაცვალებადობა, როგორც ითქვა განაპირობებს ტორის გეგმაზომიერ და მიზანდასახულ პროგნოზირებად დაპატარავებას და მისი განივალების ზრდას.


ტორის გაშლისათვის ხდება მისი “გაბერვა” **P** ჭარბი წნევით, რომლის შედეგად ტორის ნაოჭოვანი ტანი იშლება, გადადის ტალღისებურ ფორმაში და იშლება – დებულობს საწყის, საექსპლუატაციო ფორმას.

განხილული მაგალითები (იხ. ფიგ. III.8, ფიგ. III.9 და ფიგ. III.10), ერთის მხრივ შეესაბამება „გაჭიმული კონსტრუქციების“ არქიტექტურის იდეოლოგიას, ოდონდ, მხოლოდ ფორმათწარმოქმნის სტადიაზე. რაც შეეხება მეორე სტადიას – კონსტრუქციის მუშაობას სასარგებლო დატვირთვებზე, აქ ისინი განიხილება, როგორც ჩვეულებრივი, ხისტი მასალისაგან შექმნილი ნაკუთობები, რომლებიც ასევე იტანენ მკუმშავი ძალვების წარმოქმნას.

ამდენად, განხილულ მაგალითებში მოყვანილი და მათი ტიპის სხვა კონსტრუქციები შეიძლება მივიჩნიოთ პიბრიდულ, პნევმომზიდ სტრუქტურებად.

ნახევრად პნევმომზიდი კონსტრუქციული სტრუქტურა შეიძლება ასევე იყოს კომბინირებული და არამთლიანგანიანიც. ეს ის შემთხვევებია, როცა ხისტი ნაწილის გარსაცმის გაშლა ხორციელდება მასში განთავსებული, მოქნილი მასალისაგან დამზადებული გასაბერი ბალიშით. ასეთ შემთხვევაში გარსაცმის გერმეტულობა აღარ არის აუცილებელი და იგი შეიძლება ბადისებრი, ნახვრეტებიანი, ან სხვა სახის ამონაჭრების მქონე, არამთლიანი ხისტი კონსტრუქცია იყოს. ამის მაგალითად შეიძლება განვიხილოთ გარსაცმისაგან ლეროვანი გუმბათის ფორმათწარმოქმნა, როდესაც გუმბათის სატრანსპორტო პაკეტი, ცალკეული ელემენტების პლასტიკური დეფორმაციების შედეგად დაკეცილია და მასში განთავსებულია გერმეტული, დრეკადტანიანი გასაბერი ბალიში. სწორედ ბალიშის გაშლის შედეგად დაკეცილ გუმბათში წარმოქნება ძალვები, რომლის შედეგად იწყებს გასწორებას პლასტიკური დეფორმაციების შედეგად დეფორმირებული ცალკეული ლეროები. ასეთი

პროცესი საბოლოო ჯამში განაპირობებს გუმბათის გაშლილი, საექსპლუატაციო ფორმის მიღწევას (ფიგ. III.11).



ფიგ. III.11 – ერთშრიანი, ბადისებრი გუმბათის ტრანსფორმაციის სტადიები განხორციელებული კომბინირებული, ნახევრად პნევმომზიდი, ჰიბრიდული ტრანსფორმირებადი კონსტრუქციული სტრუქტურით

a – ნახევრად პნევმომზიდი, კომბინირებული, ერთშრიანი ბადისებრი ხისტი დეროებისაგან შედგენილი გუმბათი დაკეცილ მდგომარეობაში, რომელშიც განთავსებულია გასაბერი ბალიში;

b – გუმბათი გაშლილ მდგომარეობაში, რომელიც გაერთიანებულია გაბერილ ბალიშთან ერთად;

c – დაკეცილი, გაზისაგან დაცლილი ბალიში გაზის ბალონთან ერთად მოცილებულია გაშლილი გუმბათისაგან;

d – გაშლილი, ერთშრიანი ბადისებრი გუმბათი.

1 – ბადისებრი გუმბათის დეროები დეფორმირებულია პლასტიკური დეფორმაციებით;

2 – გასაბერი ბალიში განთავსებული გუმბათში; 3 – გერმეტული ბალიშის გაზის ბალონის მიერთების სარქველი; 4 – გაზის ბალონი ან კომპრესორი; 5 – ბალიშის, კონტენერისა და გუმბათის კონტურის შემაერთებელი დროებითი სამაგრები; 6 – გუმბათის წრიული პერიფერიალური კონტური; 7 – გუმბათს გასწორებული დეროები, რომლებიც ქნიან ერთშრიანი ბადისებრი გუმბათის სტრუქტურას.

დაკეცილი გუმბათიდან 1 გაშლილი გუმბათის 7 ფორმათწარმოქმნის შემდეგ, რომელიც განხორციელდა ბალიშის 2 გაბერვის ძალოვანი ზემოქმედებით, დროებითი სამაგრების 5 მოხსნით, გუმბათის პერიფერიული დეროვანი კონტურიდან 6, შესაძლებელია ბალიშის 2, ბალიშის სარქველის მოწყობილობის 3 და ბალიშის აირის დამტკიცირების 4, ან კომპრესორის მოხსნა გაშლილი გუმბათისაგან 7. ამდენად რჩება გაშლილი ფორმის ერთშრიანი დეროვანი ბალიშების გუმბათი.

თავისი საექსპლუატაციო ფორმით “გაჭიმული არქიტექტურის” სახასიათო პიბრიდული, გაჭიმული ტრანსფორმირებადი სტრუქტურებისაგან შეიძლება ფორმათწარმოქმნა დაბალი, საშუალო და მაღალი წნევების შექმნის შედეგად. რაც მეტია ტრანსფორმირებადი გაჭიმული ზედაპირის ფართი, მით ნაკლები დაწნევაა საჭირო მისი საექსპლუატაციო საპროექტო ფორმის მისაღებად. ზოგადად დაწნევის სიდიდე დიდ დიაპაზონში 0,5 – 700 კილო პასკალის ფარგლებშია.

მნიშვნელოვანია ის, რომ განსაკუთრებით მაღალი წნევების შექმნისას, ჩვეულებრივ “გაჭიმულ კონსტრუქციებთან” შედარებით, მოცემულ შემთხვევაში პერმეტიზაციის დაცვა აუცილებელია მხოლოდ კონსტრუქციული სტრუქტურის გაშლის და ფორმის მიღების ეტაპებზე. ეს კი გამორიცხავს იმ ძნელად მისაღწევ აუცილებლობას – პერმეტიზაციას ყველა ეტაპზე, მათ შორის საექსპლუატაციო პირობებშიც, რაც ჩვეულებრივ “გაჭიმული სტრუქტურებით” შექმნილ ტრანსფორმირებადი კონსტრუქციული სისტემისთვის არის აუცილებელი.

III.3. სისტემები, რომელთა ფორმა მიიღწევა გაჭიმული კონსტრუქციული სტრუქტურის მიბმით სტაციონალურ, მუდმივი და უცვლელი ფორმის მქონე კონსტრუქციულ სისტემასთან, რომელთაც შეუძლიათ უპირატესად მკუმშავი ძალვების ათვისება

აღნიშნული სისტემების მახასიათებელი ძირითადი კონსტრუქციული სქემა წარმოდგენილი იყო ფიგ. III.2.e-ზე. განხილული სქემიდან ჩანს, რომ ასეთი სისტემები ორი ძირითადი ნაწილისაგან შედგება – ტრანსფორმირებადი, გაჭიმული კონსტრუქციული სტრუქტურისაგან, რომელიც მიბმულია სტაციონარულ მუდმივ და უცვლელი ფორმის მქონე სტრუქტურასთან.

აღნიშნული სისტემის ანალიზის მიხედვით, გაჭიმულ კონსტრუქციულ სტრუქტურას გააჩნია უნარი, მასალის შინაგანი სტრუქტურიდან გამომდინარე თვისებით განიცადოს ტრანსფორმაცია – გაიშალოს ან დაიკეცოს და საპროექტო ფორმას მიაღწიოს გაჭიმვის შედეგად.


კონსტრუქციის სტრუქტურის ეს თვისება განაპირობებს, მისი, კომპაქტურად დახვევა-დაკეცვის საშუალებას. ასეთი მინიმალური გაბარიტების სატრანსპორტო პაკეტის სახით ხდება მათი ტრანსპორტირება დანიშნულების ადგილამდე. მონტაჟის დროს დახვეული კონსტრუქციული სტრუქტურა იშლება და ბოლო ეტაპზე ხდება მისი საპროექტო გაჭიმვა. ამ სახით ტრანსფორმაციის შედეგად სტრუქტურა ღებულობს საექსპლუატაციო ფორმას.

კონსტრუქციული სტრუქტურის დაკეცვა-დახვევის უნარი და ელემენტების გაჭიმულ მდგომარეობაში მუშაობის გამო, მიღწეული მინიმალური წონა განაპირობებს აღნიშნული კონსტრუქციული სტრუქტურის დადებით თვისებას.

ამასთან, მას გააჩნია ნაკლოვანებებიც, რაც სტრუქტურის დიდ დეფორმაციულობასთან არის დაკავშირებული. უფრო მეტიც, ერთშრიან სტრუქტურებს კინემატიკური გადაადგილებაც კი გააჩნია. სწორედ სტრუქტურების დეფორმაციულობის შემცირების და რიგ შემთხვევებში ხისტი კონსტრუქციის დეფორმაციებთან მიახლოების მიზნით, ხდება სხვადასხვა კონსტრუქციული სქემების, მათ შორის “გაჭიმული ფერმების”, შექმნა და სხვა.

პირველ რიგში განვიხილოთ რა სახის და რა ფორმის არის ის სისტემა, რომელზეც ხდება ტრანსფორმირებადი, გაჭიმული კონსტრუქციული სტრუქტურის მიბმა, რომელიც საყრდენი კარკასის როლში გვევლინება.

ამ მხრივ, განვიხილოთ გაჭიმული ერთშრიანი ტრანსფორმირებადი კონსტრუქციული სტრუქტურის პარალელურგვერდებიანი საყრდენები (ფიგ. III.12)



ფიგ. III.12 – გაჭიმული ერთშრიანი – მოქნილი ძაფებისაგან შემდგარი, ტრანსფორმირებადი კონსტრუქციული სტრუქტურა პარალელურგვერდებიანი საყრდენებით

1 – მოქნილი ძაფი; 2 – მოქნილი ძაფების საყრდენი კოჭი; 3 – კოჭის დგარზე დაყრდნობის


კვანძი; 4 – ღუნვა-კუმშვაზე მომუშავე დგარი; 5 – დგარის ფუძე-საძირკველი; 6 – მოქნილი ძაფების საყრდენი უჭრი კოჭი; 7 – უჭრი კოჭის დაყრდნობის შუალედური, ხისტი კვანძი; 8 – კუმშვაზე მომუშავე დგარი; 9 – კუმშვაზე მომუშავე დგარის ფუძე-საძირკველი; 10 – დგარისა და მჭიმის შეერთების კვანძი; 11 – მჭიმი-გაჭიმული ბაგირი; 12 – მჭიმის ბოლოში, გრუნტში განთავსებული ანკერი.

როგორც წარმოდგენილი სქემიდან ჩანს, მოქნილი ძაფები ერთ შემთხვევაში შეიძლება ჩაებან კოჭს – *CD*, რომელიც ითვისებს ძაფების დაჭიმვისაგან – *S*, წარმოქმნილ მღუნავ მომენტს *M*. ასეთ შემთხვევაში დიდია მღუნავი მომენტის მაქსიმალური მნიშვნელობა. გარდა ამისა, *CD* კოჭი, რომელიც არის დაყრდნობილი დგარზე, მასშიც განაპირობებს არა მარტო კუმშვას, არამედ ღუნვასაც. დგარის ღუნვის ფაქტორი განპირობებულია, დგარის თავზე გადაცემული ჰორიზონტალური რეაქციით, რომელიც კოჭში წარმოიქმნება მასში ჩამაგრებული გაჭიმული ძაფებისაგან.

შეიძლება გვქონდეს საყრდენი კოჭის განსხვავებული, უფრო შემსუბუქებული მუშაობის სურათიც. მაგალითად, უჭრი კოჭი *AB*, რომელიც ასევე განიცდის მასში ჩამაგრებული ბაგირისაგან ღუნვას, გაცილებით უკეთეს დაძაბულ-დეფორმირებულ მდგომარეობაშია ვიდრე ეს იყო *CD* კოჭის შემთხვევაში. ეს შედეგია იმისა, რომ დგარებს, კოჭის დაყრდნობის ადგილებში ჩაებმება მჭიმები – გაჭიმული ბაგირები, რომლებიც ძირითადად ითვისებენ იმ ჰორიზონტალურ დატვირთვებს, რასაც განაპირობებს გაჭიმული ძაფები. ამის შედეგად კოჭში წარმოიქმნება მღუნავი მომენტი – *M₁* – რომლის მაქსიმალური სიდიდე გაცილებით ნაკლებია მღუნავი მომენტის – *M* – სიდიდესთან შედარებით.

თუ წარმოდგენილი სქემის განხილვას გავაგრძელებთ, ერთ შემთხვევაში, ნახაზის მიხედვით “*N*” სიბრტყეზე განლაგებული “*Q*” დონის ქვემოთ განთავსებული ფუძე-საძირკველი 5, რომელსაც უწევს ღუნვა-კუმშვაზე მომუშავე დგარის დაჭერა, გაცილებით რთულ დაძაბულ მდგომარეობაშია, ვიდრე დგარი 8 – ის დამჭერი ფუძე-საძირკველი, რომელიც ძირითადად მუშაობს მხოლოდ შეკუმშული დგარის დასაფიქსირებლად.

გეგმაში ოთხკუთხა, განსაკუთრებით კი, წაგრძელებული ფორმის, კიდულ სისტემებში გართულებულია განმბრჯენების ათვისება, რომელიც კიდული სისტემის ყოველი მოქნილი ძაფის ჩამაგრების ადგილებში წარმოიქმნება. ასეთ შემთხვევებში გაცილებით გართულებულია განმბრჯენების ათვისება წაგრძელებული ნაგებობების ბოლოებში ვიდრე, შუალედურ კოლონებს შორის განთავსებულ საყრდენ კოჭებზე (ფიგ. III.13).



ფიგ. III.13 – ოთხუთხა წაგრძელებული, მრავალმალიანი გაჭიმული, კიდული სისტემისაგან განხორციელებული დახურვა. საწყის და ბოლო მალში დახურვა განხორციელებულია ფილების სახით, რაც “კოჭი-კედელის” პრინციპით არის დიდი სიხისტის ჰორიზონტალურ სიბრტყეში და უზრუნველყოფს კიდული სისტემის განმბრჯენის ათვისებას


- 1 – მოქნილი ძაფები;
- 2 – მოქნილი ძაფების ჩამაგრების შუალედური კოჭები;
- 3 – შუალედური გვერდითი დგარები, რომლებზეც შუალედური კოჭებია განთავსებული;
- 4 – განაპირა ფილა, რომელშიც მოქნილი ძაფებია ჩამაგრებული. აღნიშნული ფილა მოქნილი ძაფების განმბრჯენებს ითვისებს “კოჭი-კედელის” პრინციპზე მუშაობით;
- 5 – განაპირა ფილის დასაყრდნობი დგარები;
- 6 – მოქნილი მჭიმის, ფილისა და დგარის შეერთების ადგილი;
- 7 – მოქნილი მჭიმი;
- 8 – მოქნილი მჭიმის საანკერო მოწყობილობა;
- 9 – მჭიმების გარეშე ფილის დასაყრდები დგარი.

ასევე, თუ განვიხილავთ წარმოდგენილი დახურვის სქემის დაძაბულ-დეფორმირებულ სურათს, ნათელი გახდება ის, რომ შუალედურ საყრდენ კოჭებზე – E_i F_i , მოსაზღვრე ძაფების არასიმუტრიული დატვირთვის შედეგად წარმოქმნილი $S_2 \neq S_1$ დამძაბავი ძალების შემთხვევაშიც, შუალედური კოჭები და გვერდითი დგარები საკმაოდ დაძაბულ მდგომარეობაშია.

განაპირა მალების ფილით დახურვის შემთხვევაში, ფილა, როგორც “კოჭი-კედელი”, გაცილებით იოლად აიტანს ბაზირების ჩაბმების შედეგად მათში წარმოქმნილ მდუნავ მომენტებს - M .

ამასთან, მნიშვნელოვანია ის, რომ ასეთ შემთხვევაშიც კი დგარების მიერ ათვისება კიდულ სისტემისაგან განაპირებში გადაცემული პორიზონტალური ძალებისა უცვლელი რჩება. მისი ათვისება, როგორც წინა შემთხვევაში (იხ. ფიგ. III.12), წყდება ორი ხერხით. პირველი გულისხმობს ბაგიროვანი მჭიმების მოწყობას ბოლო დგარებზე, ხოლო მეორე თვით ფილის საყრდენი დგარების გაძლიერებულ ღუნვა-კუმშვაზე მუშაობას.

შედარებით იცვლება ვითარება, როდესაც გეგმაში ნაგებობა არის ოთხკუთხა ფორმის, ოდონდ მისი სიგრძის და სიგანის შეფარდება 1:1 ან 1:2-მდე იცვლება, და რაც მთავარია მოქნილი ძაფები ერთმანეთის მართობულად არიან განლაგებულნი (ფიგ. III.14).



ფიგ. III.14 – ორთოგონალურად განთავსებული მოქნილი ძაფების ჩამაგრება ოთხკუთხა კონტურის მქონე ჩარჩოს ტიპის საყრდენთან


- 1 – ორთოგონალურად განლაგებული ურთიერთგადამკვეთი მოქნილი ძაფები;
- 2 – საყრდენი ხისტი, ჩარჩოსებრი კონტური; 3 – დახურვის კონსტრუქციისაგან – გაჭიმული სისტემისაგან და ჩარჩოსებრი კონტურისაგან გადმოცემულ ძალებზე, დერძულ კუმშვაზე მომჟავე კოლონები.

როგორც სქემიდან ჩანს, წარმოდგენილ სისტემაში უფრო ოპტიმალურად ნაწილდება ძალვები საყრდენ კონტურში ვიდრე ეს იყო წინა ორ შემთხვევაში (იხ. ფიგ. III.12 და ფიგ. III.13).

მოცემულ შემთხვევაში $ABCD$ ოთხკუთხა ჩარჩო, მასზე ორთოგონალურად განლაგებული ძაგირების ჩამაგრებისაგან, ჩარჩოს კვანძში და მალში გადანაწილებით ითვისებს მდუნავ მოქნებს – M –ს. ადსანიშნავია, რომ სწორედ მდუნავი მომქნების გადანაწილება მალში და კვანძებში უფრო ოპტიმალურს ხდის მთლიანად ჩარჩოსებრი

საყრდენის მუშაობას. ამასთან, მოცემულ შემთხვევაშიც არ გამოირიცხება ნაგებობაში დაანკერებული ბაგიროვანი მჭიმების გამოყენება

საყრდენი კონტურის დაძაბულ-დეფორმირებული სურათის მუშაობის კიდევ უფრო გაუმჯობესებულ შემთხვევას წარმოადგენს მრუდხაზოვანი კონტურები. მათი გამოყენება შესაძლებელია, როგორც ერთ რიგად განლაგებული, ასევე ურთიერთგადამკვეთრი, მოქნილი ძაფების შემთხვევაში. ამასთანავე, აუცილებელია შეიქმნას როგორც კონსტრუქციული, ასევე არქიტექტურული პირობები (ფიგ. III.15).



ფიგ. III.15 – ოვალურ საყრდენ კონტურზე დამაგრებული კიდული სისტემები


- a** – სივრცითი ოვალური ფორმის საყრდენი კონტური, პარალელურად განთავსებული დაჭიმული ძაფებისათვის;
- b** – წრიული ფორმის საყრდენი კონტური, ორთოგონალურად განთავსებული დაჭიმული ძაფებისათვის.


წარმოდგენილ სქემებზე, პირველ შემთხვევაში, დაჭიმული ძაფების პარალელურად განთავსებული ხისტი მონაკვეთები AC და BD საყრდენისა, წარმოადგენს ერთგვარ მაკავშირებელს გაჭიმული ძაფების ბოლოებზე განთავსებული საყრდენის მოწყობილობებისა AD და BC , რომელთაც თაღის ფორმები აქვს. ასეთი სქემა განაპირობებს წაგრძელებული ფორმის კიდული დახურვების მოწყობისათვის ოპტიმალურ გადაწყვეტას. საყრდენების თაღურ

მონაკვეთებში ძირითადად წარმოიშვება მკუმშავი ძალვები, რომლებიც შემდეგ გადაეცემა საყრდენის წაგრძელებულ მონაკვეთებს, სადაც ხდება მათი ათვისება. ამასთან საგულისხმოა, რომ C , D , B და A წერტილებში ადგილი აქვს CD და AB გასწვრივ მოქმედი ძალების წარმოქმნას, რაც თაღის განმბრჯენების რეაქციებია. მათი ათვისება ხდება, როგორც საყრდენების გრძელი ელემენტების კვეთის გაძლიერებით, ასევე სხვა მრავალი კონსტრუქციული სქემების განხორციელებით.

ხისტი საყრდენის მუშაობის ოპტიმალური ფორმა მიიღწევა წარმოდგენილი სქემების b – შემთხვევაში. მოცემულ საყრდენში, გაჭიმული, ორთოგონალურად განლაგებული ურთიერთგადამკვეთი ძაფებისაგან – ბაგირებისაგან წარმოიქმნება მინიმალური სიდიდის მღუნავი მომენტები. კონსტრუქცია ძირითადად მუშაობს კუმშვაზე.

საყრდენი კონტურების განხილვასთან ერთად, ასევე ანალიზია ჩასატარებელი თვით გაჭიმული, მოქნილი დეროებით შექმნილი სისტემის მიმართ. საკითხი შეეხება ერთშრიან გაჭიმულ, კიდულ სისტემას, უმეტეს წილად კი პარალელურად განთავსებულ გაჭიმულ მოქნილ ძაფებს. მიუხედავად მრავალი დადებითი თვისებისა ისინი, როგორც აღინიშნა ხასიათდებიან დიდი დეფორმაციულობით, რაც გამოწვეულია მათი კინემატიკური გადაადგილების საშუალებით და ამასთან ძალიან მცირე წონით, რაც არასიმეტრიული დატვირთვების, ან ქარის ზემოქმედებისას იწვევს მათ დიდ ფარგლებში დეფორმაციებს (ფიგ. III.16).







ფიგ. III.16 – ორ საყრდენზე ჩამაგრებული მოქნილი ძაფის დეფორმაციები
სხვადასხვა ფორმის დატვირთებისას

a – მოქნილი ძაფის დეფორმაცია მუდმივი დატვირთვისას; **b** – მოქნილი ძაფის დეფორმაცია
მუდმივი და არასიმეტრიული, საპირისპიროდ მოქმედი დატვირთვისას;
1 – ძაფის დერძის ფორმა მუდმივი დატვირთვისას; 2 – ძაფის დერძის ფორმა

წარმოდგენილი სქემების მიხედვით ირკვევა, რომ თუ ზემოდან ქვემოთ
მოქმედი მუდმივი ინტენსივობის დატვირთვა იწვევს ბაგირის, მოქნილი ძაფის,
სიმეტრიულ მრუდე ჩაკიდულობას, არასიმეტრიული და ამასთან ქვემოდან ზემოთ
მოქმედი მაქსიმალური სიდიდის q ინტენსივობის დატვირთვის დამატება იწვევს
ძაფის “ტალღის” ფორმის დეფორმაციას.

ასეთი დიდი სიდიდის, კინემატიკური დეფორმაციების შეზღუდვისათვის,
განსაკუთრებით სტაციონარულ დახურვებში გამოიყენება შედარებით დიდი
წონის, რკინაბეტონის ჩვეულებრივი ფილები, რომლებიც თავისი შემომზღვდავი,
შემომფარგვლელი ფუნქციის გარდა, საკუთარი დიდი წონის ფაქტორით, ასევე
იწვევს ბაგირის დეფორმაციების დასტაბილიზებას (ფიგ. III.17).






ფიგ. III.17 – ერთშრიან კიდულ დახურვებში, მზიდი მოქნილი ძაფის-ბაგირის სტაბილიზაცია შედარებით დიდი წონის, თანაბარგანაწილებული მუდმივი დატვირთვით

- a** – საკუთარი წონისაგან და ფილების წონისაგან გამოწვეული მოქნილი ძაფის – ბაგირის დეფორმაცია;
- b** – საკუთარი წონისაგან, ფილების წონისაგან და ამასთან საპირისპირო მიმართულებით მომქმედი არასიმეტრიული დატვირთებისაგან გამოწვეული მოქნილი ძაფის ბაგირის დეფორმაცია.

ამდენად ფიგ. III.16-ზე და ფიგ. III.17-ზე წარმოდგენილი სქემების – ბაგირების დეფორმაციების შედეგებით მკაფიოდ ჩანს, რომ მოქნილი ძაფების დიდი კინემატიკური დეფორმაციების შემცირებისა და სტაბილიზისათვის მეტად მოსახერხებელია, ერთშრიან კიდულ სისტემებში დახურვის შედარებით დიდი წონის ფილების გამოყენება (ფიგ. III.18).




ფიგ. III.18 – მოქნილი ძაფის დეფორმაციები სხვადასხვა დატვირთვებზე

1 – მოქნილი ძაფი დატვირთულია მცირე ინტენსივობის საკუთარი წონით და ამ დროს მისი მაქსიმალური ჩაღუნვის ისარია h_1 ;

- 2 – ძაფი დატვირთულია მცირე ინტენსივობის საკუთარი წონით და ქვემოდან ზემოთ მომქმედი ასიმეტრიული დატვირთვით. ამ დროს მისი მაქსიმალური აწევა არის h_2 , ხოლო ჩაზნექვა h_2' ;
- 3 – მოქნილი ძაფი დატვირთულია საკუთარი წონით და შემომზღვდავი ფილტების წონით და ამ დროს მისი მაქსიმალური ჩაზნექვა არის h_3 ;
- 4 – ჩაზნექნილი ძაფი დატვირთულია საკუთარი წონით, დახურვის ფილტების წონით და არასიმეტრიული, საპირისპირო მხარეს მომქმედი დატვირთვით. ამ დროს ძაფის მაქსიმალური ჩაწევა არის h_4 და მთლიანად ბაგირი, მცირე გადახრებით ტალღური ფორმისაა.

როგორც წარმოდგენილი სქემიდან ირკვევა, არასიმეტრიული საპირისპირო დატვირთვისა და მცირე ინტენსივობის მუდმივ დატვირთვასთან შედარებით, გაცილებით ნაკლები დეფორმაციებია დიდი ინტენსივობის მუდმივი დატვირთვის შემთხვევაში, როდესაც ბაგირზე ასევე მოქმედებს საპირისპირო ნიშნის არასიმეტრიული დატვირთვა.


ერთშრიანი კიდული სისტემების დიდი დეფორმაციების შემცირების მიზნით, ლიტერატურულ წყაროებში, ასევე მოცემულია მოქნილი ძაფები – ბაგირები, რომლებიც დამატებით მომჰიმებით არის აღჭურვილი (ფიგ. III.19).



ფიგ. III.19 – ორ საყრდენზე ჩამაგრებული მოქნილი ძაფის დეფორმაციების შემცირება მჭიმების საშუალებით, რომელიც ერთი ბოლოთი უგავშირდება მოქნილ ძაფს, ხოლო მეორე ბოლოთი ჩამაგრებულია დგარებზე.

- 1 – მოქნილი ძაფის ჩამაგრების კვანძი; 2 – მოქნილი ძაფი; 3 – ვანტური მჭიმები;
- 4 – ვანტის და მოქნილი ძაფის შეერთების კვანძი; 5 – ვანტების ჩამაგრების კვანძი დგარზე; 6 – დგარი.

აღსანიშნავია, რომ აღნიშნული სისტემა უფრო უახლოვდება ორშრიანორსარტყელიან კიდულ სისტემას, რომელიც შემდგომ არის განხილული, ვიდრე ერთშრიან კიდულ სისტემას. ამის სადემონსტრაციოდ წარმოდგენილ სქემაზე შეიძლება გავაგრძელოთ მჭიმების მოწყობა, ვიდრე კვანძ 4-ში არა ერთი ვანტი, არამედ უკვე ორი ვანტი იქნა მიმაგრებული მოქნილ ძაფზე – ბაგირზე (ფიგ. III.20).




ფიგ. III.20 – მჭიმებით გამაგრებული ერთშრიანი მოქნილი ძაფის სქემა, რომელიც
ასევე შეიძლება განხილულ იქნას, როგორც ორშრიანი-ორსარტყელიანი
კიდული-ბაგიროვანი სისტემა

თუ ფიგ. III.20-ზე წარმოდგენილი სქემის შემადგენელ ელემენტებს იგივე ნუმერაციით ავდნიშნავთ, როგორც ფიგ. III.19-ზეა წარმოდგენილი, მაშინ იოლად წარმოვიდგენთ, რომ ორი ბაგირის და მოქნილი ძაფის ურთიერთდამაკავშირებელი კვანძის 4 არსებობით სისტემა გადაიქცევა ორსარტყელიან ბაგიროვან სისტემად. მასში ბაგრი 2 არის მზიდი ბაგირი, ხოლო ბაგირები 3, რომელთაგან თრი იკრიბება კვანძ 4-ში წარმოადგენს ორშრიანი კიდული სისტემის ტიპიურ მასტაბილიზებელ ქვედა ბაგიროვან სარტყელს.

ტრანსფორმირებადი სტრუქტურების შესწავლის მხრივ, განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებენ ერთშრიანი კიდული სისტემები. ისინი შეიძლება განხორციელდნენ მოქნილი ძაფებისაგან – ბაგირებისაგან და დახვეული ფურცლებისაგან, რომლებისგანაც შეიძლება მემბრანების მიღება. აღნიშნული ტრანსფორმირებადი კონსტრუქციული სტრუქტურები ერთობლიობაში მუშაობენ ხისტ საყრდენებთან და ასევე შუალედურ ხისტ და ზოგიერთ შემთხვევაში, ასევე ვანტურ ბაგიროვან საყრდენებთან. მათი ურთიერთშეთანხმებით და სხვადასხვა სახით ურთიერთგანლაგებით იქმნება სხვადასხვა კონფიგურაციის, არქიტექტურულად გამომხატველი ფიგურები. ისინი ფართოდ გამოიყენება მცირე და დიდმალიან ნაგებობებში. მათ შესახებ ქვემოთ იქნება განმარტებები წარმოდგენილი, რადგანაც მათი გეომეტრიული ფორმები მეტწილად მიეკუთვნება ორმაგი სიმრუდის ზედაპირს.

როგორც კიდული სისტემების მხრივ, ასევე მათი ტრანსფორმირებადი კონსტრუქციული სტრუქტურების შექმნის მხრივ ძალიან მრავალფეროვანია ორშრიანი-ორსარტყელიანი ბაგიროვანი სისტემები.

ორსარტყელიანი ბაგიროვანი სისტემა ხასიათდება რამოდენიმე აუცილებელი ელემენტის სიმრავლით (ფიგ. III.21).




ფიგ. III. 21 – ორსარტყელიანი ბაგიროვანი სისტემის შემადგენელი აუცილებელი ელემენტები და მათი გაერთიანების შედეგად მიღებული ორსარტყელიანი ბაგიროვანი სისტემის ძირითადი სქემები

a – ძირითადი ელემენტების კრებული; **b** – ამოზნექილი, ხისტი დეროვანკავშირებიანი, ორსარტყელიანი ბაგიროვანი სისტემა; **c** – ჩაზნექილი, მოქნილდეროებიანი – ვანტებიანი კავშირებით განხორციელებული ორსარტყელიანი ბაგიროვანი სისტემა.

1 – საყრდენი; 2 – მზიდი ბაგირი; 3 – მასტაბილიზებელი ბაგირი; 4 – მზიდ და მასტაბილიზებელ ბაგირებს შორის ხისტი კავშირების დეროები; 5 – მზიდ და მასტაბილიზებელ ბაგირებს შორის მოქნილი დეროვანი კავშირების ვანტები.

აღნიშნული სისტემები შეიძლება ასევე განვიხილოთ ტრანსფორმირებად კონსტრუქციულ სტრუქტურებად, რომლებიც სტაციონალურ, ხისტ და ფორმაუცვლელ საყრდენებზეა ჩასამაგრებელი. ამასთან, ფორმატურმოქმნა მათი ტრანსფორმაციით, დაკეცვა-გაშლის სხვადასხვა სქემებით არის შესაძლებელი (ფიგ. III.22).




ფიგ. III.22 – ორსარტყელიანი ბაგიროვანი, ტრანსფორმირებადი კონსტრუქციული სტრუქტურის ფორმაცვალებადობა, დაკეცვა-გაშლა სხვადასხვა სქემებით

- a** – ორსარტყელიანი, ხისტკაგშირებიანი ბაგიროვანი სტრუქტურის ტრანსფორმაციები;
- b** – ორსარტყელიანი, მოქნილკაგშირებიანი ბაგიროვანი სტრუქტურის ტრანსფორმაცია.

- 1 – ორსარტყელიანი, ხისტკაგშირებიანი ბაგიროვანი სტრუქტურა N ძალით გაჭიმვის შედეგად საექსპლუატაციო ფორმას იდებს; 2 – სტაციონალური საყრდენები, რომელშიც ჩამაგრებით დაჭიმული ბაგიროვანი სტრუქტურა საექსპლუატაციო ფორმას ინარჩუნებს;
- 3 – სტრუქტურის ტრანსფორმაცია დაკეცვის მეთოდით; 4 – სტრუქტურის ტრანსფორმაცია დახვევის მეთოდით; 5 – ორსარტყელიანი, მოქნილკაგშირებიანი ბაგიროვანი სტრუქტურა, დაჭიმული N ძალებით იდენს საექსპლუატაციო ფორმას; 6 – სტრუქტურის ტრანსფორმაცია ნებისმიერი დაკეცვა-დახვევის მეთოდით.

ახლა განვიხილოთ ორსარტყელიანი ბაგიროვანი სისტემების საპროექტო ფორმები და მათი ჩაბმა სტაციონალურ ფორმაუცვლელ საყრდენებთან.

ამოზნექილი, ორსარტყელიანი ბაგიროვანი სისტემები, რომლებიც მზიდ და მასტაბილიზირებელ ბაგირებს შორის ხისტი კავშირებით მიიღწევა, ძირითადად ორი პრინციპული სქემის მიხედვით ხორციელდება (ფიგ. III.23).



ფიგ. III.23 – ორსარტყელიანი ბაგიროვანი სისტემების პრინციპული სქემები

- a** – ბაგიროვანი სისტემის სქემა განცალკევებული – მზიდი და მასტაბილიზებელი ბაგირების დაშორებული ჩამაგრებით საყრდენებზე.
- b** – ბაგიროვანი სისტემის სქემა მზიდი და მასტაბილიზებელი ბაგირების საყრდენებზე, ერთმანეთთან შეერთებით და საყრდენებში ჩამაგრებით.


1 – მზიდი ბაგირი; 2 – მასტაბილიზებელი ბაგირი; 3 – ხისტი, ღეროვანი კავშირები დგარების სახით; 4 – მასტაბილიზირებელი ბაგირების საყრდენი კვანძი დგარზე; 5 – მზიდი ბაგირის საყრდენი კვანძი დგარზე; 6 – დგარი; 7 – მჭიმები; 8 – ანკერი; 9 – მზიდი და მასტაბილიზებელი ბაგირების გამაერთიანებელი საყრდენი კვანძი.

განხილული სქემებიდან უფრო გავრცელებულია **b** პოზიციაზე გამოსახული სისტემა, რომლის მზიდი და მასტაბილიზებელი ბაგირები ერთიანდებიან საყრდენ კვანძში. ამასთან, მისი განიგავთის სიმაღლე მაღლის შუაში – $H = f^2 + f_1$ ნაკლებია, ვიდრე **a** – პოზიციაზე წარმოდგენილი სიტემისა, რომლის განვკვეთის სიმაღლე მაღლის შუაში შეადგენს $H = f^2 + f_1 + h$.

ძირითადი მიზანი ერთშრიანი კიდული სისტემიდან ორშრიან – ორსარტყელიან სისტემაზე გადასვლისა არის მისი კინემატიკური დეფორმაციების შემცირება, რაც მოცემულ შემთხვევაში მიიღწევა მასტაბილიზებელი ბაგირის წინასწარდაბაძვით. სწორედ უკვე არსებული გაჭიმვის ძაბვები მასტაბილიზებელ ბაგირში იძლევა საშუალებას, ისიც ჩაერთოს სისტემის მუშაობაში მანამ, სანამ აღძრული მკუმშავი ძალვები არ გადააჭარბებენ არსებული წინასწარი გაჭიმვის ძალვებს. ამ სახით სისტემა გაცილებით ნაკლებდეფორმაციულია ვიდრე ერთშრიანი კიდული სისტემა, თუმცა

მოცემულ სქემები ნაკლები სიდიდით, მაგრამ მაინც, კვლავ შენარჩუნებულია კინემატიკური გადაადგილებები. მოცემული კიდული სისტემისათვის ერთ-ერთი ძირითადი დადებითი თვისებაა ის, რომ მათი დახურვებში გამოყენების შემთხვევაში გაიოლებულია ამოზნექილი ზედაპირიდან წყლის გადაყვანის პრობლემა და ასევე ფაქტიურად გამორიცხულია „თოვლის ტომრების“ დაგროვება დახურვის ზედაპირზე.

რაც შეეხება ორსარტყელიან კიდულ სისტემას, მზიდი და მასტაბილიზებელი ბაგირების ვანტებით დაკავშირებით, აქ ორი სქემა არის დომინანტური (ფიგ. III.24).



ფიგ. III.24 – ორსარტყელიანი ბაგიროვანი სტრუქტურის მოქნილკავშირებიანი სქემები

a – ერთმანეთისაგან h მანძილით დაცილებული მზიდი და მასტაბილიზებელი ბაგირები;

b – ერთ შეა წერტილში გადამკვეთი მზიდი და მასტაბილიზებელი ბაგირები.

- 1 – მზიდი ბაგირი; 2 – წინასწარდაჭიმული მასტაბილიზებელი ქვედა ამოზნექილი ბაგირი;
- 3 – მოქნილი დეროვანი – ვანტური კავშირები მზიდ და მასტაბილიზებელ ბაგირებს შორის; 4 – მზიდი ბაგირის დგართან მიერთების კვანძი; 5 – დგარი; 6 – მასტაბილიზებელი ბაგირის დგართან მიერთების კვანძი; 7 – მჭიმი; 8 – ანკერი; 9 – ზედა და ქვედა მზიდი და დამასტაბილიზებელი ბაგირების ურთიერთგადაკვეთის კვანძი.

პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ წარმოდგენილი ორსარტყელიანი ბაგიროვანი სტრუქტურა ვანტური ურთიერთკავშირით მოქნილ სარტყელებს შორის წარმოადგენს „გაჭიმული სტრუქტურის“ ტიპიურ განსახიერებას. იგი გარდა საყრდენი დგარებისა შედგება მხოლოდ გაჭიმული ელემენტებისაგან, რაც


თავის მხრივ განაპირობებს კონსტრუქციული მასალების ეკონომიკურ გამოყენებას მათი გაჭიმვის გამო.

თუ აღნიშნული სტრუქტურები გამოყენებული იქნება დახურვებში, მაშინ თვით შენობის შიგა მოცულობის ათვისების მხრივ იქმნება ოპტიმალური პირობა იმის გამო, რომ მასტაბილიზებელი ბაგირი ამოზნექილ მდგომარეობაშია. რაც შეეხება მზიდ, ჩაზნექილ, გარე ბაგირს, იგი ქმნის ორ ნაკლოვან მხარეს. ერთის მხრივ ეს არის დახურვიდან წყლის გადაყვანის საკითხი და მეორე, კი ჩაზნექილ დახურვაში „თოვლის ტომრების“ წარმოქმნის შესაძლებლობა.

რაც შეეხება დეფორმაციებს, ორსარტყელიანი ბაგიროვანი სტრუქტურა მოქნილი კავშირებით თითქმის ისეთივეა, როგორც წინა შემთხვევაში – ორსარტყელიანი, ხისტი დეროებით დაკავშირებული ბაგიროვანი სარტყელების სტრუქტურა. თუმცა, ფიგ. III.24-ზე წარმოდგენილი b – პოზიციის სქემა უფრო მდგრადია დეფორმაციების მიმართ, რადგანაც ზედა და ქვედა ბაგირები, მალის შუაში ერთ წერტილში იკვეთება და ამით წარმოიქმნება სამკუთხედის შეკრულ კონტურთან მიახლოებული ფორმის სისტემა, რაც მეტი სიხისტით გამოირჩევა.

სიმაღლის მხრივ ჩაზნექილ და ამოზნექილ ბაგირებს შორის ურთიერთდაცილების მაქსიმალური სიმაღლე შეადგენს $H_1=f^l+f_1+h$, ხოლო მათი ერთ წერტილში გადაკვეთის შემთხვევაში მაქსიმალური სიმაღლე შეადგენს $H_2=f^l+f_1$, რაც h -ით ნაკლებია პირველ შემთხვევასთან შედარებით.

დახურვის განივავეთში საკუთარი სიმაღლის და დეფორმაციულობის შემცირების მხრივ ოპტიმალურია ზედა და ქვედა ბაგირების, ურთიერთგადაკვეთი კომბინირებული სქემის შექმნა, სადაც ერთ სისტემაშია შეთავსებულია სარტყელებს შორის ხისტი და მოქნილი კავშირები (ფიგ. III.25).




ფიგ. III.25 – კომბინირებული სქემა მზიდი და მასტაბილიზებელი ბაგირების ურთიერთგადაკვეთისა და მათ შორის ხისტი და მოქნილი კავშირის გამოყენებისა

- 1 – მზიდი ბაგირი; 2 – მასტაბილიზებელი ბაგირი;
- 3 – ხისტი, დეროიანი კავშირი; 4 – მოქნილდეროიანი კავშირები;
- 5 – მზიდი და მასტაბილიზებელი ბაგირების ურთიერთგადაკვეთის წერტილი;

A – მზიდი ბაგირის დგართან ჩამაგრების კვანძი; B – მასტაბილიზებელი ბაგირის დგართან ჩამაგრების კვანძი; 5 – დგარი.

წარმოდგენილ სქემაში ორსარტყელიანი სისტემის განივავეთის სიმაღლე, მალის შუაში არის მინიმალური და იგი ტოლია $H_3=f^2+f_1-h$. ამასთან ორი სამკუთხა სქემა ACB , რომელიც განთავსებულია დახურვის ბოლოებში, დგარების ჩათვლით და სარტყელების ურთიერთგადაკვეთის წერტილებს შორის განთავსებული ხისტკავშირებიანი ორსარტყელიანი სტრუქტურა, ქმნის სისტემის დეფორმაციულობის კიდევ უფრო შემცირების პირობებს. მიუხედავად ამისა, სისტემისათვის კვლავ დამახასაიათებელია გარკვეული სიდიდის – კინემატიკური გადაადგილებები.

“გაჭიმულ არქიტექტურაში” მინიმალური დეფორმაციულობა, ანუ მხოლოდ გაჭიმვაზე მომუშავე დეროს დრეკადი წაგრძელებების შედეგად განპირობებული “დრეკადი დეფორმაციები”, მიიღწევა ორსარტყელიან სისტემაში – ვანტურ ფერმებში, როდესაც მზიდი და მასტაბილიზებელი ბაგირები სამკუთხა ფორმის გაჭიმული ბაგირებისაგან, ვანტებისაგან არის ურთიერთდაკავშირებული (ფიგ. III.26).



ფიგ. III.26 – ორსარტყელიანი, ვანტური, წინასწარდაძაბული ფერმა – ბაგიროვანი სტრუქტურა ზედა და ქვედა ვანტური სარტყელების, სამკუთხა ფორმით განლაგებული და წინასწარ დაჭიმული ირიბნებით

a – ვანტური წინასწარდაძაბული ფერმა ერთმანეთის მიმართ დაცილებული ზედა და ქვედა ბაგირებით – სარტყელებით;

- b** – ვანტური წინასწარდაპაბული ფერმა ზედა და ქვედა სარტყელების ურთიერთშეხებით;
- c** – ზედა და ქვედა სარტყელების ურთიერთშეხების კვანძი;
- 1 – ზედა სარტყელი; 2 – ქვედა სარტყელი; 3 – მოქნილი ირიბნები; 4 – დგარები; 5 – ჭრილები; 6 – ფერმის კვანძები.


წარმოდგენილი სისტემა პრინციპულად განსხვავდება განხილული, კიდული, ორსარტყელიანი სისტემისაგან. მასში, როგორც ფერმაში, ნებისმიერ დროს წარმოშობილი ძალვები, თუ ისინი შესაბამის კვეთებში არ აღემატება შესაბამის ელემენტებში წინასწარ დაძაბულობით წარმოქმნილ გამჭიმავ ძალვებს, ხდება ისეთი დეფორმაციები, როგორც ანალოგიური ფორმის ხისტი ელემენტებისაგან შედგენილ ფერმებში. ამდენად, ბაგიროვანი, წინასწარდაპაბული ფერმის დეფორმაციები მხოლოდ დრეკადი მდგენელებისაგან შედგება, რაც გამორიცხავს კინემატიკურ გადაადგილებას.

როგორც წესი, ზედა ჩაზნექილი სარტყელის ჩაწევის ისრის შეფარდება მალთან L მიიღება $f^1/L = \frac{1}{20} - \frac{1}{15}$ - მდე, ხოლო ქვედა სარტყელის აწევის ისარს f_1 შეფარდება მალთან L მიიღება $f_1/L = 1/20 - 1/30$;

ამასთან, დახურვებში რეკომენდირებულია, რომ ზედა სარტყელისთვის $f^1/L = 1/17$, ხოლო ქვედა სარტყელისთვის $f_1/L = 1/25$, იმ პირობით, რომ ზედა სარტყელი, ისევე, როგორც ქვედა სარტყელი და ირიბნები წარმოადგენენ ვანტურებს, ფერმის ზედა სარტყელზე – ვანტურებზე გარე დატვირთვები მოდებულია მის კვანძებზე.

ბაგიროვანი ფერმებით შესაძლებელია საკმაოდ დიდი – 100 მეტრამდე და მეტი სიგრძის მალების დახურვა. ამასთან სისტემა წარმოადგენს ტრანსფორმირებად კონსტრუქციულ სტრუქტურას. მისი ტრანსპორტირება დამზადების ადგილიდან გამოყენების ადგილამდე შესაძლებელია დაკაცილ მდგომარეობაში. ამას ემატება „გაჭიმული არქიტექტურისთვის“ დამახასიათებელი მინიმალური წონა, რომელიც გააჩნია ბაგიროვან ფერმებს.

რაც შეეხება კიდულ სისტემებს და მათ შორის ორსარტყელიან ბაგიროვან სისტემებს, ისინი დიდი უპირატესობით გამოიყენებიან როდესაც გააჩნიათ მრგვალი საყრდენი კონტური, რომელშიც ხდება მათი სხვადასხვა სქემით განთავსება (ფიგ. III.27).



ფიგ. III.27 – წრიულ კონტურში განთავსებული ორსარტყელიანი სისტემები

a – რადიანული განთავსება; **b –** ორთოგონალური განთავსება;

c – ექსკუთხა ფორმით განთავსება; **d –** სამკუთხა ფორმით განთავსება.

1 – საყრდენი კონტური, რომელიც ბაგიროვანი სისტემისაგან ძირითადად მუშაობს კუმშვაზე და ასევე ღუნვაზეც; 2 – რადიანულად განთავსებული ბაგიროვანი სისტემა; 3 – წრიული დოლი, სადაც უერთდება და იკვეთება რადიალურად განთავსებული ორსარტყელიანი ბაგიროვანი ფერმები; 4 – ორთოგონალურად განთავსებული ორსარტყელიანი ბაგიროვანი ფერმები; 5 – ორთოგონალურად განთავსებული ბაგიროვანი სისტემების ურთიერთგადაკვეთის კვანძები; 6 – ექსკუთხა ფორმით დაკავშირებული ბაგიროვანი ორსარტყელიანი სისტემები; 7 – ექსკუთხა ფორმით განთავსებული ბაგიროვანი სისტემების ურთიერთგადაკვეთის კვანძები; 8 – სამკუთხა ფორმით დაკავშირებილი ბაგიროვანი ორსარტყელიანი სისტემები; 9 – სამკუთხა ფორმით განთავსებული ბაგიროვანი სისტემების სარტყელების ურთიერთგადაკვეთის კვანძები.


წრიულ კონტურზე ჩამაგრებული ბაგიროვანი ორსარტყელიანი სისტემები, გამოყენებულია მშენებლობაში გადახურვის კონსტრუქციად. ისინი ასევე გამოყენებულია სხვა ნაგებობებშიც, განსაკუთრებით კი კოსმოსურ დიდ გასაშლელ რეზლექტორებში. ამდენად, მათ შესახებ უფრო დეტალური გარჩევა შემოთავაზებული იქნება სხვა თავებში.

ტრანსფორმირებადი სტრუქტურების მხრივ, და ასევე სტაციონალურ ნაგებობებში დიდი უპირატესობით გამოიყენება ბაგიროვანი ბადეები, რომლებიც უმეტეს კონსტრუქციულ გადაწყვეტებში ქმნიან უნაგირისებრ, ურთიერთგადამკვეთ, წინასწარდაძაბულ ბადისებრ სისტემებს.

აღნიშნული სისტემის დაპროექტების პირველსავე ეტაპზე მეტად მნიშვნელოვანია ზედაპირის ფორმის გეომეტრიის განსაზღვრა და მისი დაძაბვის სიდიდეების დადგენა. შერჩეული ფორმა ოპტიმალური უნდა იყოს იმ მხრივ, რომ დატვირთვების შედეგად ბადეში აღძრული ძალვების შედეგად გამოწვეული დეფორმაციები იყოს მინიმალური. ამ პირობების დაცვა ხშირ შემთხვევებში გაცილებით უკეთესად ხდება მაშინ, როდესაც წინასწარდაძაბული ბაგიროვანი ბადე აღწევს პიპერბოლური პარაბოლოიდის ფორმის ზედაპირს, რომლის განტოლება შემდეგი სახისაა:

$$Z = f x^2/a^2 - f_s y^2/b^2$$

ფორმულიდან გამომდინარე ავაგოთ და განვიხილოთ პიპერბოლური პარაბოლოიდის მქონე ზედაპირი (ფიგ. III.28).



ფიგ. III.28 – პიპერბოლოიდური პარაბოლოიდის სქემა და მისი გეომეტრიის ძირითადი პარამეტრები

OX , OY , OZ – სივრცითი, ორთოგონალური, კორდინატული სისტემა; „N“ – პიპერბოლური პარაბოლოიდის ზედაპირი; f – მზიდი ბაგირის ჩაკიდების ისარი;

f_s – მასტაბილიზებელი ბაგირის აწევის ისარი; a და b – ნახევარმალები X და Y

დერძების მიმართულებით; „M“ – OX და OY ურთიერთგადამკვეთი დერძების პარალელურად, O წერტილიდან f_s მანძილზე გადატარებული პიპერბოლური პარაბოლოიდის გადამკვეთი სიბრტყე.

1 – მთავარი მზიდი პარაბოლა; 2 – მთავარი მასტაბილიზებელი პარაბოლა;


3 – მთავარი პიპერბოლა; 4 – მთავარი მასტაბილიზებელი პარაბოლის პარალელური პარაბოლოიდები, რომლებიც ბადისებრ სისიტემაში, შეიძლება წარმოადგენდნენ ბაგირების მოხაზულობას; 5 – მთავარი მზიდი პარაბოლის პარალელური პარაბოლა, რომელიც ბადისებრ სისტემებში შეიძლება წარმოადგენდნენ ბაგირის მოხაზულობას.

წარმოდგენილი სქემის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ მთავარი მზიდი პარაბოლის და მთავარი მასტაბილიზირებელი პარაბოლის დერძი ერთი და იგივეა, ისინი ემთხვევა ერთმანეთს და მდებარეობს OZ ღერძზე გამავალ წრფეზე. რაც შეეხება მთავარი პიპერბოლის ნამდვილ ღერძს ის მდებარეობს $X_1 - X_1$ წრეხაზზე; რომელიც O_1 წერტილზე არის გადატარებული, ხოლო მთავარი პიპერბოლის წარმოსახვითი დერძი მდებარეობს $Y_1 - Y_1$ წრფეზე, რომელიც ასევე არის გადატარებული O_1 წერტილზე.

რაც შეეხება პიპერბოლური პარაბოლოიდის ღერძს მისი მდებარეობა ემთხვევა OZ წრფეს.

კონსტრუქციის შექმნის დროს, გათვალისწინებული უნდა იყოს ის, რომ ჰიპერბოლური პარაბოლოიდი არ წარმოადგენს მბრუნავ ზედაპირს. იგი შეიძლება აგებული იქნას მთავარი პარაბოლის პარალელური გადაადგილებით.


კონსტრუქციული თვალსაზრისით ასევე მნიშვნელოვანია და სხვადასხვა პირობებში საგულისხმოა ის, რომ ჰიპერბოლური პარაბოლოიდი საბოლოოდ შეიძლება აგებულ იქნას ურთიერთგადამკვეთი სწორი ღეროებისაგან შედგენილი ბადით (ფიგ. III.29).



ფიგ. III.29 – წრფივი მონაკვეთებისაგან აგებული ჰიპერბოლური პარაბოლოიდი

- 1 – ურთიერთგადამკვეთი სწორი მონაკვეთები, რომლებიც ქმნიან ბადეს; 2 – ზედაპირის პარაბოლური განაპირა კონტური; 3 – ზედაპირის წარმოსახვითი მზიდი პარაბოლის კონტური; 4 – სიბრტყეზე, სწორი ხაზების გდაკვეთის შემაერთებელი ჰიპერბოლური კონტური.

ამდენად, ლიტერატურაში ფართოდ გავრცელებული ტერმინი ან ფრაზა, ბაგირების – ძაფების განთავსებისა ჰიპერბოლოიდური პარაბოლის ზედაპირის მთავარი ღერძების მიმართ სხვადასხვა კუთხით, გარკვეულ გაუგებრობას შეიცავს და ის დასაზუსტებულია. უნდა მივიჩნიოთ, რომ ავტორებს მხედველობაში ჰქონდათ ზედაპირის მთავარი მზიდი და მასტაბილიზებელი პარაბოლები და მათ მიმართ გადატარებული ბადის წრფეების დახრის კუთხეები (ფიგ. III.30).




ფიგ. III.30 – ორსიმრუდიანი ზედაპირის მქონე ბადე, რომლის შემადგენელი წრფივად განლაგებული ბაგირები გარკვეული კუთხით არის განლაგებული ზედაპირის მთავარი პარაბოლის მიმართ

- 1 – მთავარი მზიდი პარაბოლა;
- 2 – მთავარი მასტაბილიზებელი პარაბოლა;
- 3 – ბადის ურთიერთგადამკვეთი წრფივი ღეროები;
- 4 – ორსიმრუდიანი ზედაპირის ხისტი კონტური.

წარმოდგენილ სქემაზე ასევე საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ბადის შემადგენელი ძაფები არ არის განლაგებული ზედაპირის მთავარი პარაბოლოიდის პარალელურად და ისინი, როგორც აღინიშნა, მას გარკვეული კუთხით კვეთენ. ასეთ შემთხვევაში იზრდება მათი სიგრძეები, – მცირდება და მოცემულ შემთხვევაში ნულამდე დადის მათი სიმრუდე, სათანადოდ იზრდება მათში წარმოქმნილი ძალვები, რაც საბოლოო ჯამში განაპირობებს ბადის მუშაობის უარყოფით დაძაბულ-დეფორმირებულ სურათს.

წრფივი, განლაგებული ბაგირებით შედგენილი ბადის შემთხვევაში, ყველაზე მნიშვნელოვანია ის, რომ დახურვის კონსტრუქციაში ფაქტიურად ქრება სტაბილიზაციის ეფექტი. სწორსაზოვანი ღეროები, რომლებიც წარმოქმნიან ზედაპირს, განივ დატვირთვას ითვისებენ მხოლოდ და მხოლოდ თავისი დრეკადი დეფორმაციებით, რაც განაპირობებს მათში ძალიან დიდი ძალვების წარმოქმნას. ამდენად კონსტრუქციის ოპტიმალური გადაწყვეტისათვის უფრო მიზანშეწონილია და უმეტეს შემთხვევებში აუცილებელიცაა ბადის შემადგენელი სწორი ბაგიროვანი ელემენტები, ყოველი უჯრედის შემდეგ, ადგენდეს უფრო დიდ კუთხეს მოსაზღვრე უჯრედის სწორ ელემენტთან. ეს ნიშნავს იმას, რომ ბადის თითოეული ბაგირი საყრდენებს შორის იყოს საგრძნობლად ჩაზნექილი ან ამოზნექილი (ფიგ. III.31).



ფიგ. III.31 – ჰიპერბოლური პარაბოლოიდის ზედაპირის მქონე წინასწარდაბული კიდული კონსტრუქცია, რომლის საყრდენ კონტურებს შორის განთავსებულ ბაგირებს გააჩნიათ საგრძნობი ჩაზნექვა და ამოზნექვა

a – ორთოგონალურად განლაგებული ბაგირები; b – ერთმანეთის მიმართ პარაბოლოიდურად განლაგებული ბაგირები.

1 – ჰიპერბოლური პარაბოლოიდის ზედაპირი, შექმნილი ბაგიროვანი ბადისაგან; 2 – საყრდენი კონტური; 3 – მთავარი მზიდი, ჩაზნექილი პარაბოლის პარალელურად განთავსებული ბაგირები; 4 – მთავარი ჩაზნექვის პარაბოლა;

5 – მთავარი მასტაბილიზებელი, ამოზნექილი პარაბოლის პარალელურად განთავსებული ბაგირები; 6 – მთავარი მასტაბილიზებელი ამოზნექილი პარაბოლა; 7; 8 – გაორებული, ერთმანეთის მიმართ კუთხით განთავსებული და მთავარი მზიდი და მასტაბილიზებელი პარაბოლების მიმართ სიმეტრიულად დახრილი ბადის შემადგენელი ბაგირები; 9 – ბადეში ბაგირების გადაადგილების შეზღუდვისათვის, მათ გადაკვეთაზე მოწყობილი შემკრავი კვანძები.

წარმოდგენილ სისტემებში მთავარი პარაბოლების ჩაკიდვის ისრის შეფარდება შესაბამის მალებთან f/L ცვალებადობს $1/10$ – დან $1/40$ -მდე.

ჰიპერბოლური პარაბოლოიდების ზედაპირები, რომლებიც მოცემულ შემთხვევებში მიიღწევა ჩაზნექილი და ამოზნექილი ბაგირებისაგან შედგენილი ბადით, დაძაბულ-დეფორმირებული სურათით ანალოგიურია ორშრიანი, ორსარტყელიანი ბაგიროვანი სისტემის მუშაობისა.


საყრდენ, პრაქტიკულად უძრავ, კონტურზე ჩამაგრებული ჩაზნექილი ბაგირები წარმოადგენენ მზიდ ელემენტებს და საექსპლუატაციო დატვირთვის პირობებში ისინი ძირითადად იჭიმება. რაც შეეხება ამოზნექილ მასტაბილიზებელ ბაგირებს, რომლებიც ასევე შემადგენელი ელემენტებია ბადისა, მათი წინასწარი დაჭიმვის შემთხვევაში, როგორც ორშრიან კიდულ სისტემებში, აქაც მასტაბილიზებელ ფუნქციას ასრულებენ. ამასთან წინასწარი დაჭიმვისაგან წარმოშობილი გამჭიმავი ძალვები უნდა აჭარბებდეს იმ მკუმშავ ძალვებს, რომლებიც დატვირთვებისაგან წარმოიშვება მასტაბილიზებელ ბაგირებში.

ორი სხვადასხვა სიმრუდის მქონე ზედაპირში ოთხკუთხა უჯრედების მქონე ბადეები, ორსარტყელიანი ბაგიროვანი სისტემების ანალოგიურად გამოირჩევიან მეტ-ნაკლები დეფორმაციულობით და მათ შორის კინემატიკური გადაადგილების უნარით. ამასთან მათი დეფორმაციულობის პარამეტრები გაცილებით ნაკლებია ერთშრიან კიდულ სისტემებთან შედარებით.

განსხვავებულ სურათს იძლევა ისეთი პიპერბოლური პარაბოლოიდური ზედაპირები, რომლებიც აგებულია არა ოთხკუთხა უჯრედების ფორმის მქონე ბადეებისაგან, არამედ სამკუთხა ფორმის უჯრედების მქონე ბადეებისაგან. მათი განხორციელების ფორმა წარმოდგენილი იყო ფიგ. III.31-ზე.

მნიშვნელოვანია ის, რომ სამკუთხა უჯრედები, განსაკუთრებით ხელსაყრელ პირობებს ქმნის შემომფარგვლელი, სხვადასხვა სახის, მათ შორის მინის ფილების გამოყენებისათვის. ეს აიხსნება იმით რომ ყოველ სამკუთხედზე შეიძლება სიბრტყის აგება და მასთან მხოლოდ ერთის.

ასეთი მიღებომებით შეიძლება ასევე სხვადასხვა არქიტექტურული და კონსტრუქციული ფორმების მიღება (ფიგ. III.32).



ფიგ. III.32 – ორმაგი, სხვადასხვა ნიშნიანი სიმრუდის რადიუსის მქონე წინასწარდაბული ბაგიროვანი ბადეებისაგან და მათი საყრდენებისაგან შექმნილი ფორმები

a – კიდული ბადისებრი კონსტრუქცია განთავსებულ ორ პარალელურ თაღს შორის;

b – კიდული ბაგიროვანი კონსტრუქცია შუალედური თაღოვანი საყრდენით და განაპირა „ვარდნილი“ თაღების საყრდენებით; **c** – ორი ურთიერთგადამკვეთი ხისტი თაღების და მათ


შორის განთავსებული ამოზნექილი ბაგირების საყრდენებზე ჩაბმული, კიდული ბადისებრი კონსტრუქცია; **ძ** – ორმაგი სხვადასხვა ნიშნიანი რადიუსის მქონე წინასწარდაძაბული ბაგიროვანი ბადისაგან აგებული ზედაპირი მოქნილი კონტურებით და პილონებით.

- 1 – თაღოვანი საყრდენი;
- 2 – ჩაზნექილი ბაგირები;
- 3 – ამოზნექილი ბაგირები;
- 4 – ჰიპერბოლური ბაგიროვანი კონტური, ჩამაგრებილი თაღების ბოლოებზე;
- 5 – მჭიმები ანკერებით;
- 6 – შუალედური თაღოვანი საყრდენი;
- 7 – წიბოვანი საყრდენი;
- 8 – ამოზნექილი ბაგიროვანი საყრდენი;
- 9 – ჩაზნექილი ბაგიროვანი საყრდენი;
- 10 – პილონი;
- 11 – მჭიმის ჩაბმის კვანძი, სადაც ასევე ჩამაგრებულია ბაგიროვანი ბადე;
- 12 – მჭიმი;
- 13 – ანკერი;
- 14 – ბაგიროვანი კონტურის საყრდენი;
- 15 – წერტილოვანი ანკერი, სადაც ემაგრება კონტურის ბაგიროვანი საყრდენები;

ფიგ. III.32-ზე წარმოდგენილი სქემები, გარდა ურთიერთგადამკვეთი ბაგიროვანი ბადეებისა, ასევე შეიძლება განხორციელდეს სხვადასხვა სინთეტიკური მეტალიზებული და ორგანული მასალებისაგან დამზადებული ქსოვილებისა და აკებისაგან. ამის შედეგად მიიღება კიდული კონსტრუქციული სისტემები, რომლებიც თავისი არქიტექტურული ფორმის მიხედვით ასევე მრავალფეროვანია.

ამისათვის მათი კონსტრუქციული მასალა უზრუნველპყოფს საპროექტო ფორმის წარმოქმნას დაკეცილი ან დახვეული, მცირე ზომის პაკეტის გაშლით.


ფორმის ტრანსფორმაციები, განსაკუთრებით კარვის ტიპის კონსტრუქციულ სისტემაში, მისი გამოყენების ადგილზე ტრანსფორმაციის და მონტაჟის შემდეგ, როცა კონსტრუქციას მიღებული აქვს დასრულებული სახე, შეიძლება პვლავაც გაგრძელდეს. ასეთ ვითარებაში მონტაჟის შემდგომი ტრანსფორმაციები, რაც კონსტრუქციის არქიტექტურული და ფუნქციონალური მოთხოვნით არის განსაზღვრული, წარმოადგენენ დასრულებული ფორმის მეორად ტრანსფორმაციებს. მეორადი ტრანსფორმაციები, მაგალითად კარვის ტიპის ნაგებობებში შეიძლება განსაზღვრული იყოს მისი მრავალჯერადი აკეცვითა და გაშლით. ამის საჭოროებას განსაზღვრავს თუნდაც წვიმის პირობებში მთლიანი ნაგებობის მოქცევა დახურვის ქვეშ (ფიგ. III.33).



ფიგ. III.33 – საპროექტო ფორმის მინიჭების შემდეგ, კონსტრუქციის დახურვის ფენილის მეორადი ტრანსფორმაციის განხორციელება – აკეცვა და გაშლა

- a** – ქარქასი გაშლილ მდგომარეობაში;
b – ქარქასი მეორადი ტრანსფორმაციის დროს.

კიდულ სისტემებში, კონსტრუქციული ფორმის მიღება ასევე შესაძლებელია ლითონის ან სხვა მასალისაგან დამზადებული ფურცლებისაგან. ასეთ კონსტრუქციებს “გაჭიმულ არქიტექტურაში” მემბრანებს უწოდებენ. მათ შეიძლება გააჩნდეს სრულიად განსხვავებული ფორმები და მათ შორის ფიგ. III.34-ზე წარმოდგენილი ფორმაც.



ფიგ. III.34 – დახურვის მემბრანული კონსტრუქცია განსხორციელებული ლითონის ფურცლებისაგან

1 – ლითონის ფურცლები საპროექტო მდგომარეობაში, როდესაც ის წარმოდგენილია მემბრანის სახით და იგივე ლითონის ფურცელი დახვეულ მდგომარეობაში; 2 – შუალედური საყრდენი კონტური; 3 – განაპირა საყრდენი კონტური – ღუნვაზე მომუშავე კედლის სახით; 4 – დგარები; 5 – განაპირა საყრდენი უჭრი კოჭი; 6 – უჭრი კოჭისა და ძირითადად კუმშვაზე მომუშავე დგარის შეერთების ადგილას ჩასაბმელი მჭიმები; 7 – ანკერები.

როდესაც განიხილება სისტემები, რომელთა ფორმა მიიღწევა გაჭიმული, ტრანსფორმირებადი კონსტრუქციული სტრუქტურის მიბმით სტაციონალურ, მუდმივ და უცვლელი ფორმის მქონე კონსტრუქციულ სისტემებთან, რომელთაც შეუძლიათ უპირატესად მკუმშავი და მღუნავი ძალვების ათვისება, აუცილებლად უნდა იქნეს ასევე განხილული პნევმოსაყრდენიანი – ჰაერსაყრდენიანი კონსტრუქციული სტრუქტურები.

ჩვენ რბილი გარსებიდან უკვე – პნევმოკონსტრუქციები განვიხილეთ, მათი ერთი ნაწილი, რომელთა ფორმა მიიღწეოდა მხოლოდ გაჭიმული კონსტრუქციული სტრუქტურებით – პნევმომზიდი. მათი განმასხვავებელი ნიშანი პნევმოსაყრდენიან კონსტრუქციულ სტრუქტურებთან არის ის, რომ ისინი საჭირო

ფორმის მისაღებად არ საჭიროებენ მიბმას უცვლელი ფორმის კონსტრუქციულ სისტემასთან.


ზოგადად რბილი გარსების – პნევმოკონსტრუქციებისთვის უმთავრესია მისი ზედაპირის – გარსის შემქმნელი მასალები. მათ მრავალი მოთხოვნები წაეყენებათ – ხანგამძლემედეგობა, უწვადობა, რიგ შემთხვევებში ყინვაგამძლეობა, შუქბაუმტარობა ან გამჭვირვალობა, სხვადასხვა შეფერილობა, შედარებით მცირე ღირებულება, ტექნოლოგიურობა და სხვა.

ამასთან, რბილი გარსების კონსტრუქციული მასალები აუცილებლად უნდა იყვნენ ჰაერგაუმტარები, რომ შექმნან და შეინარჩუნონ გარემოსაგან განსხვავებული შიგა ატმოსფერული წნევები. ისინი არ უნდა ატარებდნენ წყალს და ასევე უნდა შეინარჩუნონ საექსპლუატაციო პირობები მზის სპექტრის ულტრაიისფერი გამოსხივების პირობებში. კოსმოსის პირობებში მასალის მიმართ წაყენებული პირობები კიდევ უფრო დიდია და იგი სხვა მრავალ მოთხოვნასთან ერთად მოიცავს: კოსმოსური რადიაციის, ტემპერატურათა სხვაობის დიდი დიაპაზონის და ვაკუუმის პირობებში ხანგრძლივი მედებობის შენარჩუნებას.

რაც შეეხება პნევმოსაყრდენიან რბილ გარსებს, ისინი უპირატესად მზადდებიან ორგანული და სინთეტიკური მასალებისაგან დამზადებული სქელი ძაფების ქსოვით და მათი დაფარვით ბუნებრივი და ხელოვნური ნივთიერებებით.

მასალის საანგარიშო წინაღობა რეალონის მართობულად შეადგენს 10–25კნ/მ, ხოლო მის გასწვრივ იგი 15-20%-ით ნაკლებია. მასალა, როგორც წესი, მზადდება 1-2 მეტრი სიგანის რეალონების სახით. მათი ექსპლუატაციის ვადა სხვადასხვაა და ცვალებადობს 5 –დან 35 წლამდე ვადებში. ამასთან მათი წონა შეადგენს 500–100 გრ/მ²-ზე.

ფორმების და გარსის ზედაპირის დანაწევრების მხრივ პნევმოსაყრდენიანი სტრუქტურები შედარებით ნაკლებ მრავალფეროვანია ვიდრე პნევმომზიდი სტრუქტურები, მაგრამ ისინი მაინც მრავალფეროვან სპექტრს ქმნიან. ფიგ. III.35-ზე წარმოდგენილია ტიპიური კონსტრუქციის სქემა პნევმოსაყრდენიანი რბილი გარსისა-გუმბათისა, რომელიც დანაოჭებულია, გაძლიერებულია, რადიანულ-წიბოვანი, გაჭიმული ბაგიროვანი სტრუქტურით.




ფიგ. III.35 – პნევმოსაყრდენიანი, ტრანსფორმირებადი კონსტრუქციული სტრუქტურა რბილი გარსისა, რომელიც გაძლიერებულია გუმბათის ზედაპირზე რადიანულად განთავსებული, გაჭიმული ბაგირებისაგან შემდგარი, წიბოვანი ტრანსფორმირებადი კონსტრუქციული სტრუქტურით

- a** – პნევმოსაყრდენიანი გუმბათი გაბერილ მდგომარეობაში;
 - b** – გუმბათის გარე ხედი ბაგირებთან ერთად;
 - c** – გუმბათი და ბაგიროვანი სისტემა, როდესაც გუმბათის შიგა არეში აღარ არის ჰარბი წნევა და მთლიანად კონსტრუქციული სისტემა ჩაფუშულია;
 - d** – გუმბათის, მოქნილი მასალისაგან დამზადებული კონსტრუქცია ბაგირებთან ერთად დაკეცილია და მას აქვს გაცილებით მცირე გაბარიტების მქონე პაკეტის ზომა.
- 1 – რბილი კონსტრუქციის გუმბათი; 2 – ჰარბი წნევის მომწოდებელი დანადგარი;
 3 – შიგა წნევის ინტენსივობა მომქმედი გუმბათის და იატაკის ზედაპირებზე;
 4 – რადიანულად განთავსებული ბაგირები; 5 – გუმბათის და ბაგირების მიბმის კვანძები;
 6 – ჩაფუშული გუმბათი; 7 – სტაციონარული ბრტყელი სისტემა – იატაკი; 8 – ჩაფუშული, კომპაქტურად დაკეცილი გუმბათი.

როგორც განხილული სტრუქტურების ანალიზიდან ჩანს, გაჭიმული კონსტრუქციის მიმაგრება ხისტ სტაციონარულ ან ფორმაუცვლელ სისტემასთან უკვე ნიშნავს იმას, რომ მთლიანი ნაგებობა არის კომბინირებული – ანუ იგი შედგება ელემენტებისაგან, რომლებიც მუშაობენ მხოლოდ და მხოლოდ გაჭიმვაზე და ასევე იმ ელემენტებისაგან, რომლებიც არიან ხისტი და მუშაობენ როგორც კუმშვაზე, ასევე ღუნვაზე. მიუხედავად ასეთი კლასიკური განმარტებისა „გაჭიმულ არქიტექტურაში“ ზოგიერთ ავტორს მაინც ცალკე ჯგუფად მოყავთ ე.წ. გაჭიმული სტრუქტურების კომბინირებული სისტემები. ასეთი სისტემის ერთ-

ერთი ტიპიური მაგალითია ფიგ. III.36-ზე წარმოდგენილი ხისტი კიდული ხიდის სქემა.




ფიგ. III.36 – კიდული ხიდის კომბინირებული კონსტრუქცია

1 – ხიდის მთავარი ფუნქციური ელემენტი – ხისტი კონსტრუქციისაგან შედგენილი ხისტება, რომელზეც სავალი ნაწილია განლაგებული; 2 – ბაგიროვანი მჭიმები; 3 – ბაგიროვანი მჭიმების ჩაბმის კვანძები ხისტი, კუმშვა-დუნგაზე მომუშავე სავალ ნაწილთან;

4 – პილონები; 5 – პილონის თავაკზე განთავსებული კვანძი, სადაც ემაგრება მჭიმები 6. თუ განვიხილავთ წარმოდგენილ სქემებს და შევადარებთ მათ კიდული ხისტების, უკვე განხილულ სხვა სქემებს, დავინახავთ ერთ პრინციპულ განსხვავებას. თუ კიდული ხისტების განხილულ სქემებში ძირითადი საექსპლუატაციო ფუნქციის მატარებელი თვით კიდული სტრუქტურაა, რომელიც მიბმული იყო ხისტი საყრდენებთან, მოცემულ შემთხვევაში ძირითადი საექსპლუატაციო ფუნქციის მატარებელია ხისტი, სავალი ნაწილის მომცველი ხისტება, რომელიც გაძლიერებულია ბაგირებით-მჭიმებით. ამდენად, კიდული კომბინირებული ხისტები, ერთის მხრივ, ხშირად უფრო წარმოადგენენ ხისტი ხისტებს, რომელთა მუშაობის შემსუბუქებას ან დაყრდნობის განსხვავებულ ფორმას ემსახურება გაჭიმული ბაგირები – ვანტები.

ასეთ კომბინირებულ ხისტებას ასევე მიეკუთვნება ის კონსტრუქციები, სადაც უნდა მოხდეს ბაგირების არა თვითდაბაბვა კონსტრუქციული სქემიდან გამომდინარე, არამედ მათი წინასწარი დაძაბვა მომეტებული ძალით – დაჭიმვა. აღნიშნული კონსტრუქციის დაძაბულ-დეფორმირებული სურათი განვიხილოთ ვერტიკალურად აღმართული, ხისტად ჩამაგრებული კონსოლური დგარის მაგალითზე, რომელიც მჭიმებით არის გამაგრებული (ფიგ. III.37).



ფიგ. III.37 – დგარის და მჭიმების დაძაბული სტადიები წინასწარდაჭიმვის და შემდგომ ქარის ზემოქმედების დროს

- a** – დგარის მჭიმები წინასწარ იძაბება N ძალის სიღიღით; **b** – დგარზე მოქმედი ქარის დატვირთვა, რომელიც მჭიმებში დამატებით წარმოქმნის Q ძალვას;
- c** – სგარის და მჭიმების სისტემა, რომელიც ინარჩუნებს მჭიმების გაჭიმულობას წინასწარდაძვის და მასში ქარის დატვირთვით გამოწვეული კუმშვის ძალვების ერთდროული ზემოქმედების შემდეგ.

1 – დგარის ხისტი დგარი; 2 – დგართან ბაგირის მიერთვების კვანძი; 3 – ბაგიროვანი მჭიმები-ვანტები; 4 – ვანტების საძირკველში ჩამაგრების კვანძი; 5 – საძირკველის კვანძების დონე.

წარმოდგენილ ფიგურაზე – **a** ვანტები წინასწარ იჭიმება-იძაბება N ძალით, ამის შემდეგ – **b** სქემაზე ხდება მასზე ქარის **q** ინტენსივობის დატვირთის ჩვენება, რომელიც N ძალის გაუთვალისწინებლად ვანტებში წარმოქმნის Q ძალვებს. ქარის ზემოქმედების მხარეს Q ძალვა გამჭიმავია ხოლო მეორე მხარეს ადგილი აქვს ვანტები მკუმშავ ძალვას – “ Q ” წარმოქმნას.

აუცილებელი პირობა გაჭიმული ვანტის კუმშვაზე მუშაობისა არის ის, რომ ქარისაგან კუმშვა იყოს ნაკლები ვიდრე ვანტის წინასწარდაძვის ძალა ანუ $N-Q > 0$, სქემა **c**.

აღნიშნული სქემაზე განხილული სტრუქტურის დაძაბულ-დეფორმირებული სურათი წარმოადგენს იმის ტიპიურ მაგალითს, თუ როგორ შეიძლება იმუშაოს ბაგირმა მკუმშავი ძალვების ათვისებაზე.

ასეთი პრინციპით მრავალი კონფიგურაციის კონსტრუქციები იქმნება.

როგორც განხილვამ აჩვენა ნებისმიერი კიდული ხისტემა, თავისთავად კონსტრუქციული მასალის ორგანული თვისებიდან გამომდინარე, არის ტრანსფორმირებადი კონსტრუქციული სტრუქტურა, რომელიც ფორმის მისაღებად, მისი გაჭიმვისა და გაჭიმულ მდგომარეობაში ფორმების

შენარჩუნების მხრივ, მოცემულ შემთხვევაში ჩაეტყოდა ხისტ კუმშვა-დუნგაზე მომუშავე სტაციონარულ ან არასტაციონარულ, ფორმაუცვლელ ან ფორმაცვალებად სტრუქტურას.

III. 4. ერთიანი ფორმის მიღწევა გაჭიმული ტრანსფორმირებადი კონსტრუქციული სტრუქტურის მიბმით ხისტ ტრანსფორმირებად კონსტრუქციულ სტრუქტურასთან

ერთიანი, დიდი გაბარიტების მქონე ფორმის მიღწევისათვის მინიმალური ზომის პაკეტიდან, კიდული ტრანსფორმირებადი სტრუქტურის შემთხვევაში, აუცილებელია ასევე თვით მისი მისამაგრებელი ხისტი სისტემა თავადაც წარმოადგენდეს ტრანსფორმირებად კონსტრუქციულ სისტემას. სწორედ ასეთ შემთხვევაში მიიღწევა კონსტრუქციის წინაშე წაყენებული მკაცრი მოთხოვნები. მიუხედავად იმისა, რომ ასეთი ერთიანი, სრულად ტრანსფორმირებადი ფორმის შექმნა მოითხოვს გართულებულ ტექნოლოგიას, შემადგენელი კვანძების და ელემენტების სიმრავლეს, რაც ასევე ზრდის მის თვითდირებულებას, შედეგი მაიც ორიენტირებულია კონსტრუქციული ფორმის განხორციელების ოპტიმალურ მიმართულებაზე. მით უმეტეს, მათ შექმნას ექსტრემალურ სიტუაციებში და გარემოში, ასევე ნაგებობების მრავალჯერადი და სხვადასხვა ადგილებში გამოყენების შემთხვევაში.

აღნიშნული ფაქტორები განპირობებულია იმით, რომ არის მოთხოვნა ისეთი კონსტრუქციული სტრუქტურების შექმნაზე, რომელთაც დაკეცილ მდგომარეობაში გააჩნიათ სატრანსპორტო პაკეტის მინიმალური ზომები, ისინი იოლად ტრანსპორტირდებიან, აქვთ სრული საქარხო მზადყოფნა და გაშლილ საექსპლუატაციო მდგომარეობაში, რომელიც გამოყენების ადგილას დროის უმცირეს ინტერვალში მიიღწევა, წარმოადგენენ დიდი გაბარიტების მქონე ნაგებობებს.

აღნიშნული, სრულად ტრანსფორმირებადი კონსტრუქციული სტრუქტურის გამოყენების მაგალითია დიდი გასაშლელი კოსმოსური რეფლექტორები, რომლის შექმნას ეძღვნება წარმოდგენილი კურსის დიდი ნაწილი. სწორედ გასაშლელი რეფლექტორების განხილვისას იქნა სრული სპექტრით წარმოდგენილი აღნიშნული ტრანსფორმირებადი კონსტრუქციული სტრუქტურები.

კომპიუტერული უზრუნველყოფა – მ. სორხელი; გ. ქორიძე; ს. მაისურაძე

პასუხისმგებელი გამოცემაზე – გ. ოკმელაშვილი